# არილი

№7 (170) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 19 აპრილი

ფასი 50 თეთრი

1134
2001



#7
2001

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი



მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ნინი ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ "კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე






**№7 ხუთშაბათი, 19 აპრილი, 2001**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ



**ლიტერატურა**

ლაშა ბუღაძე
ქეთათო ........ 1

თინიკო ხუტურიძე
ბურთი და თავი ........ 7

გუჩა კვარაცხელია
პოეზია ........ 9

ტომაზო ლანდოლფი
ხელები ........ 10

ანდრეი ბელი
იბსენი და დოსტოევსკი ........ 14

**პერსონა**

უისტან ჰიუ ოდენი
პოეზია ........ 18

იოსიფ ბროდსკი:
შეხვედრები ოდენთან ........ 21

**1948/84**

ერიხ ფრომი
ჯორჯ ორუელის „1984" ........ 23

ჯორჯ ორუელი
1984 ........ 28

**ხელოვნება**

ბორის გროისი
რა არის თანამედროვე ხელოვნება ........ 33

**პუბლიცისტიკა**

ია ანთაძე
შიზოფრენია ქართულად ........ 37

ზაზა ფაჩუაშვილი
რევოლუცია თსუ-ში ........ 39

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშა ბუღაძე

# ქეთათო

## სამ სურათად

ჩვეულებრივ ჩვენ ვამბობთ, რომ ბავშვები "იზრდებიან". მაგრამ არის კი ეს ზუსტი გამოთქმა? იზრდება კი რეალურად ბავშვი?

განა არ უნდა გაიაროს ექვსმა, ცხა, თორმეტმა თვემაც კი, სანამ ბავშვი "მიწაზე ჩამოვიდოდეს"? უფრო სწორი ხომ არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ბავშვი იზრდება ქვევითკენ?

*თომას ვაისი*

*ბავშვის განვითარების მიმოხილვა*

"ჭკვიანურად კი ლაპარაკობს, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ გავიგე, ვე!.."

*გ.შარიქაძე*

*ტელევიზორთან გატარებული საღამოები*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ:
ᲥᲔᲗᲐᲗᲝ
ᲓᲔᲓᲐ - იგივე მა  ნა
ᲛᲐᲛᲐ - იგივე მერაბ დავლიანიძე
ᲑᲔᲑᲘᲐ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ:
ᲚᲘᲐ ᲓᲔᲘᲓᲐ - იგივე ლია მონიავა
ᲓᲔᲓᲐ - იგივე მანანა
ᲑᲔᲑᲘᲐ
ᲥᲔᲗᲐᲗᲝ
ᲛᲐᲛᲐ - იგივე მერაბ დავლიანიძე
ᲑᲐᲑᲣᲐ - იგივე ავთო
ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲧᲝᲤᲐᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ (ᲑᲝᲚᲝ) ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ:
ᲚᲘᲐ ᲓᲔᲘᲓᲐ - იგივე ლია მონიავა
ᲥᲔᲗᲐᲗᲝ
ᲑᲔᲑᲘᲐ
ᲓᲔᲓᲐ - იგივე მანანა
ᲛᲐᲛᲐ - იგივე მერაბ დავლიანიძე
ᲑᲐᲑᲣᲐ - იგივე ავთო
ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ
ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ
ᲑᲠᲐᲚᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ
ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ - იგივე მამა, ანუ მერაბ დავლიანიძე
ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ - ენაბლუ
ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔ - პიესა მთავრდება მისი სიტყვებით

21352

### ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ქეთათოს საძინებელი ოთახი.

ქეთათო საბანშია გახვეული. დედა თავთან უზის.

ᲥᲔᲗᲐᲗᲝ. დედიკო და მელე, ბუამ ალ სეწამა?

ᲓᲔᲓᲐ. ალა დედა, ლატო უნდა სეეწამა?! ბავცები და ბუა ცელიგდნენ იმიტომ, ლომ ძადოქალმა ის კეთილ ბუ-ათ აქცია... ქო აგალ ცეგეცინდება აწი ბუაცი?

ᲥᲔᲗᲐᲗᲝ. ალა.

ᲓᲔᲓᲐ. ქოოდა მაცინ დაიძინე, კაქი?!

ᲥᲔᲗᲐᲗᲝ. მამა ძელ ალ მოცულა?

ᲓᲔᲓᲐ. ძელ ალა, მაგრამ მალე მოვა, დედუ. დაიძინე.

ოთახში ბებია შემოიხედავს

ᲑᲔᲑᲘᲐ. დაიძინა უკვე ცემმა ციცოქლემ?



ᲥᲔᲗᲐᲗᲝ. ჯელ ალა.

ᲑᲔᲑᲘᲐ. ცენ ცემოგელე მე-ჰ!

ᲓᲔᲓᲐ. ვიძინებთ ბებიკო და ძაიან გთქოვთ, ქელს ნ· გვისლით, ლა!

ᲑᲔᲑᲘᲐ. ქეთუნი, ბება, ეთი წუთით დედიკო ლო წაგალთვა, ალ სეიძება? ცულ ელთი წუთით.

ᲥᲔᲗᲐᲗᲝ. აა-ლა!

ᲓᲔᲓᲐ. კაი დედუკებო, ბებია ლაგაცას მეტყვის და მაცინვე ცემოვალ! ქო აგალ გეცინია უკვე· ბუაცი?

ᲥᲔᲗᲐᲗᲝ. მეცინია.

ᲑᲔᲑᲘᲐ. (აღშფოთდება) ოჰ, ბუა ალ გამაგონო, ბება!.. გაიცათ სკოლაცი მიდიქალ და დაგცინებენ ცენი თანაკლასელები - ამქელა გოგოს კიდევ ბუასი ესინიაო?! აალა, ბება, ააალა!.. ვისა აქს სუ პატალა ფექისგულები, ა?

ᲥᲔᲗᲐᲗᲝ. ქი-ქი-ქი... მეგუტუნება!.. ქი-ქი-ქი! (ხითხითებს)

ᲑᲔᲑᲘᲐ. მოგიკდეს ცენ ცენი ბება, ცემო ციცოცქლე (თითქოს წაიქვითინებს კიდეც) შენ მოგიკვდეს ბებო, ცე-ენ!..

დედა და ბებია ოთახიდან გავლენ.

ᲥᲔᲗᲐᲗᲝ. (ჩურჩულით) ლალი, ლალი, ცემო ლალი... ლაო ცემო მანანა? ეც თოძინა დედაცენმა ცემთან გამოგატანა?.. ალა, ალა...

მოულოდნელად ოთახში ქეთათოს მამა (იგივე, რაც მერაბი) შემოვარდება, რომელიც არყის სუნითაა გაჟღენთილი. დედა კი ცდილობს, მაგრამ მაინც ვერ აკავებს მას.

ᲓᲔᲓᲐ. მერაბ!.. ბავშვს უკვე ძინავს, მერაბ!

ᲛᲐᲛᲐ. (კინაღამ წაიქცევა) ადექი მამა!.. ადექი ცემო ბლილიანტო!.. ჩაიცი მამა და წამომკევი, ცემო ციცოცე!.. ხელი გამიშვი, ქალო!

ოთახში ასევე შემოვარდება ბებია - ცოცხით ხელში. ცოცხს იგი მამას უთავაზებს.

ᲑᲔᲑᲘᲐ. აქ მოთრეული აღარ განახო, მამაძაღლო შენა!..

ᲥᲔᲗᲐᲗᲝ. ლა ქდება, ლოთ?!

საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა. შენიი...

დედა. ...ვაიმე!

ბებია. ვის შეუბრუნე შენ ხელი?.. ხელი ვის შეუბრუნე, შე არაკაცო, მართლა?!

დედა. აალა, ქეთათო!.. ნუ ტილი დედა, ნუ!

მამა. მე თქვენ გეხებით, ქალბატონო? (ხელს გაჰკრავს ბებიას)

ბებია. ვაიჰ! (ძირს აღმოჩნდება) მანანა!.. ფეხი მოვიტეხე, მგონი!.. ამაყენე!

მამა. ქეთათო, მოდი მამიკო, ჩემთან!

ქეთათო. (ხტის საწოლზე) ტადი აქედან... ტადი! ცენ ცუდი ქალ!.. ცულ მთლალი მოდიქალ!.. დედიკოც ცემ... ბებიკოც ცემ.. ლია დეიდაცაც ცემ!.. ცენ ალა ქალ ცემი მამიკო!.. ცუდი ქალ! ცუდი!.. მე გმელთს ვეტკვი, ლომ მოგკლაც იმიტომ, ლომ სუ ცგუბობ!

მამა. (მთვრალი კაცის ტირილით)... ცენ მაინც ნუ მალაპალაკები აცე, მამა, გთქოვ?!

ბებია. მანანა, მომკიდე ხელი!

დედა. მერაბ, ამ ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს! არანორმალურების შთაბეჭდილებას ვტოვებთ!.. ბავშვი მაინც არ გეცოდება?

ბებია. ...მანანა!

მამა. ბავშვით ნუ მევაჭრები, ქალოო!.. ცემი გოგოცაა ეცა, ცემი სვილიცაა...

დედა. დედა წამოდექი, გეხვეწები!

ქეთათო. მამა, ტადი აქედან!.. ცენ ცუდი ქალ! ძაან ცუდი ქალ! მე ცენ აგალ მიკვალქალ!.. მე და დედიკო ექა ბუაზე ვლაპალაკობდით და მე აქლა ვქვდები... და ალბათ ადლეც ვქვდებოდი ქვეცნობიელად, ლომ ეც ბუა ცენ ცკავი, მამა... და ალავინ ცქვა!

ბებია. ეგეც შენ, მერაბ დავლიანიძე!.. ხო მიიღე ბავშვისაგან?!

ქეთათო. ტადი მამა აქედან, ტადი! (ხტის საწოლზე)

ოთხივენი ტირიან

## სურათი მეორე

შუადღე. სასტუმრო ოთახი. ლია დეიდა, ქეთათოს დედა და ბებია. მაგიდა, სკამები, მარჯვნივ კარი და ა.შ.

ლია დეიდა. ...ველარ ისწავლე, მანანიკო, შენც ჭკუა! რამდენჯერ უნდა გცემოს შეენ, დეეშენი, მეე... რომ, ბოლოს და ბოლოს, თქვა: მორჩა! ამ კაცთან ერთად მე ვერ ვიცხოვრებ! ვშო-რდე-ბი!!!

დედა. ლია დეიდა, გაშორებული არა ვარ ისედაც?! ხანდახან დღეები ისე გადის, რომ...

ბებია. ...ღამ-ღამობით ვახსენდებით ხოლმე ვაჟბატონს!

ლია დეიდა. ავთო?..

ბებია. რა ქნას ამ ავთომ? ხომ არ მოკლავს სიძეს? გუშინ, მაგალითად, სახლში არც იყო... კაზინოში წავიდა, თავის ბებრებთან ერთად.

ლია დეიდა. ბოდიში მოიხადე.. სამორინეში!

დედა. ...ქეთათოს ბავშვობას - ბავშვობა ქვია?! აყალმაყალი, ცემა-ტყეპა, ლანძღვა-გინება...

ლია დეიდა. ...თან ლოგოლი მგლძნობიალეა კათო!

ბებია.მამობის უფლება უნდა ჩამოართვა მაგ საზიზღარს, მაგას!

ლია დეიდა. მანანა, მამობის უფლება იცი, როდის უნდა ჩამოგერთმია?.. ხო იცი?! იცი.

დედა. (ამოიკვნესებს) ნუ გამახსენებთ, რა?!

ლია დეიდა. ...ცოლ-შვილი გაუშვა, ყმაწვილმა, ქობულეთში; სიდედრ-სიმამრი სოლოლაკში და თვითონ მოყარა ქალები...

ბებია. ვიღაც გათახსირებული!.. დედა-დედა! რა იკადრა ეს, ა?!

ლია დეიდა. თქვენც კაი დროს ჩამოხვედით რა, მანანიკო?!

დედა. ლია დეიდა, ბავშვს მეორე დღესვე აუწია სიცხემ... ნაცნობი არავინ, ხმის გამცემი არავინ... ავდექი და წამოვედი მეც თბილისში... რა მექნა?

ბებია. ...თან ბავშვი სიცხიანი! უიმე-უიმე-უიმე.

დედა. ცულელმა, თან კიბეძე ამოილბინა - მამიკოც გავაქალებო და... რა ნახა ეს, რა?!

ბებია. მოუკდა მაგაც ბებია... მოუკდა! მთელი ზაფქული ცაემწალა ვიგაც ცათლაქის გამო!..

დანარჩენი, რაც სცენაზე მოხდება, მანანას მოგონებას უნდა წარმოადგენდეს, ამიტომ დეკორაციის შეცვლა იქნება საჭირო: მაგიდა - რის გარშემოც აქამდე ლია, ბებია და დედა ისხდნენ - საწოლად უნდა გადაკეთდეს; დღის სინათლე, რომელიც ფანჯრიდან შემოდიოდა, უნდა შეიცვალოს მთვარის შუქით, ხოლო დედა, ბებია და ლია დეიდა - ქეთათოს მამითა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალით, რომელიც საბან-მოხვეული გაწვება საწოლზე. დააცხრება, თუ არა მსუბუქი ყოფაქცევის ქალს მერაბი (უშარვლო!), შემოსასვლელიდან ქეთათოს ხმაც გაისმება:



მამიკუნა, ცვენ ცამოვედიით! სადა ქალ?

მამა. ეს მომეჩვენა, ხო?..

ოთახში ქეთათო შემოვარდება.

პაუზა

ქეთათო. უი, მამიკო სტუმალი გვკავს?

მამა. მამი, ცაიდან გაცდი ცემი გოგო აქა?!

ქეთათო. დედიკომ ცამომიკანა... სიცქემ ამიწია...

მამა. დედიკო ცადღაა, მამი?

ქეთათო. ექა მოვა... კიბეძე ამოდიც.

მამა. (ქალს) ჩაიცვი.. ჩქარა!.. (ფაციფუცით იცმევენ) ქეთათო, მამა!.. მიდი ცენ დედიკოც დაქვდი - ეცა ცემი თანამსომელი დეიდაა და ცაქმეზე მოვიდა...

ქეთათო. (მოულოდნელად კივილს დაიწყებს) ...ცენი თანამსომელი კი ალა - ბოძია ეგა!.. ბოძი დეიდაა!.. ლატომ მატკუებ? დაუსაქიცლე დედიკოც ცქოვლება!.. ფაქტიულად მოსპე, ქო?.. კიდევ ეც უნდა ალა? ეცაა სენი ელთგულება? ესაა ლო მეუბნებოდი, სენი და დედიკოც მეტი ალავინ მიკალსო?! ლა უნდა გამოვიდეს ცემგან? დანგლეული ფსიქიკიც მქონე ალსება!.. სე ცუდო! სე საძაგელო!.. ლა უთქალი მე იმ მგვდელს, ვინც სენ დედაცემზე ჯვალი დაგწელა?!

მამა. აალა, მამა!.. ნუ მიყვირი, მამა, სენ სემოგელე...

ქეთათო. ...ბოძი, ლო მოგკავს ცემ საქლცი! ბალდელი, ლო გაქსენი აქ!..

მსუბუქი ყოფაქცევის ქალი. (მოთმინების ფიალა აევსება) არა, გოგონი, გეშლება!.. მომისმინე, ჩემო კარგო:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რატომ ჰვაყენებ, დედი შეურაცხყოფას?! სენქელა სილისილი მკავს მე!

ქეთათო. ეგლა მაკლია ექა წკუა მალიგოც ვიგაც ბოძანდალამ! გაეთლიეთ ოლივე აქედან!.. ცუდებო თქვენ!.. ბოიოტებო თქვენ! ცაძიძგლებო!..

შემოდის ქეთათოს დედა. ჭრელი, ზღვის ჩანთა აქვს გადაკიდებული. ხელით მეორე, უფრო დიდ ჩანთას მოათრევს.

დედა. მერაბ, რა ხდება აქ?..

ქეთათო. ვიგაც ბოძი მოიკანა დედა, მელაბმა... აი ლაც ქდება!

დედა. ბოძი?..

მამა. დაუჯერე ხო ეხლა ბავშვს?! ყველაფერს აგიხსნი...

ქეთათო. ალ მოტკუვედე, დედა! მთელი ცქოვლება ისედაც ტკუილსი ქალ!..

დედა. მერაბ, გამაგებინე, რა ხდება ჩემს სახლში და ეს ქალი ვინაა?

ქეთათო. ქალი კი ალა - ბოძია ეგა, ბოძი!!!

მამა. უუხ შ...

დედა. ბავშვს ხე[illegible] არ ახლო!.. ბავშვს ხელი არ ახლო, შე არაადამიანო!.. ნადირო შენ!..

ქეთათო. ტადი აქედან! ტლაკო სენ!.. ტლაკო!

მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ოთახიდან გარბის, მამა საწოლზე ჯდება, დედა ჩუმ ტირილს იწყებს, ქეთათო ილანძღება.

* * *

კვლავ ლია დეიდა, ქეთათოს დედა და ბებია.

ლია დეიდა. რა აღარ ნახა, რა აღარ განიცადა უკვე ამ ბავშვმა?! ცოდოაო?.. ცოდო კი არ - ძალიან ცოდოა.

ბებია. (ლიას მიმართავს, მანანას უყურებს) ...სახლიდან, რო გაიქცა ქალბატონი თექვსმეტი წლის ასაკში, რა ეგონა, აბა?!

დედა. ოჰ, კარგი რა დედა... ეს რა შუაშია?..

ლია დეიდა. შენა და, მანანიკო, რო მიყვებოდი ცოლად, მაშინაც ასეთი იყო, თუ მერე და მერე შეიცვალა? გაიგოს მაყურებელმა.

ბებია. თავიდანვე იყო ტეტია - ჩემი აზრი, თუ გაინტერესებს, - სოფლელი, გაუთლელი პროვინციალი... დალილასა და მაულერის შვილი მერაბი!..

დედა. ...არანაირი ტეტია და სოფლელი ეგ არ ყოფილა, დედა! მერაბი შეიცვალა თბილისის ომის დროს... ეს სროლები, კარტის თამაში, ცხენები, ნარდი... გამოშტერდა კაცი! მარტო ეგ კი არა, მთელი მისი სამეგობრო თუ, რა ვიცი, საძმო... რასაც ეძახიან, მოკლედ... ზოგი გამორფინისტდა კიდეც.

ბებია. დარწმუნებული ვარ, არც მერაბს დაუკლია ეგ სიამოვნება!

ლია დეიდა. გაშორდი, მანანა! სასაცილო ხარ უკვე!..

დედა. უიმე, გაშორებულები არა ვართ-მეთქი, ლია დეიდა, ისედაც?!

ლია დეიდა. ოფიციალურად!

დედა. გაშორება - გაშორებაა. ოფიციალური და არა-ოფიციალური გაშორება...

ლია დეიდა. ...მოდი ვთქვათ - განქორწინება, კარგი?

დედა. თუ ხო... განქორწინება, არ არსებობს!

ბებია. ჯერ კიდევ ორი წლის წინ უნდა გაგეგდო ეგ არამზადა სახლიდან - ლია, რო გაგვილახა სადარბაზოში!..

ლია დეიდა. კაი ეხა, რა დროს ეგაა? აღარც მახსოვს უკვე... აქ სხვა რამეა მთავარი!.. სხვა რამე კი არა - ბავშვი, ხალხო... მეც მაგარი ვინმე ვარ.. სხვა რამე! ქეთათო... ქეთათო და მხოლოდ ქეთათო!

დედა. ძალიან დავიბენი, ლია დეიდა. აღარ შემიძლია. რა ვქნა, არ ვიცი. მამის გარეშე ბავშვი ცოდა, მაგრამ ასეთ მამასთან ცხოვრებაც საშინელებაა!

ლია დეიდა. დაღუპეს მერაბი იმ პაპუნამ და სანეებლიძეებმა!.. დაღუპეს!.. სანამ ამ მაწანწალებთან ერთად სუფრასთან დაჯდებოდა, ჩემთვის ეკითხა, რა!

შემოსასვლელიდან ნაბიჯების ხმა გაისმება.

დედა. ვინაა?

ბებია. (წამოდგება) მოიცა, გავიხედავ.

შემოდიან ავთო (ბაბუა) და ქეთათო. ქეთათო ლია დეიდასთან მიირბენს და აკოცებს. ხელში თაიგული უჭირავს. ლია დეიდა და ბებია ალერსიანად აქვითინდებიან.

ლია დეიდა. ცემი სოცოცე, პაწაწუნა!

ბებია. ცენ მოგიკდა ბება, ცენ!

დედა. ცად იკავი დედიკუნა ამდენი ქანი, ცად?

ავთო. ...მოუკევი ბაბუკა ცად ვიკავით, აცე და აცე ვქენით-თქო მე და ბაბუკამ, უთქალი... ვაკის პალკსი ვიკავით-თქო ბაბუ, ძალისკაცის საფლავი ვნაქეთ და ბევრი ვიცეილნეთ-თქო, მოუკევი... ბიძია ცოცო სეგვქვდა და ქაჭაპულზე დაგვპატიჟა-თქო ბაბუ, უთქალი...

ბებია. (ქეთათოს) ალ სეგცივდა, ბება? ან კაკულები ალ მოგინდა? ლო მიდიქალ საქლიდან და, ლო აგალ ბლუნდები, ალა გცქვენია ცენა?.. დიდი გოგო ქალ ბება უკე? უცნო სეენ! ცუდო?! აგალ გინდა ალა საქცი მოსვლა, ბება?

ქეთათო. მე და ბაბუკამ კვავილები დავკლიფეთ და ვიცეილნეთ ძაან ძაან ბევლი და... ცულ ვიალეთ აქეთ-იქით...

ლია დეიდა. ლოგოლ ტიტინებს კათო უკვე თავისუფლად, ჰა?! დიდი გოგოა, გაიძალდა უკე!

ბებია. აგალ უნდა საქლსი მოცვლა, გათქოვება უნდა... ქმალთან ელთად უნდა საწოლსი კოტლიალი!

ქეთათო. ბაბუკამ დექცის მასწავლა: ილემო მთაცა მკვილალო...

ბებია. სენ სემოგელე მე!.. სასაქელო ცემი გოგო - ლო გამოცდება ტელელოზცი და ბებოს, ლო ასაქელებს... ცუნცულიკო პატალა... ციცუნია ცემი!

ავთო. (ქეთათოს მუხლებზე დაისვამს) ლექცებიც ვთქვით, ვიცაუბლეთ კიდეც... ვიმგელეთ კიდეც!

ქეთათო. გმელთზეც ვილაპალაკეთ... კოცმოცზეც... ცაზოგადოების პლობლემებსაც სევეძეთ... ბაბუკამ მითქლა - ადლე ატეიცტი და უგმელთო ვიკავი იმიტო ლო წკობა იკო აცეთიო - ცაბწოთა კავსილი იგულისქმა, ლა თქმა უნდა, - ექდა კი ეწვი აგალ მეპალება, ლომ



იმ ქვეყნადაც ალსებობს ლამეო...

**ლია დეიდა.** ორი კვირის წინ ვნახე ბოლოს და როგორ ალაპარაკებულა ამ ხნის განმავლობაში, მანანა, გაგიჟებული ვარ... კიდე ლაო, დედუკინო, ბაბუმ, ლა?!

**ქეთათო.** მოთმინებითა ცენითა მოიპოვე ცაცუფეველი ცენიო - ეცეც მითქლა... ვინაც აგიგოს მაქვილი მაქვილითავე სეიმუსლოსო!

**ლია დეიდა.** ავთო, ბავშვისთვის ადრე არ არის?

**ავთო.** იცოდეს, იცოდეს... არაფერი დააკლდება.

**ქეთათო.** ელთ ლამესაც მივქვდი - ცოდნიც გალეცე ამ ქვეყნად ველაფელს მიაგწევ! ლისთვის მოვედი? ლა მინდა? კოფიელების ცაიდუმლოც ცეძლებისდაგვალი ამოქცნა - აი ლა უნდა იკოს თითოეული ადამიანიც, თითოეული ცვენთაგანიც ვალი... ან თუ სეიძება აცე ითქვაც - ამოცანა...

**ლია დეიდა.** შენ შემოგევლოს, ლია დეიდა...

**ქეთათო.** ჭკიანი ცქვის სეცდომებძე სწავლობს წკუას - ცულელი კი ცაკუთალძე!

**ბებია.** ესეც შენ უთხარი, ავთო?

**ქეთათო.** ჰომო ჰომინი ლუპუც ეცტ!

**ბებია.** ალ მოგსივდა ბებიკო, ამდენც ლო ტიტინებ?.. ან წამა ალ გინდა? ან კაკულიკები?..

**ქეთათო.** სეიცან თავი ცენი, ბება!

**ბებია.** მოგეწონა ბებიკო უცნობი ძალისკაცის საფლავი?

**ქეთათო.** ბაბუკამ აქლოც ალ მიმიკანა - იქო ცეცქლიაო და მეცინია, სიგ ალ ამოვიწვათ ძოძოქეთიც მასხალებივითო...

**ლია დეიდა.** ეს რამ გათქმევინა, ავთო?

**ავთო.** იგონებს, კაცო! დაუჯერე შენც.

**ლია დეიდა.** ცაიდან იცი გოგო ამდენი ლამე? აცეთი ჭკიანი ცაიდან ქალ?

**ბებია.** ბებუკა, ელთი ქაჭაპული ალ გაგაძგობდა ცენ! ან ალ გსია, ან ალ გწკულია?

**ქეთათო.** მე იცი ლა ვისწავლე, საბავსო ბაგცი? ტოლტი ლოგოლ უნდა გავაკეთო ცოკოლადიც... ფანტაცტიული გემო აქვცო, მითქლეც.. ეცე იგი - სამი კველცქი, ჭიქა-ნახევალი ცაქალი, ცედედებული ლძე...

**ბებია.** შენ გენაცვალოს ბებიაშენი...

**ქეთათო.** ...კალაქი ოლასი გლამი, ელთი წიქა მაწონი, ნაქევალი ცაის კოვძი სოდა, ოლი სუფლის კოვძი კაკაო და კავა...

**ლია დეიდა.** (იცინის) შენ შემოგევლე მაგ "კავაში"! ყ-ს ვერ ამბობ, ხო?! ყ ალ სეგიძლია, ქო?!

**ავთო.** ვერ ამბობს და ისა კიდე... თქვი, ბაბუ - ყავა.

**ქეთათო.** კავა!

**ავთო.** (ლია დეიდას) ეგეც შენ! (ლია დეიდას გააჯავრებს) ვერ ამბობს...

**ქეთათო.** აცოებც ლა მნისვნელობა აქვც? მთავალია ციტკვები!.. ციტკვები, ციტკვები, ციტკვები - დიდებული ინგლიცელი პოეტიცა და დლამატულგი სექსპილის თქმის ალ იკოს!

**ბებია.** ლია დეიდა, სენ ქო ალ იცი, ლოგოლ ვიდალდეთ ცვენი მეძობელი, ლო გადაიცვალა წინა კვილას?! ლოგოლ ვტილოდით, ლოგოლ გვეცოდებოდა...

**ქეთათო.** (ხელებს ლოყებზე აიფარებს) ვაიმე-ვაიმე-ვაიმე! ალ გამაქსენოთ ეც... ალა! ლა ადამიანი დავკალგეთ, ლოგოლი პატიოცანი?! დაგვაობლა მთელი ცაძოგადოება, წესმალიტად.. მალტო დაგვტოვა... უნუგესო წილისუფლებად გვაქცია, მალადჟამ!

შემოსვლელიდან კაკუნის ხმა გაისმება - თავხედური კაკუნის, თითქმის ბრახუნის ანუ.

**ლია დეიდა.** რა ხდება? ვინაა?

**დედა.** (ხმაში ოჯახური კეკლუცობა შეეპარება) ...ეხლავეე!

**ბებია.** გაიხედე ჯერ, ისე ნუ გააღებ.

**დედა.** კაი რა, დე!.. (გადის)

კაკუნი ძლიერდება - თუმცა, კაკუნი აღარც ქვია ამას.

**ქეთათო.** ტყეჩი გაიძალდა ეც ქალქი? ლა ალი, ნუ ლა?!

ქეთათოს დედა ოთახში შემობრუნდება.

**დედა.** მერაბია!.. საცაა კარს შემოამტვრევს... ისეთი მთვრალია - გონზე არ არის...

**ქეთათო.** ლა-ა? მთვლალია?

**დედა.** ქო, დედა... ქო!

**ბებია.** ვაიმე-ჰ!.. ლია გადამალეთ!

**ლია დეიდა.** შემოვიდეს ერთი!... შემოვიდეს და ვნახოთ მერე - ვინ-ვის... ვინ ვინაა დღეს საქართველოში?! მაგ უბედურს შარშანდელი ლია ხომ არ ვგონივარ?!

**ქეთათო.** ვიცოდი, ლო ალ ცემელგებოდა ეც ვაკის პალკი!

**ავთო.** დედას ვუტირებ! მანანა, გაუღე კარი!.. (გულწასული იატაკზე გაიშხლართება)

**ბებია.** ავთო!.. ავთო მომიკლა ამ დამპალმა!

**ლია დეიდა.** (ფანჯრიდან აპირებს გადახტომას) დედა, რამსიმაღლეა ეს ოხერი, ჰა?..

**ბებია.** ავთო!

სულ ცოტაც და მერაბი კარს შემოამტვრევს,
უკვე საკმაოდ გარკვევით ისმის მისი გინებაც.

**ქეთათო.** უჰ!.. ცვენზეა ლა ნათქვამი - კაცი ბწობდა და გმელთი იცინოდაო... მაინც ლამხელა სიბლძნეც იტევს თავის თავსი ცვენი ფოლკლოლი?!

შემოდის სახე-ალეწილი მერაბი, რომელსაც არყის სუნი უდის.

**მამა.** ალ მელოდით დედუკებო?..

**ქეთათო.** (შეშინებულია, მაგრამ გულადიცაა ამავ დროს) ალა!

## სურათი მესამე

გავიდა ორი თვე...

სასამართლოს დარბაზი.

სხდომის თავმჯდომარე, ბრალმდებელი, ბრალდებულის ადვოკატი, დამსწრე საზოგადოება - მათ შორის: ქეთათო, რომელიც სულ ბოლო რიგში ზის ბაბუასთან ერთად; დედა, ბებია და მამა - ოღონდ გალიაში, განსასჯელთა სკამზე.

**ბრალმდებელი.** ვიცით! მოვისმინეთ... კიდევ ბევრჯერ მოვისმენთ, რომ მერაბ დავლიანიძემ შეამტვრია კარი,



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო... ცეცხლი წაუკიდა ფარდას და გააუპატიურა მოქალაქე ლია მონიავა!.. ყაჩაღობაო? ბანდიტიზმიო?.. არა! უარესი! უფრო მეტი ჰქვია ამას!.. რა, ოღონდ?.. რა?! რა ვუწოდო ასეთ საშინელ დანაშაულს? ოჯახის მეგობარს - თითქმის შუახნის ქალს, რომ შენი შვილის, ცოლის, სიდედრისა და გულწასული სიმამრის - მეორე სამამულო ომის ვეტერანის თვალწინ გააუპატიურებ - ვინა ხარ?.. მხეცი? ნადირი? უცხო ფრინველი ჩხავილით მოსული ქვეყნადა?!

მამა, მერაბი ანუ. (თავისთვის) მორჩით, რა!.. გეყოთ.

**ბრალმდებელი.** ოცი წელი! ვითხოვ ორ ათეულ წელიწადს, - მამობის უფლების ჩამორთმევით, საზოგადოების ზურგშექცევით, მისი ცოლის - ქალბატონი მანანას დაუყოვნებლივ გათხოვებით და მამინაცვლისა და პატარა ქეთათოს სასწრაფო დამეგობრებით!

მართალია ორმა თვემ განვლო, მაგრამ ძალადობისა და შეურაცხყოფის კვალი ჯერაც არ გამქრალა ქალბატონი ლიას სხეულიდან!

დაგვენახეთ, ქალბატონო ლია! დაგვენახეთ, შეურაცხყოფილო მდედრო!

ლია დეიდა კოჭ‿ ბითა და კვნესა-კვნესით
შემოვა დარბაზში - გაივლ-გამოივლის, თუმცა
გავლა-გამოვლა აღარც ჰქვია ამას.

ერთ-ერთი დამსწრე. (თავისთვის) აუჰ, საწყალი ქალი?! ეს რა უქნია ამ მხეცს, ა?..

**ბრალმდებელი.** ველური ჟინი, დაუოკებელი ვნება, ავი გონი და მავნე ჩვეულებანი - აი, შედეგი: ქალბატონი ლია მონიავა...

სადმე, თუ გინახავთ ასე თავხედურად გაუპატიურებული ქალი?

**ლია დეიდა.** ვაიმე!.. ვაი... (თითქოს ძვლებში ტეხავს - სახსრები ტკივა) ვაიმე-ვაიმე-ვაიმე!.. ვაიმე, დედა!.. ვაიჰ, ვა-იჰ!..

**ბრალმდებელი.** დაბრძანდით, ქალბატონო ლია, საკმარისია. გმადლობთ.

ქეთათოს ხმა დარბაზიდან. (თვითონ ქეთათო არ ჩანს) საძიძგალი ეგ! ლია დეიდაც კი ალა - საელთოდ, საძოგადოდ ქალებც მიაკენა სეულაწკოფა!

**სხდომის თავმჯდომარე.** ვინ ყვირის, კაცო?.. სიჩუმე დარბაზში!

**ბრალმდებელი.** ეხლა გაცინოთ! მთლად აბსურდი: მეო, ეს ჩვენი ძვირფასი ბრალდებული ამბობს... ძვირფასი, რა თქმა უნდა, ბრჭყალებში, - იმ ავბედით საღამოს გატიალებული მთვრალი ვიყავი და ჩემი ცოლი, ქალბატონ ლიაში ამერიაო... და რაკიღა ლია მონიავა საკუთარი მეუღლე მეგონა - გაუპატიურებაზე ლაპარაკი, ჩემი აზრით, ზედმეტი უნდა იყოსო... გესმით, ხალხო?! არ ჩაბჟირდით?!

**ბრალდებულის ადვოკატი.** მე პრო... პრო... პროტეტე-ტე...

**ბრალმდებელი.** ნუ, შეუძლებელია ასეთ პირობებში მუშაობა!

**სხდომის თავმჯდომარე.** პროტესტი არ არის მიღებული.

**ბრალდებულის ადვოკატი.** უ-უ... ჰუ-უ... უ!

**ბრალმდებელი.** ...ეგო, ამბობს, ჩემი ცოლი მეგონაო, ხალხო!.. არ გეცინებათ? არ არის ეს სასაცილო?.. (მიმართავს ბრალდებულს) აჰაა, ესე იგი, რაღაც ფოკუსთან გვაქვს საქმე... ფოკუს-მოკუს!.. შენი გონების რომელიღაც უცნაურ უჯრედთან, პაწაწინა კუბიკ-რუბიკთან!.. შენ ითხოვ ჩვენგან ფსიქოთერაპიას, მკურნალობას (კივილით) ...იქნებ მღვდელსაც? ვერ მოესწრები! შენ ხარ რიგითი, სრულიად ჩვეულებრივი... ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ლოთი და შფოთი... და, ალბათ (კვლავ კივილით) პედერასტიც?!

**ბრალდებულის ადვოკატი.** პრო... პრო... ტე-ტე...

**სხდომის თავმჯდომარე.** პროტესტი მიღებულია.

**ბრალმდებელი.** (ჯდება თავის ადგილზე) ორი ათეული წელიწადი, ოცი გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა-ზამთარი გისოსებს-მიღმა, დილეგში, სატუსაღოში!!!

**სხდომის თავმჯდომარე.** ბრალდებულო, შეგიძლიათ თუ არა რაიმე თქვათ თავის გასამართლებლად?

**მამა.** (დათრგუნული, მხრებში მოხრილი და გაუპარსავია) სიმართლე?.. რაი არს, რო სიმართლე?.. თავი მართლება? ვისთან?.. საკუთარ თავთან?! საკუთარ თავთან ხომ დაბადებიდან წაგებული ვარ... წაგებული ვარ ჩემს შვილთანაც... მხევალი ღვთისაი ქეთათო დავლიანიძე... მე მრცხვენია მისი, მართლა მრცხვენია...

ქეთათოს ხმა დარბაზიდან. ექა კაი დლოსია - ქეთათო! მასინ, ლატო ალ შეგლცქვა ცემ თვალწინ ლია დეიდა, ლო იხმალე?!

**სხდომის თავმჯდომარე.** ბავშვს რა უნდა აქ?.. სიჩუმე!

**მამა.** ...მაგრამ აი, სად მოტყუვდით! აი, სად შეგეშალათ! აი, ვით გადეფარა ბინდი თვალთა თქვენთა!.. გგონიათ, მარტო მე ვარ არა დამნაშავე?! დამნაშავე - ის ახალი წელია - ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი, რო მოიტანა... დამნაშავე ის ოთხმოცდაცამეტი წლის ახალი წელია მე, რო ხელში იარაღი ამაღებინა... იყო კი... წამალიც იყო, სისხლიც იყო... ქეიფიც იყო, ქალებიც... დედაც
...დედაჩემიც იყო! დიაცი სწორი ანგელოზთა და სადარი მზისა!..

მთელი ეს წლები სამსახურს ვეძებდი...

მგონი, დღეს ვიპოვე... (დაჯდება, ხელები უკანკალებ მკერდზე ჩამოკიდებულ ხის ჯვარს აკოცებს)

ხანგრძლივი სიჩუმეა

**სხდომის თავმჯდომარე.** (ბრალდებულის ადვოკატს, თქვენი აზრი? სხდომა დასასრულს უახლოვდება, თქვენ კი ჯერ ერთი სიტყვაც არ გითქვამთ?!

**ბრალდებულის ადვოკატი.** მე... ებ... ის, რომ... ბებე... ოც... ოცი წე-წე... იმიტო, რო... ე-ეე...

ქეთათოს ხმა დარბაზიდან. სეიძლება ლაგაც ვთქვა, პატივცემულო მოცამალთლევ? (წინ გამორბის, კინაღამ დაეცემა)

**ავთო.** ფრთხილად, ბაბუ!..

**ქეთათო.** ჰა? სეიძლება?

**სხდომის თავმჯდომარე.** ეს ბავშვი ვინაა?

**თანაშემწე.** ბრალდებულის ქალიშვილია. სხვათაშორის, ძალიან ჭკვიანი და ენაკვიმატი ბავშვი.

**ქეთათო.** ...მომეცით უფლება, ლომ ლაგაც ვთქვა! ეს ცემი ვალია! თან ცემი ქვეკნის კონცტიტუცია მაძევს ამის უფებას... იქილეთ მეოლე თავის ოცდამეოთქე მუქლის პილველი პუნქტი: კოველ ადამიანც აქვს უფება თავიცუფლად მიიგოს და გაავცელოს ინფოლმაცია, გამოთქვაც და გაავცელოს თავიცი აზლი ძეპილად, წელილობით ან სხვაგვალი სასუალებით! ცენზულა დაუშებელია!

**სხდომის თავმჯდომარე.** (თანაშემწეს) რა ვქნა?

**თანაშემწე.** მიეცით სიტყვა. თუ ვინმეს შეარცხვენს, ისევ საკუთარ თავს.

**სხდომის თავმჯდომარე.** ხოო?.. კეთილი. (ქეთათოს) აბა, გოგონი, მითქალი ლა გქვია?

**ქეთათო.** მე ამ კაცის სილი ვალ!

**თანაშემწე.** ალა, საქელიო... საქელი მითქალიო.

**ქეთათო.** ქეთათო!

**ბრალმდებელი.** სენ სემოგელე მე. უკულე ამას?!

**ბრალდებულის ადვოკატი.** (თავის ცხოვრებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად იტყვის წინადადებას ბლუკუნის გარეშე) დიდი ჩათლახი ბავშვი უნდა იყოს ესა...

**სხდომის თავმჯდომარე.** ლამდენი წლიცა ქალ, ქეთათო?

**ქეთათო.** (თითებით უჩვენებს) აი ამდენიც!

**სხდომის თავმჯდომარე.** ო, დიდი გოგო კოფილქალ უკვე!

**ქეთათო.** ...სკოლაც ექსტელნათ დავამთავლებ!

**ლია დეიდა.** (სკამზე ძლივს ზის, კვნესა-კვნესით და მაინც სიყვარულით) ვაიჰ... შენ გენა... ცვალოს ლია დეი... და...

**სხდომის თავმჯდომარე.** ლის თქმას აპილებ? აცეთი ლა უნდა გვითქლა, ქეთათო?

**ქეთათო.** კონკლეტულად ალაფლის. ცემი მოკლე სიტკვა ძოგადი იქნება!

**სხდომის თავმჯდომარე.** აბა, გისმენთ.

**ქეთათო.** გაგიგონიათ, ალბათ ეს ლექცი: ცული ობოლო... თითქოც ცემზე უნდა იკოს დაწელილი, იცეთი სთაბეწდილება მცება... დიაქ! მეც ობოლი ვალ... თუმცა დედაც მკავს და მამაც!

**სხდომის თავმჯდომარე.** ეს ლექცი ვინ გასწავლა, ქეთათო?

**ქეთათო.** ბებამ!

**ბებია.** (ზის მეოთხე რიგში, საოცრად თავმდაბალი და ამაყია ამწუთას) კი, ბება, კი... მე გასწავლე. დიდი მადლობა, ბებიკო.

**სხდომის თავმჯდომარე.** ძალიან კარგი. მელე?!

**ქეთათო.** უჰუ-უჰუ! (ჩაახველებს) მე ცგდომის გამაჲობასი სუ მამაცემს ვუკულებდი, ვუკულებდი და ვცდიჲობდი, ლომ ლაც სეიძება კაქათ დამემაქსოვლებინა მიჲი ნაკთები... ოცი წლის მელე, ლო გამოვა - თუკი თქვენ ძას ოც წელიწადს მიუსძით მექუთე თავიც ოთხმოცდამეოლე მუქლის პილველი პუნქტიც მიქედვით - მეც შეცვლილი ვიქები და იციც!.. მალთალია, ის დამნასავეა, მაგლამ ის მაინც მამაა ცემი!.. უმამოდ გაზდილი გოგო კი, მოგექსენებათ, თუ ლა საცოდავიცაა?.. ხალხიც მტლის შილი... მაქსენდება სტალინული ლეპლესიების დლოს დახვლეტილ მამათა შილები, ლომელთაც ალც უმაგლესში ცაბალების უფლება ქონდათ და ალც ტლამვაით მგზავლობიც!.. ლა უნდა გამოვიდეს ცემგან? ამ კითხვაც ხშილად ვუმეოლებდი მამაცემსაც და აქლა თქვენც გისამთ: დანგეული ფსიქიკიცა და ნევლებიც მქონე ადამიანი... დაჭელილი მამა, მალტო დალჩენილი, გაუბედულებული დედა და მალად ხეიბლად გცეული ლია დეიდა...

**თანაშემწე.** (თავისთვის ჩაილაპარაკებს) ასეთი რა უქნა ამ მართლა მხეცმა ქალბატონ ლია მონიავას, რომ სამუდამო ინვალიდად აქცია იგი?!

**ქეთათო.** ...თუკი დედა გათქოვდება - ცემთვის ცუდი იქნება თავისთავად: მამინაცალი, მასთან სეგუება, ცემი კომპლექცები... პლოტესტები, ლომლებიც გალდატექის ასაკთან ელთად მოვა... და უამლავი, უამლავი ცუდი ლამე!.. მაგლამ გაუთქოვალი დედაც - ძელ სლულიად აქალგაზდა ქალი - ლა თქმა უნდა, აცევე ცოდო იქნება: ნაადლევი კლიმაქცი, ციება, ცქელება, ჰოლმონალული ლღვევა... მოკლედ, ლოგოლც გელმანელები ამბობენ ქოლმე: ალეს ისთ ზელ, ზელ სლეხთ!..

**ავთო.** ცხვირიდან თითი, ბაბუ!..

**ქეთათო.** ამ დლოს, მომავლის ლოგოლი იმედით მოვაგწიე ამ ასაკამდე?! ლამდენი საოცლება იქსნებოდა ცემი და ცემი თაობის წინასე?.. ინტეგლაცია, ევლოკავშილი, სენგენის ვიზა... ევლოპას ალალ სჭილდება საზგვალი, ცვენ კი ცვენს ნაწუწსი ვიქუთებით... ცემი ნება, ლო იკოს სლულიად სევცლიდი ცემი ქვეკნის კონცტიტუციას...



სისხლიც სამარლთიც კოდექსიც ითქოვც გალკვეულ კორექციაც... თუმცა აქ ალც ადგილია ამიც და ალც დლო გვაქ საამიცო!..

**ავთო.** ცხვირიდან თითი, ბაბუ...

**ქეთათო.** გგონიათ ტკუილი თქვა მამამ, ლოდესაც თავის თავთან ელთად დლოც დაადანასაულა?.. ამ დლომ ქალთველ მამაკაცებც სიცოცქლე წაალთვა და ალსებობალა დაუტოვა მხოდოდ... სიცოცქლე და ალსებობა კი, მოგექსენებათ, სქვა და სქვა ცენტენციებია!.. და აი, მე გთქოვთ - მამაცემის საქით, სეძებისდაგვალად, სეღავათი გაეწიოც ალა მქოლოდ დამნასავეთ, ალამედ ცვენს დლოსაც!.. განვლილ წებსაც!... ვაპატიოთ ამ ხალქს, დავივიწოთ კველა ტივილი, მივცეთ ამ ადამიანებც - მამაცემსაც ვგულისქმობ მათსი, თუმცა კი კველაძე ბევლი ტივილი მან სწოლედ მე მომაკენა - სანსი, სუ პატალა სანსი, ლომ ნულიდან დაიწკონ კველაფელი... ავაშენოთ აქალი დემოკლატიული საქელმზიფო, ცადაც ადამიანები - მოქუცები, ქალები, გონებლივად გავითალებული ბავცები...

**ბებია.** (თავისთვის) შენნაირი ბავშვები, ბება, შენნაირი!..

**ქეთათო.** ...თავიც უფვებებს დაიცავენ! მოითქოვენ, იმუსავებენ, დატკბებიან ცოვლებით... უნდა დამლთავდეც კოლუმპილებულ ბულზუათა, ფეოდალთა და გაქცუებულ მექლთამეთა თალესი ცვენს მიწაძე... (ცქმუტავს) სეიძება, მე თემაც გადავუქვიე, მაგლამ ასე ალ ალის: გალიასი გამომწვდეული მამა, სწოლედ ამნაილ აზლებს უნდა აგძლავდეს სილსი!.. (ადგილზე ვერ ისვენებს) პატიებისა და სიკვალულის გალეშე ბოლოტება გაიძეძილებც... მშიელი ბავსები, მათქოვალი მოქუცები, გაუთქოვალი გოგოები...

**სხდომის თავმჯდომარე.** ღმერთმა ნუ გაგვითენოს, ქეთათო, ასეთი შავი ხვალინდელი დღე!.. თუმცა, მე მესმის შენი... სენი ასაკისათვიც დამაქასიათებელია აცეთი აძლოვნება... მაგრამ, დამიჯერე, ყველაფერი კარგად იქნება... ხვალ მოხუცები აღარ იმათხოვრებენ... შენ გეყოლება გადასარევი, ლამაზი... ჭკვიანი ქმარი...

**ქეთათო.** ფუუ! ველ ვიტან ბიწებს! კაით, ლა?! მე ვითქოვ მქოლოდ პატიებაც, დლოიც, ცაუკუნიც... ეპოქიც პატიებაც! (ცქმუტავს)

**ბრალდებულის ადვოკატი.** (კიდევ ერთი გამართული წინადადება, რა თქმა უნდა, თავისთვის თქმული) არ ჩაეფსას, ამ შობელძაღლს!

ეროვნული ბიბლიოთეკა


სხდომის თავმჯდომარე. ქეთათო, შენ უკვე დიდი გოგონა ხარ და საკმარისად ჭკვიანიცა ხარ იმისათვის, რომ გესმოდეს: მამაშენი - დამნაშავეა. რა შუაშია აქ დრო, ჩვენი ქვეყანა და ხალხი?! ჰა, მიპაცუქე, ლა ცუაცია? მან ჩაიდინა სერიოზული დანაშაული... შენ კი, როგორც შეგატყვე, კარგად იცნობ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციას... ხოდა, ჩემი გოგო, დასკვნაც გამოიტანე: მამამ კანონი დაარღვია. კითხვა: რისი ღირსია? პასუხი...

ქეთათო. იცით, ლას გეტკვით?.. ჯაკოს ხიძნები ალა გაქვთ წაკითქული - იქ, ლო ჯაკო მალგოც გააუპატიულებს?! პილველად მალგოს ალ ესიამოვნება, მაგლამ მელე, იცოცქლეთ, გემოს ცაატანს... ოლგაზმი - ოლგაზმია!.. უნდა გენახათ, ლოგოლი ბედნიელი სახე ქონდა ამ ცვენ ლია დეიდაც?.. ვინ ვინ და მე კი ვიცი ძუცტად... იქვე ვიდექი...

ლია დეიდა. (კვნესა-კვნესით) ქეთათო, დედა, მარგოს ვგავარ ეხლა მეე?.. ვაიმე-ვაიმე!..

სხდომის თავმჯდომარე. პასუხი, ქეთათო: მისი საქციელის გამართლება შეუძლებელია. საჭიროა დრო, რათა მან გაიაზროს ყ ლაფერი, მოინანიოს, აწონ-დაწონოს...

ქეთათო. ალა!.. მე მის გამალთლებას ალც გთქოვთ!.. ნუთუ, ლაც მე ვთქვი, აცეთი გაუგებალია თქვენთვიც?.. მე აქ ალა კონკლეტული ადამიანიც, ალამედ ძოგადად - საუკუნიც პატიებაც გთქოვთ... ლელიგიული სენდობა, ოგონდ საკაცობლიო კონტექსტსი!.. (კვლავ ცქმუტავს) იმიტომ კი ალ გთქოვთ ამას, ლომ პილადი ინტელესი მამოძლავებს... (ხმა აუკანკალდება, ტირილს აპირებს)

ბებია. აალა, ბება!

ქეთათო. ...საელთოთ პილველი მე ვაძევდი მამაც სენისნას! (გამყივანი ხმით აბლავლდება)

ბრალდებულის ადვოკატი. ჩა... ჩა-ჩა... ეეე...

სხდომის თავმჯდომარე. (თანაშემწეს) თქვენი ბრალია. როგორ შეიძლებოდა ბავშვისთვის სიტყვის მიცემა?!

ბებია. (ქეთათოს ხელში აიყვანს, ქოთქოთით მიდის გასასვლელისაკენ) სანამ არ ჩააფსმევინა, მანამდე არ მოეშვა, რა!.. მყავს ეგეც - მოსამართლე!... აალა, ბება, ალა! თუდი ეგ, თუდი!..

დარბაზში აყალ-მაყალია, სხდომის თავმჯდომარე საზოგადოებას წესრიგისაკენ მოუწოდებს, ქეთათოს მამა, უკვე მერამდენედ, კოცნის თავის ხის ჯვარს. ქეთათო გამკივანი ხმით ტირის.

ერთ-ერთი დამსწრე. დაგვაჯვა რა, ამ ბავშვმა თავზე...

ფარდა

*2001*

არილი



თინიკო ხუბურიძე

# ბურთი და თავი

## ნაწილი I



მე ავიღე
რეზინის ბურთი და გავტყორცნე
შორს. ფეხების ქვეშ კი მიდიოდა
მდინარე
და ჩემს აკანკალებულ ანარეკლს
ამშვიდებდნენ თხელი თევზები.
ქარხნის მილებზე
შემომსხდარი ბიჭები აფურთხებდნენ
მდინარეში დაგროვილ სპაზმებს.
ნაგვის გროვაში თეთრი ხოჭოები
მიასვენებდნენ შვილებს
და გამოხრულ ძვლებში მარხავდნენ.
მე ავიღე
რეზინის ბურთი და გადავუგდე
იქვე მდგარ მოხუცს. რომლის
უზარმაზარი თავი ჰგავდა
მზეს. და
ბურთი დაიწვა. მიმოვიხედე და
ვერაფერიც ველარ ავიღე. ვერაფერიც
ველარ გადავუგდე ვერავის ვერსად.
შორს
ქარხნის მილები აფურთხებდნენ
ცივ მდინარეში და ქუჩაში
ბავშვები თამაშობდნენ
ბურთით.
ჩემს აკანკალებულ ანარეკლს
გადავხვიე ხელი და ვუჩურჩულე
ყელში
სხვისი სიმშვიდე.

## ნაწილი II

მე ვიწექი
გატეხილი ბეჭდის გვერდით და მისი
თვალი
მინათებდა მუხლისთავებს.
მრგვალ მინდორში მუშები თესავდნენ
მზეებს და გაზაფხულზე ბარავდნენ
გულმოდგინედ.

სხვა მზეები ცაში ბჭობდნენ იმაზე
თუ როგორ ამოეთხარათ
ძმები მზეები.
გულმოდგინე მუშები კი შუბლიდან
ხელის ზურგით იწმენდდნენ ოფლს
და ჩალის ქუდებს კიდებდნენ
ხეებზე.
მე ვიწექი
ზურგზე და ნაგასაკში გაბნეული
ატომური ბომბების კვამლი მიკენკავდა
ფილტვებს
რომლებიც მეწყო მიწაზე ხელებთან
ერთად.
ბავშვებს მზის ყანაში გადაუვარდათ
ბურთი და გადაწყვიტეს გაქცევა იქ
სადაც არ იქნებოდა ყანები და
მუშები
გაუბერავდნენ მზისხელა ბურთებს.

## ნაწილი III

მე არ ვიწექი
მიწაზე. არც ბალახზე და საერთოდ
ვეკიდე სარეცხის თოკზე თავდაყირა -
მზეზე ვშრებოდი.
ხელებიდან კი ვწვეთავდი წყალს.
ჩქარ მდინარეში ჩანდა ცა.
კიდევ ხიდი. კიდევ თვითმფრინავი
რომელსაც ნაგასაკში
მიჰქონდა ბომბები
და პილოტებს ეკეთათ მზის სათვალე.
აი ეს ჩანდა მდინარეში
კიდევ.
მე არც ვიჯექი. არც ვიწექი ბალახზე
თუნდაც
მიწაზე -
ვჩანდი გაღმა
იქ მინდორში იაპონელ ბავშვებს
ვუკრეფავდი ბურთებს და ესეც ჩანდა
მდინარეში კიდევ.
სხვა არაფერი. სხვა არაფერი
არ იყო ირგვლივ.

## მკვდარი თოვლი

არ იცი რა ხდება ჩემს
გარეთ. დახურე კარი.
სინათლე გაქრა მზენაკრავი თხელი
თოვლივით.
ამიტომაც ხელისცეცებით მოძებნე რამე
ჩამოჯექი სულ ერთი წუთით
ვიდრე სამოვარი წამოდუღდებოდეს
კარაქარეულ თაფლიან პურზე
დავატყობდე უკანასკნელ ნაკბილარებს და
უხვად შეყრილ კაბის ნაოჭებს შევისწორებდე.
მერე ერთად გავიდეთ გარეთ
სადაც ყოჩაღმა მამაჩემმა დაბარა
მიწა.
შავი მიწა დაიფარა ნორჩი ფუტკრებით
იმის გარეთ კი ამოქოლეს მაღალი კარი.
ჩვენ დავრჩით შიგნით -
მოგვატყუეს უსინათლო თეთრმა
ხელებმა
ამ სამოვარსაც წაექცა ფეხი -
მეურმეები კეთილ ხარებს უქნევენ შოლტებს
იმათ ყვირილმა შეარხია
ჩემს მუხლებზე დაფენილი კაბის ნაოჭი.
ჩვენ დავრჩით შიგნით -
მე დავინახე
როგორ ასწია მამაჩემმა დაღლილი თავი.
შენც ხომ შეხედე
ჩემს მხრებს იქით მზემ მოკლა თოვლი
და გამარჯვების ნიშნად შეჰკივლა.
დახურე კარი.
შენ არ იცოდი რა ხდებოდა
ჩემს იქით. გარეთ.
შენ გინდა რომ დამგლიჯონ ძაღლებმა
ცოფიანმა ძაღლებმა ჩამოგლიჯონ ფარდა
ჩემი ფანჯრის
რომლის მიღმაც გამვლელების ცნობისმოყვარე.
თავებს ვთლი და
ჭერში ვაწყობ.
იმათ ფეხებზე დაბერილი ძარღვები
მამუნჯებენ -
თმები მცვივა.
თმები ორმოში.
შავი კატები კნავიან თვალებთან.
არა. ფერი
(ც) არ იცვლება -
აი ხელები: თითები არასწორია და
დედაბერი ჯოხს მიკაკუნებს თავში
მეზობლის ქალები კი წველიან თბილ ძროხებს.
ფერები დამექცა პენიცილინის ბოთლიდან
მინდორში ამიტომაც გაჩეხეს ზვინები და
აყვავებული ნაძვები
სახეში მირტყამენ ფესვებს.
ერთი თბილი ძროხა
უკვე დაკლეს კაცებმა.
ალბათ შეჭამენ
არა ფერი (ც) -
დაჭრიან და ჩაუშვებენ ორმოში.
შენ კი გინდა რომ დამგლიჯონ ძაღლებმა
ცოფიანმა ძაღლებმა ჩამოგლიჯონ
იმათ ფეხებზე დაბერილი ძარღვები.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გუჩა კვარაცხელია



### რატომ არ ვდუმვარ

...ახლა იმაზე,
შეშლილი თვალებით როგორ შემომაჩერდა ხე,
გაუნძრევლად მდგარ
გაფრენისთვის მუდამ მზადმყოფი;
ჭკნობის თვლემა რომ დამიფრთხო
და მოლოდინის ჟრუანტელები
აავუსფუსა
უსახელო სურვილების
დაწვრილებულ ბილიკზე.
სწორედ იმაზე,
კარს რომ გამოაღებ
და დუმილიდან გამოხვალ ფრთხილად,
რათა
ლექსიკური ერთეულების
დაგრძელებულ ჩრდილებს
არ დააბიჯო.
ამ უნივთობის ანბანოვან ერთგულებაში
მარადისობის ფხაა გარჭობილი -
ჰერბარიუმის ჭიკარტი,
ხიჭვივით ვერაგი.
დაგვალულ ყამირზე კი
თავის ნებაზეა მიგდებული
სიჩუმის ღარი,
უფრო ნოყიერი, ვიდრე
საჭირო სიტყვების
მოყირჭებული სასუქი.
მაგრამ
შეშლილი თვალებით შემომაჩერდა ხე,
ცისკენ მიმსწრაფი
და გულისგულში ჩამწყვდეული სიჭაბუკის
მავედრებელი მზერით
დამამუნათა.

### გადადებული თარიღები

გულმავიწყობის
ადამიანურ
შუალედებში
შელახული თარიღების
გვერდული ცეკვა.
შემოიარე კვირის ბოლოს!
ხსოვნის ღიობში
გაბნეული თარიღების,
სურნელივით
უწონადი,
უბგერო
და უხილავი,
კვალი.
ორ კვირაში მინახულე!
შიშშილის ბეწვის
ვერცხლისფრობით
გაბეზრებულ საყელოში
ჩარგული ღვარძლიანი კაჭრობა:
მხედარი აგაცალეს ორმაგი ქიშით.
ჰა-ჰა!
დამირეკე ამ თვის ბოლოს!
ბოშური ბრუჟი,
მარჟუჟები
მახრჩობელა თუთუნის.
უხმაურო ბოლის ზოლზე
იდუმალი გადაფრენა ბუზის.
შუაგულში ამოზრდილი
შროშანული კდემა
კოლხური
და...
ჩემი, ჩემი...
წლის დასასრულს შემახსენე!
ქვევით მიდის
ერთი ცხენის შესაბმელი
თარიღების მარაბანი.
დაბნეული
მიყვიტყვიტებს
ნარინჯისფერბაგიანი
და
ვარდისფერტერფიანი
ბატი.
ყოფნის ბოლოს,
არყოფნასთან დამელოდე!

### ტყუილი თუ მართალი

შენობიდან შენობაზე
თონესავით ახურებული
სახურავებით
გადადის კატა,
თავისებურად მშვენიერი.
თავისებურად უშიშარი.
ფეხაკრეფილი ნაბიჯით
ამცნობს მობინადრეებს
მობრძანებას
საკუთარ ფეოდში.
ჯვრისსილუეტიანი ანტენიდან
აფრინდნენ ბეღურები
და აკაციაზე გადასხდნენ.
ჩაიარა.
თვალიც არ გაუყოლებია
არც ერთისთვის,
უბრალოდ
ღამენათევის მოხეტიალე მზერით
მიმოიხედა.

ეროვნული

განაგრძო სვლა.
მანსარდის სარკმლიდან
თავი გამოყო გოგომ
და მხურვალე ჰაერის
ლივლივისგან დაზიგზაგებულ
კუდსღა მოჰკრა თვალი,
რომელსაც პატრონი
დაღლილობის სიზანტესთან ერთად მიათრევდა.

### შემთხვევითი და ხანმოკლე განწყობილება

ქვის ქვეშ ნადებ მიწაში
ნოტიოდ მოყავისფრო მატლი
შეირხა.
მთავარი ფიქრის მომიჯნავე ფიქრებმა
გზიდან გადამაგდეს.
რომელს უნდა ვენდო?
შავი ფრინველი ჩაეშვა ხევში.
მარტოობით აღმუვლდა ღრანტე.
მე ვიდექი დუმილის ხნულში
წლების მდინარედ გადაქცეული
და ვარწევდი
მთვარის ვერცხლისფერ აკვანს.
რამდენი სახელიც დამარქვეს,
არც ერთი ნამდვილი არ იყო.
ნადირის უხმო ნაბიჯებით
რბილად გადამირბინა დღემ,
ღამისგან დევნილმა.
ჭირვეულად მომწყინდა
დღე და ღამის დაჭირობანა
და უფრო დიდი ღამის მოლოდინში
ტკბილ-ნაღვლიანად გავირინდე.
ის მოვა, დაყოვნდება
და ისეთი ჩუმი იქნება,
სიზმრის გაფრენასაც გავიგონებ.
მაგრამ იმ ღამის ძილი
უსიზმრებო რომ იყოს?



ტომაზო ლანდოლფი

# ხელები



ფედერიკო შინ ბრუნდებოდა. ეზოში შესულს მოზეიმედ შეახტა სახლის სადარაჯოდ დატოვებული ბებერი მეძებარი ძუკნა. სამი მხრიდან დახშული ეზო ბოსტანს ესაზღვრებოდა, მის მიღმა კი, დაბალი სახლების იქით ვიწრო ვაკე გადაჭიმულიყო, რომელიც დამრეცად უერთდებოდა ჰორიზონტზე აღმართულ მომრგვალებული ბორცვებისგან შემდგარ ქედს. ღრუბლებით დაფარული მთვარე მას მქრქალი და ბინდიანი შუქით ანათებდა.

ფედერიკო სრულიად მარტო ცხოვრობდა თავის დიდსა და უკაცრიელ სახლში. საქმის გასამარტივებლად იგი შინ გვერდითი კარიდან შედიოდა ხოლმე, საიდანაც ორი უბადრუკი სათავსოსა და ერთი საკუჭნაოს გავლით ბოლოსდაბოლოს აღწევდა სამზარეულომდე, რომელიც ელექტრონათურით აღჭურვილი პირველი სათავსო იყო. ფედერიკომ მძიმე კლიტე მოარგო საკეტს ოხვრითა და წუწუნით სოფლური ცხოვრების დაუძლეველი მოწყენილობის გამო, რომელიც გვიანი ვახშმის მაუწყებელი კედლის საათის გულისწამღები რეკვით ცარიელსა და მარტოობით სავსე საღამოს პირდებოდა.

ძუკნასაც უნდოდა შინ შესვლა, ამიტომაც გაღება არ აცალა, ლოდსატყორცნიდან გამოსროლილი ქვის სისწრაფით მივარდა კარს და წინა თათები დაუშინა. მაგრამ იქ ფეხებში გაებლანდა პატრონს და მისგან დატუქსულმა უეცრად გაიხსენა სადღაც გადამალული გამომშრალი და ლაპლაპა ძვალი, უკან გამოიქცა, სამალავიდან გამოჩხრიკა თავისი განძი და ხმაურიანად დაატრიალა ყბებში.

პირველი სათავსოს გავლისას ფედერიკოს ყურადღება ჩუმმა ჭრაჭუნმა მიიპყრო. თაგვიაო, გაიფიქრა, რადგან იქაურობას არ აკლდნენ. მართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც, როცა ასანთი აანთო, ერთ მსუქან ვირთაგვას მოჰკრა თვალი, რომელიც აქეთ-იქით აწყდებოდა და კედლის გასწვრივ მიიჩქაროდა ძველსა და ხმარებიდან გამოსულ ავზში დასამალავად. ფედერიკომ გაიხსენა, როგორ სძულდა ძაღლს ვირთხები (ჯერ კიდევ ბავშვობაში ხომ თვითონ დაათრევდა მას სხვენში თაგვების გამოსადევნად და ძაღლიც, პატრონის საამებლად, ზომაზე მეტად გამოიჩენდა ხოლმე თავს) და გადაწყვიტა თავი შეექცია ამ ღამეული ნადირობით. ძაღლს მოუხმო, მაგრამ გარეთ მისი ღრღნის ხმაური კადნიერად არღვევდა ღამის დუმილს. ფედერიკომ ბოლოსდაბოლოს მოახერხა თავისი ხმა საკმარისად დაეტვირთა მომთხოვნელობით, თანაც იმდენი სასიამოვნო დაპირებაც გაურია მოწოდებაში, რომ ძუკნა იძულებული გახდა შეეწყვიტა თავისი საქმიანობა და ერთთავად აგზნებული გამოქცეულიყო. ფედერიკომ მიუთითა იმ ადგილისაკენ, სადაც ვირთაგვა ეგულებოდა და საქმის გასაადვილებლად რამდენჯერმე ძლიერად დაჰკრა ხელი ავზის თავსახურს. შეშინებულმა ვირთაგვამ სასწრაფოდ მიატოვა თავისი სამალავი. პატარა ბრჭყალების მღელვარე ჩქამმა მონიშნა მისი ტრაექტორია იატაკზე ძაღლის თათებს შორის, რომელმაც ვერ შეძლო მისი ჩავლება და თვალთახედვის არიდანაც დაკარგა ვირთხა. და თუმცა ადამიანის ყნოსვა ვერაფერია ძაღლის გეშთან შედარებით, კაცის თვალი ძაღლის თვალზე ბევრად მახვილია: ფედერიკოს ყველა საფუძველი ჰქონდა ევარაუდა, რომ ვირთაგვა (არავინ იცის, რატომ სხვა მხარეს არ გაქცეულა) იმ რკინის სკივრს ქვეშ შეიყუჟა, რომელიც უშუალოდ იატაკზე კი არ იდგა, არამედ აბანოს ძველი კედლიდან შემორჩენილ ხის ძელებზე. ძაღლი ახლოს მიიყვანა და ბებერმა ძუკნამაც იმის მაგიერ, რომ სკივრის გარშემო ფხაკური დაეწყო, სულ მთლად დაძაბული გაირინდა სკივრიდან მოშორებით სწორედ იმ გზაზე, რომელსაც ქვეშიდან გამოქცეული ვირთაგვა უნდა დადგომოდა. ფედერიკომ წიხლები დაუშინა სკივრს და ხის ძელებიც შეარყია, მაგრამ სულიერი არ გამოჩენილა. ფედერიკომ იფიქრა, შევცდიო, და გართობით უკვე საკმაოდ გაბეზრებული სათავსოს სიღრმეში გაეშურა. იქიდან გაიგონა, როგორ ფხაკურობდა და წკმუტუნებდა ძაღლი იმის უტყუარ ნიშნად, რომ სკივრის ქვეშ მართლაც იმალებოდა ვირთაგვა. ძაღლს აქამდე პატრონისათვის მიენდო თავისი მოვალეობა, ამიტომაც დუმდა და მისგან ელოდა მოქმედებას, მაგრამ როგორც კი დაინახა, რომ ფედერიკო უომრად სტოვებდა ბრძოლის ველს, მოუსვენრობა გამოამჟღავნა. საქმის ამგვარმა შემობრუნებამ ფედერიკოს კვლავ გაუღვიძა საბრძოლო ჟინი და უკვე ადამისდროინდელი შანდლით შეიარაღებული დააბრუნა ძველ გზაზე.

შანდალი მიწაზე დადგა და ერთი მხრიდან წამოსწია სკივრი: ეშმაკი ცხოველი მართლაც ქვეშ იყო მომწყვდეული და მის გარშემო ატეხილი ხმაურის მიუხედავად სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა. სააშკარაოზე გამოყვანილმა უცებ ვერ შეძლო მიმართულების არჩევა და გიჟურად აწყდებოდა აქეთ-იქით ხის ძელებს შორის: ასე მტრის თათებისაგან თავის დაღწევას მაინც შეძლებდა, რადგანაც ძაღლს სამოქმედო არის შეზღუდულობა ხელს უშლიდა, საბოლოოდ დაპატრონებოდა თავის მსხვერპლს.

ორ ცხოველს შორის ცხარე ბრძოლა გაიმართა, ვირთაგვას გამყივანი წრიპინის თანხლებით. ეს მის ვეებერთელა მტერზე დიდ ზეგავლენას ახდენდა, რადგანაც იგი უფრთხილდებოდა თავისი ლაშების სველ დაუცველობას და ვერ ბედავდა მსხვერპლისთვის პირის დავლებას, არამედ დროდადრო მრისხანედ დაუღრჭიალებდა კბილებს ცხვირწინ, მერე კი მსწრაფლ უკუიქცეოდა. ამრიგად, ხის ძელებს შორის მომწყვდეული და ამ ძელებით დაცული ვირთაგვა, რომლის ყველაზე მოწყვლადი ადგილები ძაღლისთვის მიუწვდომელი იყო, მხოლოდ უშველებელ დრუნჩს ებრძოდა. ბოლოსდაბოლოს, როცა მდგომარეობა სრულიად აუტანელი გახდა, ვირთაგვამ მარჯვე ილეთით მოატყუა ძუკნა და ეზოსკენ გავარდა.

ძაღლმა წამში დასძლია მარცხით გამოწვეული გაოგნება, ელვის უსწრაფესად გამოუდგა უკან და მისმა ნახტომმა სანთლის ალი ჩააქრო. ძაღლის თათების ორი დარტყმა ვირთაგვას მრავალი ნაბიჯის ტოლი იყო, ამიტომაც ეზოში დევნა დიდხანს არ გაგრძელებულა.

ფედერიკო, მომხდარის უბრალო მოწმე, გარეთ გამოვიდა. ძუკნას სხეულის შუა ნაწილში დაევლო პირი ვირთაგვისათვის და ძლიერად აქნევდა მას ჰაერში, ერთი მხრივ, მოსახრჩობად, მეორე მხრივ კი, რათა თვით მოძრაობის ძალით შეეშალა ვირთაგვისთვის დრუნჩის ნაზ კანზე კბენა. ცოტა ხნის შემდეგ მიწაზე აგდებდა ვირთაგვას, თავისი მოქმედების შედეგზე დასაკვირვებლად. სულ მთლად დამტვრეული და დაჟეჟილი ვირთაგვა წამიერი უძრაობის შემდეგ ცდილობდა გვერდზე გახოხებას და ძაღლიც კვლავ კბილებში იმწყვდევდა. მაგრამ ეს ძუკნას ცინცხალი მგრძნობელობისთვის ყველაზე მძიმე მომენტები იყო, რადგან ვირთაგვა თავის სიცოცხლეს ძვირად უფასებდა და პირაღმა დაგდებული - რაც მისი საბრძოლო პოზიციაა - შეძლებისდაგვარად იცავდა თავს ხელებით (ვირთაგვას თათები ხომ მართლაც მომჩვარულ ხელებს ჰგავს) და კბილებით. გამორიცხული არც ის არის, რომ რაღაც ზიზღის მაგვარი აბრკოლებდა ძაღლის გადამწყვეტ მოქმედებას, ან სულაც ნერვებს უშლიდა ვირთაგვას პატარა, ხეშეში ბეწვებით შეიარაღებული დინგი.

აქ ფედერიკომ შენიშნა, რომ ვირთაგვა გაქცევისა და ბრძოლის მცდელობისას უკან რაღაც გრძელი და მქრქალად მოლაპლაპე ჭიპლარის მაგვარს მიათრევდა, რომელიც ხან სხეულის გარშემო ეხვეოდა, ქვევით, ხანაც ეზოს მტვერში იგანგლებოდა, ასე რომ ცოტა ხანში სრულიად დაკარგა თავისი მწირი ელვარება. ფედერიკო დაიხარა და მთვარის სუსტ ნათელში დააკვირდა საგანს. აღმოაჩინა, რომ ეს ნაწლავი იყო და გაიოცა მისი სიგრძე და სიწვრილე. შიშით მოცული გაიქცა



უკან, რათა ეზოში შუქი აენთო: ნამდვილად ნაწლავი იყო, თუმცა უკვე ძნელად საცნობი და მტვრიანი. ცხოველის სხეულს არ სწყდებოდა და სწორედ რომ ჭიპლარის მსგავსად გამოდიოდა მისი მუცლიდან. ახლა, გაქცევის ერთ-ერთი მცდელობისას გამოშვერილ ქვას მოედო და ორად გაწყდა, თუმცალა უგრძესი ნაწილი კვლავაც დასთრევდა სხეულს და იმეორებდა ყოველ მის კრუნჩხვას.

ვირთაგვა უკვე სრულიად დამარცხებული იყო და უცნაურ პოზაში იწვა, უკანა მხარეს მუცელს იყო დაყრდნობილი, წინა მხრით კი გვერდზე გაწოლილიყო, ისე რომ წინა ხელები მიწის ზედაპირის პარალელურად გაეშვირა, უკანები კი სასოწარკვეთით გაეფარჩხა. მთელი სხეული აგონიის კრუნჩხვებს მოეცვა, პირი კი გამწარებით ყლაპავდა ჰაერს. ფედერიკომ ვერ გაუძლო ამგვარ სანახაობას და ძაღლი შეაგულიანა ვირთაგვას მოსაკლავად. ოღონდაც უკვე დაკმაყოფილებულმა ძუკნამ ვერაფერი გაიგო: მას შემდეგ რაც მტერი დამარცხებულია რა აზრი აქვს, კიდევ ერთხელ ჩააგდო საფრთხეში საკუთარი ყელის სირბილე? ფედერიკო ახტამის მოსაძებნად გაეშურა, რომ ასე მოეკლა თაგვი. თავის გაჩეჩქვა არ ისურვა, რადგან სისხლის შხეფების შეეშინდა, სხვაგან კი გრძნობდა, რომ ვირთაგვას მსუქანი და რბილი ხორცი ადვილად იჩუტებოდა დარტყმის ქვეშ: ვირთაგვას თითქოსდა სულ არ ჰქონდა ძვლები. იგი განაგრძობდა კრუნჩხვას, რომელიც თითქოსდა უკვე ცნობიერი იყო, და დროდადრო ხელით მიწას ფხაჭნიდა. მისი ოდნავ გადმოკარკლული, შავი და პირქუში თვალები ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე იყურებოდნენ. გვერდზე გაწოლილი ისე ჩანდა, თითქოსდა რაღაც უგრძნობელსა და სისხლიან უძლურებაში იყო ჩავარდნილი. და მაინც, მისი სხეულის უკანა ნაწილი გასაქცევად მზადყოფნას განასახიერებდა. ფედერიკო ამ სხეული სრულმა უმანკოებამ განაცვიფრა. მასთან ბრძოლას განაგრძობდა და დახრჩობა მოუნდომა. ამიტომაც შემოატრიალა ასტამი და ყელზე დააჭირა. უშედეგოდ: ყელი ისევე ნებდებოდა ძალას და ისევე იჩუტებოდა, როგორც დანარჩენი სხეული. რბილი ხორცის სქელი ფენის ქვეშ არც ხერხემლის სიმაგრე იგრძნობოდა. მხოლოდ კანი იჭიმებოდა და აშიშვლებდა უკვე ჩამოკიდებულ ულვაშებს შორის პაწაწინა კბილებს, რადგანაც დაჭერისას თავი უკან იწევდა და პატარა პირი სამკუთხად ილებოდა რაღაცნაირი გამოუთქმელი მხიარულების ნიშნად. ვირთაგვა ახლა ჩვილ ბავშვს ჰგავდა, სატირლად რომ ემზადება, ოღონდაც მწუხარების გარეშე. ფედერიკოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ვირთაგვა ნებივრობდა. იმედდაკარგულმა კვლავ ძაღლს მოუხმო, რომელიც ბოლოსდაბოლოს მიუხვდა სურვილს: ამაზრზენმა ტკაცუნმა დედამიწაზე ჩვენი ვირთაგვის სტუმრობას ბოლო მოუღო, ძაღლმა მას თავის ქალა ჩაუმტვრია.

ბრძოლა სრულიად უსისხლო იყო. მართლაც, სისხლის არც ერთი წვეთი არ ჩანდა არც მიწაზე, არც ვირთაგვას ბეწვზე, არც მისი პირიდან მოედინებოდა. ფედერიკომ კუდით ასწია იგი. კუდის წვერი ბრძოლისას გაიცრიცა და ბალნიანი რგოლების მიღმა ხერხემალი გაშიშვლებოდა. ფედერიკო შუქზე დააკვირდა ვირთაგვას: მუცელზე ძაღლის ეშვით დატოვებული ჩანახევიდან რაღაც ხმელი, დანაოჭებული სოკოს მსგავსი იყო გამოშვერილი და ნაწლავის ნარჩენი. სისხლის კვალი არც აქ ჩანდა.

ფედერიკომ ცხოველი ეზოს შუაგულში დაასვენა, ისე რომ დილას მოსულ მოახლეს დაენახა და, იქნებ, შეშინებოდა. მერე ძაღლს დაუძახა სტვენით და შინ შევიდა.

მას შემდეგ რაც სალათი შეკმაზა, წყალი მოიტანა, ყველა ზედმეტი შუქი ჩააქრო და კიდევ ათასნაირად შეიწუხა თავი, ბოლოსდაბოლოს სავახშმოდ მიუჯდა სუფრას. ერთი რამ დაგვავიწყდა - წიგნი. ამ მარტოსული



ვახშმის თავაპირველი პირობა იყო ფრანგული მასლაათი წარმოდგენილ თანამოსაუბრესთან. ახლაც, როგორც კი კარტოფილის პირვე ნაჭერს დასწვდა ჩანგლით, ფედერიკომ წამოიწყო: ah, oui, Monsieur, je vous l'assure, c'est un spectacle dont vous devriez vous régaler... ასევე განაგრძობდა გამოტენილი პირით, თან მაგიდის მოპირდაპირე მხარეს ისროდა მზერას. ოღონდაც ვირთაგვაზე მოულოდნელმა აზრმა გამსჭვალა მისი გონება, აზრმა კი არა, შინაგანმა მიწისქვეშა გრძნობამ, რაღაცამ, რაც უეცრად და უცნაურად დაუკაკუნა შიგნიდან, მიანიშნა, რომ ჩასძიებოდა, და ასევე სწრაფად განქარვდა. ფედერიკომ განაგრძო ლაპარაკი, შინაგანი ხილვა რამდენჯერმე განმეორდა, თანაც სულ უფრო ძლიერდებოდა: შესაძლოა დიდ დროს გაევლო, სინამდვილეში კი სულ რაღაც რამდენიმე წამში ფედერიკო უკვე მის კარის სიახლოვეს დასვენებული ვირთაგვას თითქმის ფიზიკურმა აღქმამ მოიცვა. და თუმცა მადიანად ჭამა არ შეუწყვეტია, მაინც მოეძალა სევდა, სიბრალული და განსაკუთრებით კი - ყოველგვარ ხილულ მიზეზს მოკლებული წუხილი. მაგიდის ძირს ძაღლი მოადგა და საჭმელი სთხოვა. ამჯერად განსაკუთრებული მოპყრობის იმედი ჰქონდა თავისი წელანდელი სიყოჩაღის წყალობით, და მართლაც, სხვა გზა არ იყო ფედერიკოს აუცილებლად უნდა დაეკმაყოფილებინა იგი. პატრონმა რამდენიმე ნუგბარი ლუკმა დაუდო და თანაც ალერსიც არ დაიშურა, რათა პირუტყვის სამსახური დაეფასებინა.

ვახშმის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, კითხვას შეუდგა. იმხანად ერთი თავისი სეხნიის თავგადასავალს კითხულობდა, სათაურად "სანტიმენტალური აღზრდა", რომელიც ძალიან აინტერესებდა წინაღამემდე. ახლა კი ერთობ მტკნარი ეჩვენა ყველაფერი, თანაც კითხვისგან მხოლოდ გულისრევის გრძნობა გამოჰქონდა და მოუსვენრობაც უზომოდ იზრდებოდა. წიგნში ეძებდა თავისი წინანდელი მწველი შეგრძნების შესაბამისობას და, როგორც ეჩვენებოდა, მხოლოდ რაღაც უსასრულოდ მსუბუქსა და სუსტს პოულობდა. მოითხოვდა, რომ მწერალს გამოეყვანა იგი უფსკრულიდან, მაგრამ მწერალს საკუთარი თავის ამოსაყვანად ძლივს ყოფნიდა და სადღაც თავისთვის ფხაკურობდა.

არაფერი იძლევა სისხლისა და ხორცის უფრო ძლიერ შეგრძნებას, ვიდრე შიგნეულობა და მისი თბილი სიმყრალე. ფედერიკო გრძნობდა, როგორ ახრჩობდა ვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგვას ნაწლავი, როგორ ყელში ამოსდიოდა მისი ხორცი. ამ ქონიანი ხორცის გემო და სუნი მისი არსების პირობად ქცეულიყო და ფედერიკოც მას პირდაპირ და უშუალოდ სისხლით იგემოვნებდა. დასაძინებლად წასვლა იფიქრა, მაგრამ როგორ დაიძინებდა, როცა კარებთან მოკლულის გვამი იდო? ის კი არა, მოეჩვენა, თითქოს ვირთაგვას სული მის გარშემო დაფარფატებდა, თითქმის ხილული და ხელშესახები, ოდნავ საშიშარი და ოდნავაც მოწყალე, თანაც მის საკუთარ სულს ებმოდა ღრმა და დაურღვეველი კავშირით.

ამ მკვლელობის გამოსყიდვა შეუძლებელი იყო, ასე უპატიებელი და უზღავი უნდა დარჩენილიყო სამარადისოდ.

ცუდად ეძინა. სიზმრადაც ზუჩ-მუზარადიანი ვირთაგვების ერთი გრძელი მწყობრი იხილა, ხელით რომ შავ თოკს ეჭიდებოდნენ, წინ უვლიდნენ და მოხდენილად თავს უკრავდნენ. ერთმა საშუალო ზომის ვირთაგვამ წინ გადადგა ნაბიჯი და მთელი მწყობრი გააჩერა, ნაღვლიანად შეხედა ფედერიკოს და მძიმე ადამიანური ხმით უთხრა: კეთილი, შეგინდობ. ამის შემდეგ ყოველივე დასრულდა ყურისწამღები წრიპინითა და რაღაცნაირი ფერხულით, რომელიც ღამეულ სივრცეში იკარგებოდა. "ვიპოვნი! აუცილებლად ვიპოვნი მას!" - თავის თავს ეუბნებოდა ფედერიკო და გახარებულმა იმით, რომ ხელთ გზამკვლევი ეჭირა, შორს ჰაერში გადატყორცნა წვრილი ნაწლავი (სწორედ ეს იყო შავი თოკი, რომელსაც ეჭიდებოდნენ ვირთაგვები), პირქუში ჰორიზონტისკენ. მაგრამ ნაწლავს ბოლო არ უჩანდა და ფედერიკოსაც, რომელიც მრავალი საათის განმავლობაში ბნელი ხეობების თავზე დაფრინავდა, ბოლოსდაბოლოს სუნთქვა შეეკრა და გამოეღვიძა.

ვირთაგვას პატარა გვამს რიჟრაჟი დაჰნათოდა. ამ ნათებას მქრქალად ირეკლავდა მისი პატარა, გადმოკარკლული და უკვე ჩამქრალი თვალები. კეთილსინდისიერი მოხელეების იერითა და იმგვარი დასიებული თვალებით, ქალაქის ქუჩებში რომ შეგხვდება ზამთრის დილას, მის გარშემო მრავალი საქმიანი ჭიანჭველა ირეოდა. ეზოში მდგარი აკაციები მათი დღის დასაწყისში თითქოსდა ყელის ჩაწმენდას ცდილობდნენ. ოდნავ მოშორებით თითქმის გამომშრალი ეგდო ნაწლავის ნაგლეჯი. თხრილში ჩაწოლილი ძაღლი დილის ნიავზე თრთოდა.

ფედერიკო ღამის პერანგში გამოვიდა ეზოში, მიწიდან აიღო ვირთაგვა, ჩამოაფერთხა ჭიანჭველები და ხელახლა შეათვალიერა: ამოგლეჯილი შიგანი სულ დამტვერილი იყო, საბრალო ცოცხალი ხორცი. ფედერიკომ ულვაშები გაუსწორა, ზურგით მკერდზე მიიხუტა და ბავშვივით დაუწყო რწევა. თან ლოყა მიადო და ბეწვზე ეფერებოდა. ძაღლის ნაკბილარი შენიშნა, უბეწვო ადგილი პაწაწინა მხარზე. ზედ სალოკი თითი გადაუსვა, თითქოსდა ტკივილის დასაამებლად. "ჩემო თაგუნავ! ჩემო პატარა საბრალო თაგუნავ!" - კვნესოდა და კვნესით ჩადიოდა ბოსტნისკენ მიმავალ კიბეებზე ჩადიოდა ვირთაგვას გვამს ჩახუტებული. ბოსტანში უცნაური საგალობელი აღავლინა და საქმეს შეუდგა, როგორც პატარა გოგონა, რომელიც თავის თოჯინას ასაფლავებს. დაიჩოქა, პატარა ორმო ამოთხარა, იქ სათუთად ჩაასვენა ვირთაგვა და მიწა მიაყარა. "მშვიდად განისვენე, ჩემო საბრალო თაგუნავ!" - გაიმეორა და დიდხანს დარჩა დაჩოქილი და მიწის პატარა გორაკს დაშტერებული. მოპირდაპირე სახლის ფანჯრიდან მას ვიღაც გლეხის ქალი უყურებდა საოცარი ცნობისმოყვარეობით. წამოდგა და თავის გრძელ ღამის პერანგში ღირსეული ნაბიჯით გაემართა შინისაკენ, თან მაღალი ხმით გალობდა საეკლესიო ხმაზე, როგორც სტიქაროსნობის დროიდან იყო მიჩვეული.

ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ფედერიკო გაგიჟდა. ვგონებ, მისგან პროვინციის საუკეთესო ადვოკატთაგანი დადგა და თავის ძაღლთანაც ბოლომდე შეინარჩუნა მეგობრობა. მაგრამ ერთი სისუსტე კი დაემართა: ხანდახან, მაშინაც, როცა თმები უკვე შეევერცხლა, დახეტიალობდა თავისი სახლის უკაცრიელ ოთახებში, საკუჭნაოებში, სათავსოებში და იძახდა: მოდით, პატარა თაგუნებო, მოდით, გულში ჩაგიხუტოთ!.. პატარა თაგუნებიც, როცა მათთან შეხვედრის ბედი გაუღიმებდა, ინტერესითა და ოდნავი შიშით უყურებდნენ მას თავიანთი მრგვალი მოლაპლაპე თვალებით და მის წინ იწყებდნენ შლიგინს შორეული მეხის მაგვარი მსუბუქი გუგუნით.

იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარია

არილი



## წერილი რედაქციას

ამა წლის "არილის" 22 მარტის ნომერში (N5) დაიბეჭდა ჩემი წერილი: "ოთარ ჭილაძის "აველუმი" - ახალი ტიპის ქართული რომანი. რანგობრივად და თვისობრივად ახალი საფეხური ქართული პროზის ისტორიაში". პირადად ჩემი უყურადღებობისა და დაუდევრობის გამო ერთ-ერთი წინადადება არასრულად დაიბეჭდა, სახელდობრ, ამოვარდა წინადადების ბოლო ნაწილი, რამაც შეიძლება გარკვეული უსიამოვნო გაუგებრობა გამოიწვიოს. დაბეჭდილია: "საოცრად არასენტიმენტალურსა და ანტიპათეტიკურ, უაღრესად მჭმუნვარე რომანში აქა-იქ სათუთი, ნაზი ლირიზმი შემოეფრქვევა ხოლმე მკითხველს" (გვ.4). აკლია დაბოლოება: "ქართული პოეზიიდან ფარული ციტატების სახით (ავტორების მოუხსენებლად), რაც ორგანულად ეწერება რომანის ძირითად ტექსტში და რაც სავსებით ლეგიტიმური ხერხია თანამედროვე რომანში".

ამ სამწუხარო ხარვეზის გამო გულწრფელ ბოდიშს ვუხდი ბატონ ოთარ ჭილაძეს, რედაქციასა და მკითხველებს.

*დიდი პატივისცემით, ნოდარ კაკაბაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრეი ბელი

# იბსენი და დოსტოევსკი

## წიგნიდან - "სიმბოლიზმი და კულტურის ფილოსოფია"



1.

დოსტოევსკის სახელი დარჩება რუსული სიტყვიერების ისტორიაში - იგი დიდი მხატვარია. არის თუ არა უდიდესი, ამას დრო გვიჩვენებს. ჯერ ჩვენ ახლოს ვდგავართ მასთან, ჯერ არ შეგვიძლია მივუჩინოთ კუთვნილი ადგილი რუსულ სიტყვიერებაში. ცოტა ხნის წინ ჯერ ისევ ლანძღვა-გინებით იკლებდნენ, დღეს კი დოსტოევსკის სახელს ყველა ერთხმად, ერთ გუნდად შეკრული აქებს და ადიდებს. მაგრამ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მაქებართა ამ გუნდში მადეტონირებელი ხმებიც საკმაოდ ძლიერად ჟღერს. ჩვენ, როგორც დოსტოევსკის ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს, ეს ხმები ვალდებულს გვხდის, თავშეკავებით მოვეკიდოთ ყველა იმ პანეგირიკს, რუსი მწერლის პატივსაცემად რომ გაისმის. მინდა გაგაფრთხილოთ და შევნიშნო, რომ დოსტოევსკის ნიჭიერ მიმდევართა გვერდით, უბადრუკ გადაგვარებულთაც ვხვდებით და ეს უკანასკნელნი განსაკუთრებული აღფრთოვანებით მოიხსენიებენ მას, როგორც თავისიანს. დიახ, დოსტოევსკის აქვს რაღაც საერთო რუსული ლიტერატურის გადაგვარებასთან. ვშიშობ, მისმა კულტმა ვაითუ უქმსიტყვაობამდე მიგვიყვანოს.

დოსტოევსკის არწივის ფრთები არ ჰქონია, იქნებ ღამურას ფრთები ჰქონდა. იგი კრაზანასავით გვნესტრავდა, როცა რუსული ცხოვრება ჩამკვდარი იყო და თავაშვებულობისა და თვითნებობისაგან ვიტანჯებოდით. ჯერ კიდევ არ ვიცი, განმკურნებელია თუ არა მის მიერ მიყენებული იარები. ყოველ შემთხვევაში, იგი არ არის უფრო მეტად საჭირო, ვიდრე იბსენი და ნიცშე, რომლებმაც განმწმენდი ქარიშხალივით გადაუქროლეს დასავლეთს. ქარიშხალი იგი ჩვენც შეგვეხო. ნიცშე და დოსტოევსკი, მათი გზების შედარება ამაოა. მძიმე ენით ასახული მეშჩანობა, სიმხდალე და ჭუჭყი - აი ის, რაც მას ნიცშესაგან განასხვავებს. იგი ზომაზე მეტად არის "ფსიქოლოგიური" იმისათვის, რათა ზიზღი არ გამოიწვიოს. სწორედ აქედან ასკვნიან, რომ დოსტოევსკი ღრმაა, რომ ადამიანს იგი სულის კუთხე-კუნჭულებში სწვდება. მაგრამ ფსიქოლოგიაზე აგებული სიღრმე ხშირად ყალბია. ეს იმ ბურუსების მახეა, რომელიც ზოგჯერ სისაძაგლეების შეთითხნაზეა დაფუძნებული. გაქრება მირაჟი და, იქ, სადაც უფსკრულს ჰქონდა პირი დაღებული, სულის უსიცოცხლო სიბრტყე გადაიშლება.

დიახ, დოსტოევსკის წარმოუდგენელი სირთულე, მისი სახეების არაჩვეულებრივი სიღრმე ის ნახევრად ყალბი უფსკრულია, რომელიც პირდაპირ სიბრტყეზეა დახატული. ბუნდოვნების ბურუსი, სინამდვილესთან მიმართებაში, მეთოდთა აღრევის ნიადაგზე იქმნებოდა. ბურუსი მნიშვნელოვნად აღრმავებდა დოსტოევსკის ტალანტის ბუნებრივ სიღრმეს. იმისათვის, რათა მოვალეობის გამო ერთქმნა ნიცშეანური ბუნტი კარამაზოვის ყოფასთან, გააერთიანო ფორმებში მართლმადიდებლობა და ოფიციალური ხალხურობა, წახვიდე ასეთ უგემოვნებაზე, ჭეშმარიტად უდიდესი თავგზაამბნევი უნდა იყო. იმან, რაც მან აბურდა და აურ-დაურია, საბოლოოდ აუბნია თავგზა მის ნიჭიერ მიმდევრებს (მერეჟკოვსკის, როზანოვს). ზოგიერთ მათ დებულებაზე თვით ეშმაკიც კი თავ-პირს წაიმტვრევს, ვერავითარ შედეგამდე კი ვერ მივა. გვეუბნებიან, რუსულ ლიტერატურას აღსასრული დაუდგაო, ნაცვლად იმისა, რომ გულწრფელად აღიარონ - დოსტოევსკიმ ჭაობში შეგვიყვანა, საჭიროა სხვა გზა ვეძიოთო.

ძლიერი იყო დოსტოევსკი. მან ბოლომდეატარა თავისი უგემოვნობის ტვირთი. მისი მიმდევრების ერთმა ნაწილმა ყადაღა დაადო რუსულ ლიტერატურას, ნაწილი დაუძლურდა, ძალა და ღონე გამოელია უსაგნო შფოთვითა და ბორგვით. დღემდე დოსტოევსკის თაყვანისმცემლები, იმის გამო, რომ მათთვის გაუგებარი იყო მწერლის შემოქმედების ძირითადი თავისებურებანი, იძულებულნი იყვნენ, მდუმარედ ეტარებინათ მისი უგემოვნობის სიმძიმე, მაგრამ თავი ისე დაეჭირათ, თითქოს დამამძიმებელი არც არაფერი ყოფილიყო. ეს გაჩუმება მაშინაც გაგრძელდა, როცა დოსტოევსკის სახელი მზესავით გამობრწყინდა. მაშინ ჩვენ მივიღეთ სურათი, რომელზეც დიდებული ხელმწიფეა გამოხატული და მიუხედავად იმისა, რომ იგი თვალითაც არავის უნახავს, მაინც უნდა ვაქოთ და ვადიდოთ, თუ არ გვინდა, რომ სულელად ჩაგვთვალონ.

რუსული ლიტერატურის აღსასრული, განცხადებული დ.ს.მერეჟკოვსკის მიერ, მხოლოდ და მხოლოდ დოსტოევსკის ჭეშმარიტი სახის განგებ არდანახვის ბუნებრივი შედეგია. თუმცა კი დროა ითქვას, რომ რუსული ლიტერატურის ბედ-იღბალი იმათით არც ამოიწურება და არც განისაზღვრება.

დოსტოევსკი მოპოლიტიკოსო მისტიკოსი იყო. ეს მართლაც საშინელი ნაზავია! რელიგია საზოგადოებრიობასთან თავისუფალი სინთეზის აქტით არის შეთავსებადი. მხოლოდ ამ შემთხვევაში თანხვდება რელიგია საზოგადოებრიობას. ასეთი თანხვდომა კი არ შეიძლება ყოფილიყო დოსტოევსკის ძალზე არამუსიკალურ სულში. აი, რატომ მიიღო მასთან საზოგადოებრიობის უარყოფამ თვით საზოგადოებრიობის პრინციპის სახე. მის სახელს ხულიგნობა და შავრაზმულობა შემოსდგომოდა გარს პირქუშ და მკაცრ შარავანდად ("მკაცრი ტალანტი"). აი, ამიტომაა მისი სულის რელიგიური საიდუმლო პოლიტიკანობით შებღალული.

დოსტოევსკის არ ჰქონდა სმენა. იგი მუდამ იქ დეტონირებდა, მუდამ იმაში იჩენდა სისუსტეს, რაც ყველაზე მთავარი იყო. ყველაფერი, თუ რამ კარგი და დადებითია, მხოლოდ დაპირებებში არსებობს. ჩვილ ყრმათა სამეფოში რომც ყოფილიყო, იგი მასაც წარყვნიდა (იხ."სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საცილო კაცის სიზმარი"). დოსტოევსკის ამაოდ არგებენ ყველაზე რთული ჰარმონიის ფორმულებს, რათა უკეთესად ახსნან მისი მყვირალა, არაჯანსაღი, ტკივილის მომგვრელი ხმა. დღესაც კი არავის ჰყოფნის ვაჟკაცობა, აღიაროს, მთელი ცხოვრება იგი ყალბ ნოტებს იღებდაო. ხელოვნება კი ჰარმონიაა, განსაკუთრებით მუსიკა, ყველაზე კეთილშობილი და სრულყოფილი.

დოსტოევსკის უგემოვნობის დაძლევა მხოლოდ ორი გზით არის შესაძლებელი. ამ გზათა დევიზია: 1. წინ ნიცშესაკენ. 2. უკან გოგოლისაკენ.

დიახ, ჩვენ გოგოლთან და პუშკინთან უნდა დავბრუნდეთ - რუსული ლიტერატურის ამ პირველსათავეებთან, რათა გადავარჩინოთ სიტყვიერება დოსტოევსკის ინკვიზიტორული ხელით მასში ჩათესილი სიკვდილისა და ლპობის თესლისაგან. ანდა, სწორედ ჩვენი ვალია, ლაღი, ნარნარი მუსიკით განვწმინდოთ ფსიქოლოგიის ის ავგიას თავლა, აწ გარდაცვლილმა მწერალმა მემკვიდრეობით რომ დაგვიტოვა.

პუშკინი და გოგოლი ფიქრით მოცულნი დააბიჯებდნენ მწვანე, წყნარ ფანჩატურებსა თუ პეტროგრადის ქვის ყორეებში.

დოსტოევსკი პეტერბურგელი ობივატელის მჩატე ნაბიჯით დაცუნცულებდა და რუსული სიტყვიერებაც ცუნცულით გაჰყვა უკან.

ასეთია ამ ტალანტის ხიბლი და მიმზიდველობა. ასეთია მის მიერ მშობლიური ხელოვნების მიმართ მიყენებული გამოუსწორებელი ზიანი.

2.

სულში დოსტოევსკი ნათელი ცხოვრების ხატს დაატარებდა, მაგრამ მისთვის უცნობი იყო ის გზა, რომელიც სანეტარო ადგილებისაკენ წაიყვანდა. მისი მზერა იქით იყო მიმართული, სადაც ბავშვი-ანგელოზების ნათელი სახეები წარმოაჩენდნენ ახალ რუსულ ქალაქს. აქ, მის ირგვლივ კი ყოველივე ღრუბლით მოცული, პირქუში და ულიმღამო იყო. სუსხიანი შემოდგომის ბურუსში სამიკიტნოების მბჟუტავი სინათლეები გამოკრთოდა. და, დასუნსულებდნენ საეჭვო ყოფაქცევის მეშჩანები - არ ვიცი, ბაცაცა თაღლითები, არ ვიცი, აგენტი მაძებრები.

მომავალი ცხოვრების ნათელ ხატს წარყვნილი ცხოვრების ჩრდილი ჩამოსწოლოდა, რის გამოც ყრმათა იმ ანგელოზურ სახეებზე სფინქსის ღიმილი აღბეჭდილიყო (იხ."სიდრიგაილოვის სიზმარი").

მომავლის ნათელ ვაკე-დაბლობსა და მომავალი რუსეთის ობოლ, უსიხარულო ვაკე-დაბლობს დოსტოევსკი თავისდაუნებურად ერთმანეთში ურევდა. მის გმირებს მთის კამკამა, ცისფერ ჰაერში სურდათ ბანაობა, ბანაობით კი... ბანაობით მხოლოდ ცისფერჩრდილდაკრულ თოვლში ბანაობდნენ, როცა ლაღად გაფრენილი "ტროიკა" იმ ფართო ნატურის... ო, რა ფართო ნატურის ნაბახუსევ ვაჟკაცებს (რაგოჟინსა და მიტკას) ნამქერში აპირქვავებდა.

მთის ნათელი დიდებულება ზეასვლას მოითხოვს, დოსტოევსკის კი არ ჰქონდა მთის ციცაბოების სიმაღლე და დიდებულება. იგი ბედნიერების ქალაქით გახარებულ იმ კაცს ჰგავს, რომელსაც სურს, გახატოს საოცნებო ადგილებით გამოწვეული ნეტარება, მაგრამ მისი მოძრაობა გრაციის კანონებს არ ემორჩილება, რამეთუ მისმა სხეულმა ვერ შეიძინა მთის ალმართებისათვის აუცილებელი მოქნილობა. როდესაც ხედავ ბედნიერი ადამიანის ასეთ სისუსტეს, გეშინია, ვაითუ ის სიტყვები მარადიულ სიხარულზე, რომელმაც განაცვიფრა ჩვენი სმენა, ლოთობით გამოწვეული სიხარული იყოს. ციური სიხარული დახვეწილობასა და სინატიფეს მოითხოვს. იგი ერიდება ნერვიულ ჟესტებსა და აღტყინებას - არამყარი დახვეწილობა სიტლანქესა და უხეშობაზე უარესია. სიმტკიცე და გამძლეობა სათავეს კეთილშობილებიდან იღებს, ხოლო კეთილშობილება ზევით, მთებში ბინადრობს - მასთან ასვლა, აღწევა უნდა შეგეძლოს. მუდმივი სიხარულით მთვრალი ადამიანები სწორედ კეთილშობილებას გამოჰყავს დუქნებსა და სამიკიტნოებიდან, იგი აიძულებს მათ, მორცხვად დამალონ სულის სიმთვრალე მკაცრი მოვალეობის ნიღბით. იგი მათ მთებში ნისლსა და უფსკრულებთან საბრძოლველად უხმობს. მხოლოდ იქ არის ჰარმონიული ლაღი როკვა, სადაც მარადიული ზეცაა. იქ არის მარადიული სიხარული, მხოლოდ იქიდან ჩამოდიან ჩვენთან განწმენდილი ალერსით სავსე ადამიანები: ყინულოვანი ოქროს ნათელი სწვავს ალერსის სისაძაგლეს და მოვალეობით ამაღლებული ჩვენი ცხოვრება ალერსიანად გვიღიმის. იმისათვის, რათა დედამიწა ზეცად გექცეს, უნდა იპოვო ზეცა - ამისათვის ღირს დედამიწის დავიწყება. ჩვენ კი მხოლოდ იმის დავიწყება შეგვიძლია, რასაც ხანგრძლივი განშორების შემდეგ ვუბრუნდებით. განა შეიძლება ჭეშმარიტი სიყვარულით უყვარდეს, სცნობდეს და აფასებდეს დედამიწას ის ადამიანი, ვინც დედამიწისაკენ მოგვიწოდებს, მაგრამ არასოდეს წასულა დედამიწისაგან? გვეუბნებიან, რომ იქ, დედამიწის ქვეშაც არის ზეცა. და რომ ქვევით-ქვევით თუ ვივლით, ახალ ზეცასთან მივალთ. ყველაფერი ასეა, რომ არა ის შიგა ცეცხლი, რომელიც სწვავს ყოველივე ცოცხალს, თუ რამ დედამიწის გულშია. არ შეიძლება ამტკიცო, რომ არ არსებობს ზეციურის საპირისპირო გზები, მაგრამ, საკითხავია, არის კი იგი ადამიანებისათვის განკუთვნილი?

პრაქტიკით დოსტოევსკი თითქოს ივიწყებდა ყოველივე ამას, თუმცა კი შეუძლებელია არ სცოდნოდა თეორიულად. მაგრამ საქმე თეორიაში არ არის, თეორიულად ბევრი რამ კიდევ უფრო ღრმად იცოდა დოსტოევსკიმ. საქმე ისაა, რომ მას თავის სულიერ ზმანებათა, სულიერ ხედვათა სხეულებრივი ნიშნები არ გააჩნდა. იგი მეტისმეტად განყენებულად აღიქვამდა საკუთარი გონების განათებას, ამიტომაც ვერ იქნა სხეულებრივი სინამდვილე სულთან ურთიერთობაში მოყვანილი. აქედან გამომდინარე, დოსტოევსკის გმირები ვერსაიდან მოელოდებოდნენ სხეულებრივ გარდაქმნას. მათი ხილვები სულიერი სნებით გამოწვეულ კრუნჩხვებში იბადებოდა. ყოფიერება მათ შეშლილობის ქაოსისაკენ მიაქანებდა, ხოლო მოვალეობა ტანჯვით გამოწვეულ სიმწარეს მხოლოდ იმიტომ ვერ გაუნელებდათ, რომ არ გააჩნდათ მოვა-







ლეობა. მოვალეობა, ანუ თავისი პირველშობილობა დოსტოევსკიმ დასავლეთს ფსიქოლოგიის ოსპის შეჭამანდის ფასად მიჰყიდა.

მართლაც დიდი სიმტკიცე და გამბედაობაა საჭირო, რათა მოვალეობით ალიჭურვო და ნელი ზესვლით რაც შეიძლება ახლოს მიხვიდე ალფრთოვანების მომგვრელ ხილვასთან. გაცილებით ადვილია, კაცობრიობის გადასარჩენად ლოთები გამოყარო სამიკიტნოებიდან!

არის რაღაც მსგავსება ტრიალ, უსიცოცხლო ტრამალთა პირქუშ სივრცეებსა და ჩვენს ზემოთ გადაჭიმულ ციურ სიმაღლეთა სივრცეებს შორის. მაგრამ მათ შუა მოვალეობისა და ზესვლის ის მთიანი ქვეყანაა განფენილი, რომელიც ხშირად უხილავია თანამედროვე ობივატელის თვალისათვის, მით უმეტეს უხილავია მომავალი ნათლით მოსილი ქალაქის ბინადრებისათვის. დაე, გაშლილი ვაკობი კუზიანმა მთებმა დასეროს, დაე, ნისლმა ჩაძიროს ხეობები, მთის ციცაბოებისაკენ მიმავალ გზათა მიუდგომლობითა და ნაირ-ნაირი საფრთხით ჩვენს შესაშინებლად. მწვერვალზე რომ ვიდგებით, მხოლოდ მაშინღა გავიგებთ, რომ მთები სიცრუეა, ზესვლა კი-ზმანება. მაგრამ სიცრუეცა და ზმანებაც აუცილებელია, რათა ჩამოვიყალიბოთ ნებისყოფა, რათა ჩვენში კეთილშობილების აღზრდა შევძლოთ, რათა შევისწავლოთ ჰარმონიული სიხარულის ჟესტები, ამისათვის თუნდაც დაბრკოლებების გადალახვა მოგვიხდეს.

საუკეთესო რუს ადამიანებში კაცთა მოდგმის უკეთესი მომავლის დანახვის წინასწარმეტყველური ნიჭია ჩადებული, მაგრამ ოცნებისას რუს ადამიანებს სამარცხვინო აწმყო ავიწყდებათ და როდესაც თავისი უნიათო მანიპულაციებით მომავლის სახეებს ბაძავენ, ჩვენ ისინი მაშინ შეშლილთა სახლის ბინადრებს გვაგონებენ.

ზეასასვლელი გზის გაკვალვის კეთილშობილი მოვალეობა დასავლეთის ხვედრია. მაგრამ მთის შვერილები მისადგომად მხოლოდ ღამით ხდება მოსახერხებელი, რის გამოც ამ სამუშაოს შესრულებისას დავიწყებას ეძლევა ზესვლის მიზანი.

აი, რატომ ვართ ვალდებულნი, დავივიწყოთ (თუნდაც დროებით) ჩვენთვის მღელვარების მომგვრელი, მაგრამ უსხეულო დოსტოევსკი, რათა მადლიერებით მივიღოთ ის გზა, რომელზეც იბსენმა მიგვითითა.

3.

როგორც დოსტოევსკი, ისე იბსენი ღრმა ნატურები არიან. გარდა ამისა, დოსტოევსკი ფართო ნატურაა, იბსენი - მაღალი ნატურა.

იბსენსა და დოსტოევსკის ერთი რამ ანათესავებს, ის, რომ ერთიცა და მეორეც ქვეყნიერების მომავლისთვის იბრძვის. ერთი ბევრ რამეს ხედავს, მაგრამ გზა არა აქვს, ამიტომაც აქეთ-იქით აწყდება და სირცხვილის გამო მოსაჩვენებლად თავს ძველი დოგმატებით იცავს. მეორე, მართალია, ნაკლებს ამჩნევს, მაგრამ, სწორად მიდის, წინ იყურება და გზას არა იმდენად მომავლის სურათების, არამედ აწმყოთი მოჩარჩოებული ჩამონაქცევებისა და ქვაცვენილების მიხედვით ირჩევს.

დოსტოევსკი მეოცნებე განმჭვრეტია, იბსენი - განაფული ინჟინერ-მექანიკოსი. შეძლებისდაგვარად, იბსენს დოსტოევსკის გენიალური, მაგრამ ჯერჯერობით უნიადაკო გეგმის რაღაც ნაწილი მაინც მოჰყავს სისრულეში. იგი სულში დაბლობებსა და მთებს მონიშნავს პირველად და ამით დოსტოევსკის ვრცელ, არასაჰაერო სივრცეებს საჰაერო პერსპექტივას უსახავს.

იბსენს სულის ქაოსის ორგანიზებას ახერხებს, იძლევა რელიეფს და რელიეფის მეშვეობით - ქაოსის დამარეგულირებელ სივრცეს. ადამიანებმა, რომლებიც აქამდე მხოლოდ ოცნებობდნენ სიმაღლეზე, მზემდე ამაღლება კი ვერასოდეს შეძლეს, რომლებიც მხოლოდ ვაკეზე დასრიალებდნენ "ტროიკით", უცებ მაღალი კოშკების აგება და ამ კოშკებზე მდუმარედ ზეასვლა იწყეს, რათა მოცემულ გარკვეულ ნაგებობასთან მისულიყვნენ. იბსენი, როგორც სამთო ინჟინერი, კი არ ამარტივებს, არამედ ავიწროებს გარემოს. აი რატომაა იგი დოსტოევსკიზე შეზღუდული, თუმცა იქნებ ნაკლებ მეტიჩარა და უფრო კულტურული ადამიანი.

უნდა გვახსოვდეს, რომ იგი შეზღუდული ეჩვენება ადამიანებს, რომლებიც იმ ნაირნაირ ფსიქოლოგიურ ფოკუსებში არიან გაწაფულები, მრავალი პშიბიშევსკივით ნიჭიერი მწერალი რომ გვიმასპინძლდება, ფსიქოლოგიის დახვეწილობაში ხშირად გაქნილ შულერობასა და კარტების თაღლითურ შეცვლასაც რომ გულისხმობენ. პშიბიშევსკის რომანების გაქნილ გმირებთან შედარებით, ბორგმანები, სოლნესები და რუბეკები კვლავაც მეტისმეტად მძიმე და სწორხაზოვანნი არიან. მაგრამ იბსენის გმირები - ჭეშმარიტი გმირები არიან.

დოსტოევსკისა და იბსენის ტალანტის განსაზღვრა მხოლოდ სხვადასხვა მასშტაბის გამოყენებითაა შესაძლებელი. თუ დოსტოევსკის სიღრმე სიფართოვის ხარისხით განიზომება, იბსენის სიღრმეს სიმაღლე განსაზღვრავს (იგი კოშკზე ადის). სიმაღლე და სიფართოვე - ვიდრე ისინი რაღაც უზენაესით, რაღაც აუცილებლით (ღვთის ქალაქით) არ გაერთიანებულან, დროში ეჯახებიან ერთმანეთს. იბსენი უფრო კეთილშობილია, ვიდრე დოსტოევსკი, ხოლო დოსტოევსკი უფრო ფართე იბსენზე - უფრო ფართე და უფრო დაბალი... იბსენი არისტოკრატია, დოსტოევსკი მეშჩანი... სხვა თანამედროვე ავტორთა გმირები ხშირად სასტუმრო დარბაზების პარკეტებზე დასრიალებენ, ანდა საყვარლებთან ერთად დასეირნობენ - დასეირნობენ და დასრიალებენ სიბრტყეზე, მაშინ, როცა იბსენის გმირები სიმაღლეს ესწრაფვიან. სწორედ აქედან მოდის ამ გმირების სიტლანქე და სიმძიმე, მაგრამ სიმძიმე პოტენციური ენერგიის ნიშანია - იბსენის გმირები საიდუმლო ძალით არიან ძლიერნი. მათი სიტლანქე გვატყვევებს, რამეთუ ავლენენ რა თავისი გმირობით მთის კეთილშობილებას, საჭირო მომენტში არასოდეს ტოვებენ, არ ღალატობენ საქმეს.

ისინი ყოველთვის ადგილზე არიან - ყოველწამიერ მზადყოფნაში - პასუხი აგონ საკუთარ თავსა და საქციელზე. პასუხისმგებლობა მათ ძალაუფლებით აღჭურვილს ხდის. ისინი ადმინისტრატორებს ჰგვანან და წინააღმდეგ დოსტოევსკის პირმოხსნილი, ბინძური სულის სამიკიტნოელი ყბედებისა, მუდამ თავშეკავებულნი, სიტყვაძუნწნი და ძუნწი ჟესტიკულაციისანი არიან.

ადვილია გააკრიტიკო ადმინისტრატორის დუმილი იმ მომენტში, როდესაც მის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, დაიღუპება სამშობლო თუ გადაურჩება. ოცნებების აყოლა, რაც არ უნდა მომხიბვლელი იყოს, არ ეგების მისთვის, ვინაიდან დაკავებული თანამდებობის გამო მუდამ საიმისოდ არის განწირული, უფრო შეზღუდული ჩანდეს, ვიდრე სინამდვილეშია. ის, რომ იბსენის გმირები ნაკლებ კომუნიკაბელურნი და სიტყვაძუნწნი არიან, მათი პასუხისმგებლობიდან მომდინარეობს, მათ ირგვლივ ნიადაგ ნამდვილი ტრაგიკული დაძაბულობაა. ისინი თავის პოსტებზე იღუპებიან. დოსტოევსკის გმირებიდან სიტყვის ნიაღვარი მოსჩქეფს, ისინი ერთთავად საკუთარ თავს დასტირიან და ხშირად წუწუნებენ კიდევაც.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ ენერგია, რომელსაც გრანიტის ლოდების ნამსხვრევებად ქცევა შეუძლია, ამ გიგანტური შრომის თუნდ ერთხელ მაინც ნათლად გაცნობიერებულ მიზანსაც გულისხმობს. და თუ იბსენის გმირები ზეცისაკენ ისწრაფვიან, ესე იგი, იხილეს კიდევაც, თუმცა შემდეგ დაავიწყდათ, როგორი იყო იგი. ხოლო ის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც იხილა ზეცა, ღვთის ქალაქსაც იხილავს. იბსენი არ გვიხატავს ნეტარების სურათებს. მთელი მისი ყურადღება იმისკენაა მიპყრობილი, რომ ახლა, ამ წუთას ფეხი არ დაუსხლტეს და უფსკრულში არ გადაიჩეხოს. წუთიერი საშიშროება მზეს ნისლით ჰფარავს, ძნელდება გმირობის ჩადენა.

იბსენის შემოქმედება მწვარვალისაკენ მიმავალი, ბურუსით მოცული აღმართია. ყინულით დაფარულ მწვერვალზე ქარიშხალი ზუზუნებს. ჭვირვალ ღრუბლებს შორის წვიმისაგან წალეკილი, უბადრუკი, უკაცრიელი ველი ჩანს. იბსენის გმირები მუდამ მთაში ადიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მზისაკენ ისწრაფვიან. დოსტოევსკის გმირები კი მზის ქალაქზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს უკვე ყოფილან იმ ქალაქში, მაშინ როცა ოთახიდან ფეხსაც არ ადგამენ. იბსენის გმირები უყოყმანოდ ილუპებიან მთებში, ერთ სიტყვასაც არ ამბობენ იმაზე, რაზედაც სხვები უბადრუკ სამიკიტნოებში ხმამაღლა გაჰკივიან. ბედნიერება აღელვებს მათ გულებს, მაგრამ მღელვარებით შეპყრობილნი არასოდეს ივიწყებენ გმირობის სიძნელეს, მათ იციან, რომ ექსტაზი საკუთარი ალით ვერ გაანათებს კეთილშობილი ზეასვლის გზებს.

იბსენის გმირები აპოკალიფსის მისტიკით არ არიან ანთებულნი. იქნებ მათ თავისი ცეცხლი სიმაღლისათვის, თავისთვის, შთამომავლობისათვის შეინახეს უმწიკვლოდ, იქნებ უკვე ენთნენ და ახლა მთებს შორის წარსულის ბავშვურ ექსტაზებს ულიმიან, შორეთში გარდასულს. ჩვენ ვერ ვხედავთ მათი სულების ფსკერს, მაშინ როცა დოსტოევსკის გმირები ყოველთვის ფსკერზე იმყოფებიან. დოსტოევსკი რელიგიურია, მაგრამ მისი რელიგიურობის ცეცხლი განცდილის სიტყვიერ ხატვაზე შორს არ მიდის. ეს სურათები მარჯვედაა დაფარული ქრისტიანობის სამოსით. მოხერხებულობა, რომლის მეშვეობითაც თავის ანარქიზმს დოსტოევსკი ქრისტიანობას მოარგებდა, ყოველგვარი საყვედურის ნიადაგს ქმნის მისტიფიკაციასა და გაუცნობიერებელ სიყალბეში მისი დადანაშაულებისათვის.

2192

იბსენის გმირების სიტყვა უფრო უმწიკვლოა, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს ვთქვათ, თითქოს დოსტოევსკის აპოკალიფსური ისტერიკა მათთვის მხოლოდ იმიტომ არის უცხო, რომ ეს უკანასკნელნი თავის სულს ბინძურ სამიკიტნოებში გადმოშლიან. მართალია პირქუშნი არიან იბსენის გმირები, მაგრამ დოსტოევსკის აღტყინება ხომ ხშირად ისტერიკითა და ეპილეფსიით მთავრდება. არ ვიცი, რა უფრო საშინელია - ბედისწერასთან ბრძოლისას სიკვდილის გულგრილი მოლოდინი, თუ კარამაზოვების შმაგი მისტიკა. შეიძლება იყოს რაღაც თანაფარდობა აპოკალიფსსა და ტრაგედიას შორის, მაგრამ არამც და არამც ტრაგედიასა და ეპილეფსიას შორის. მისტიციზმის მთელი ამ კლინიკური ფორმებიდან მისტიფიკაციის ცუდი სუნი მოდის.

იბსენის გმირები მოუქნელები არიან, მათი სიტყვა ენაბრგვილია, ისინი ყოველთვის გარეშე საგნებსა და დამოკიდებულებებზე ლაპარაკობენ. ხოლო როცა ამ დამოკიდებულებებს სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებენ, ეს ძალზე ნათლად და უშუალოდ გამოსდით. იბსენთან გარე სამყარო არსად არ ირღვევა, მაგრამ რატომაა ასე ძლიერი ეს აშკარა, თითქოს ხორცშესხმული სიმბოლოები? რატომ ვთრთით, როცა ბორკმანი არგანს იღებს და ცხოვრებასთან შესაჭიდებლად მიდის? და პირიქით, რატომ არ გვგვრის თრთოლას დოსტოევსკისთან კირილოვის ეს საშინელი სიტყვები: "შატოვ, განგიცდიათ კი ოდესმე მარადიული ჰარმონიის წუთები?"

იბსენთან სამრეკლო მუდამ სამრეკლოდ რჩება, მოცემული იქნება ეს პირდაპირი მნიშვნელობით, თუ მოცემული იქნება, როგორც სიმბოლო. სინამდვილის ჩარჩოები მისთვის არ ფართოვდება გარეგნულად, მაგრამ ყური მიუგდეთ, რამდენი მუსიკაა უბრალო, ცივ სიტყვებში. ვიდრე იბსენის გმირთა სულებში გარდაქმნისათვის ბრძოლა მიდის, სულებში რომელთა შესახებ არაფერი ვუწყით, ისინი ცხოვრების მშენებლობის ძველ, ნაცად ხერხებს და საშუალებებს იყენებენ, დებენ რა მასში მზარდ საიდუმლოებათა ახალ თრთოლვას. სიტყვასა და ოცნებაში იბსენის გმირები დოსტოევსკის გმირებსა და ჩვენი დროის მისტიკოსებთან შედარებით კონსერვატორები, საქმეში კი ნოვატორები არიან. აი, რატომ არიან ისინი უფრო თეურგები, ვიდრე ჩვენ - ახლის ქალაქზე მეოცნებენი. პოსტისადმი პასუხისმგებლობა მათ სიტყვაძუნწს ხდის იქ, სადაც ჩვენ, ზურგს უკან მოგვთრევს დოსტოევსკის მძიმე მემკვიდრეობა და ენად ვართ გაკრეფილები. მაგრამ ხალხი მათ გაჰყვება, კარამაზოვებმა და ვერსილოვებმა კი იციან, რომ უკან არავინ აედევნება და ეს მათ პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. აი რატომ ეგუებიან, რატომ უყურებენ ისინი შემწყნარებლის თვალით საკუთარი გონების განათების უნიადაგობას, რატომ ავრცელებენ განუხორციელებელ საიდუმლოებებს პატიოსანი ადამიანების სატანჯველად და სამწუხაროდ.

იბსენის შემოქმედება არა მხოლოდ მყინვარებისაკენ მოწოდება ან უფსკრულში ვარდნის ასახვაა, არამედ ამავე დროს არის მეცნიერება მწვერვალებისაკენ მიმავალი გზების შესახებ - ხიდების აგების, გრანიტის აფეთქების საინჟინრო ხელოვნება. დაე, დავიწყებულ იყოს ზეასვლის მიზანი. საშუალებათა შესწავლის შემდეგ ისევ გამოჩნდება მიზანი და განიბნევა ცდომილების ნისლი. ოქროს მახვილებმა უკვე მაშინ დაფლითეს ის ნისლი, როცა ნიცშე მთაში გაიჭრა იბსენის გმირების მიერ კარგად გაკვალული გზებით. სწორედ მაშინ გავიგეთ, როგორი თვალისმომჭრელი სიმდიდრე ბრდღვიალებდა მთაში ჩაწოლილ ნისლს იქით და რომ უკვე ველარაფერი დაგვაკავებდა ბარში. დიახ, არის სინათლე! ჩვენ ეს ვიცით და ჩვენთვის საკმარისია ამის ცოდნა. ჩვენ ჯერ შეგვიძლია იოლას წავიდეთ იმ მრავლისაღმთქმელი აპოკალიფსური ექსტაზის გაშერე, რომლის შესახებაც სამიკიტნოებსა ან არღნის ხრინწიან ხმაზე გვმოძღვრავდნენ - კეთილშობილი მარტოობა ასვენებს სამიკიტნოს მისტიკის მარწუხებიდან თავდაღწეულ სულს.

ზარატუსტრას ხმა ჩვენ ახლა რუბეკისა და ბრანდის, თავისუფლების ამ მკაცრი მებრძოლების საფლავებისაკენ გვიხმობს. მრავალი დაპირება გვსმენია სამიკიტნოებში, სადაც მისტიკოსები პოლიციელებს უძმობილდებოდნენ. სადაც დროებითი არაერთხელ გაუსაღებიათ მარადიულად. იქნებ დროა, გამოვემშვიდობოთ ასეთ სიფართოვეს, შევმჭიდროვდეთ, შევვიწროვდეთ, შევიკრათ და იქით გავუყვეთ მთის ბილიკებს, სადაც ჰენრიკ იბსენის განმარტოებული ხატია.

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# უისტან ჰიუ ოდენი



## MUSEE DES BEAUX ARTS[1]

რა კარგად იცნობდნენ ტანჯვას
ისინი, ძველი ოსტატები; როგორ ესმოდათ
მათი, ვინც უკვე იტანჯება, როცა ირგვლივ უმეტესობა
მშვიდად სადილობს ან სეირნობს, ან ფანჯრიდან იხედება
და ასე ხარჯავს
დროს. ხოლო როცა მოხუცები დგანან, ელიან
ბრწყინვალე შობას, მათ ესმოდათ, რომ იქვე უნდა
ჩანდეს ტყისპირი და ბავშვები, რომლებიც გუნდად
მოყინულ ტბორზე სრიალებენ.
ახსოვდათ მუდამ,
რომ ტანჯვა მთელი სისასტიკით იქ აღწევს ზენიტს,
სადაც ვერავის აღელვებს: ძაღლები კვლავაც
ძაღლურ ცხოვრებას განაგრძობენ, ჯალათის ცხენი
ხეს უხახუნებს ჩამომხმარ გავას.

ავიღოთ თუნდაც ბრეიგელის "იკაროსი". ვერ ამჩნევს ვითომ
უბედურებას ვერაფერი; ვერც ის მხვნელი, რომელსაც თვითონ
ნათლად ჩაესმა კივილის ხმა სადღაც უკნიდან
და მაინც, ვითომც არაფერი, არც გაუკვირდა.
მზეც კვლავ აბრწყინებს მწვანე ტალღას, რომელმაც შთანთქა
თეთრი წვივები. ხალხი მოჩანს გემბანზე, მათგან
როგორ იქნება, რომ ვერავის მოეკრა თვალი
ციდან მომწყდარი ბიჭისათვის? მაინც გულგრილად
მიცურავს გემი, ღივლივებს წყალი.

## აქილევსის ფარი[2]

ის ტვიფრავს, ქალი ელის
ზეთისხილებს და ყურძენს,
და მარმარილოს ქალაქს,
წყალში ჩაშვებულ ღუზებს,
მაგრამ ელვარე ფარზე
ტვიფრავს ოსტატის ხელი
ტყვიისფერ ცას და ხედებს
უკაცრიელი ველის.
მოტიტვლებული ადგილია, უმზეო, რუხი,
არსად ბალახი ან სიცოცხლის რამე ნიშანი
და არსად კუნძი, რომ ჩამოჯდე, მოხარო მუხლი,
მაგრამ უეცრად, როგორც მტვერი, წამოიშალნენ
ლეგიონები, და ჩამწკრივდნენ; თითქოს სიშავე
აკლდა მიდამოს - მილიონი აბჯარი იშვა
და მილიონი უტყვი სახე ელოდა ნიშანს.

იყო ხმა, სახე არსად ჩანდა, ხმა იყო ციდან,
ის აცხადებდა, რომ მიზანი მუდამ ამართლებს
და ასე შემდეგ; და ბრძანებებს კბილებში სცრიდა,
არც მოდასტურე სჭირდებოდა, არც მოკამათე.
ჯარი დაიძრა, სულერთია, რასაც დამართებს
მას ეს ბრძანება, მთავარია, მორჩილად მიყვეს;
წამოშლილ მტვერში ადვილია, ბრმად ენდო სიტყვებს.

ის ტვიფრავს, ქალი ელის
მსხვერპლად შესაწირ [illegible]ახირს,
თეთრი ვარდებით მორთულს,
როგორ მიდენის ხალხი,
მაგრამ ელვარე ფარზე
ის საკუთრხევლის ნაცვლად
სულ სხვა სურათებს ხედავს,
ხედავს ცეცხლსა და ნაცარს.

მავთულხლართებით მოერაგათ მიდამო, იქ კი
დაღლილ მსაჯულებს მორეოდათ უკვე მთქნარება,
ცხელი დღე იყო და გუშაგებს სდიოდათ ხვითქი,
აქეთ ბრბო იდგა, შეერილიყო აუარება
მოცლილი ხალხი, დანატრული დროის ტარებას;
ბოლოს ის სამიც გაუყენეს მტვრიან აღმართებს,
მერე კი ჯვრები მათიანად ცისკენ აღმართეს.

ძილიც, დიდებაც, რაც სამყაროს ამკობს და შვენის,
რაც ძვირფასია და არასდროს ეცვლება ფასი,
სხვის ხელში იყო მოქცეული, იმ სამს კი შველის
ვერ ექნებოდა იმედი და, მითუფრო, შანსი.
ბრბო ითრობოდა მათი ტანჯვით, არ ქონდა აზრი
შიშის დაფარვას, სიამაყეს, აღარც მორცხვობას,
და ისე მოკვდნენ, მათი ხორცი ჯერაც ცოცხლობდა.

ის ტვიფრავს, ქალი ელის
ან ათლეტების შეჯიბრს,
ან მოცეკვავე წყვილებს,
წრეში ცეცხლივით შეჭრილთ,
ელის ვნებიან როკვას,
მაგრამ ელვარე ფარზე
ტვიფრავს ოსტატის ხელი
ხაზებს, ეკლოვან ხაზებს.

ეს აგზნებული მოზარდია, ქვას იღებს, ესვრის
გაფრენილ ჩიტს და გზას განაგრძობს. სულ მალე მორიგ
მსხვერპლსაც დალანდავს. ის დიდია, მას უკვე ესმის,
რომ ქალზე უნდა იძალადო, იცის, რომ ორი
ადვილად მოკლავს ერთს - მესამეს. არ სჯერა ჭორის,
თითქოს ამქვეყნად ვიღაც მართლა იცავს პირობებს
ან თითქოს ვინმე შეიძლება სხვისთვის ტიროდეს.



და მესაჭურჭლე ღმერთი,
ჰეფესტო, დგება განზე,
ქალი კი კივის, მისი
შვილისთვის ნაჭედ ფარზე
ამოუტვიფრავს ღმერთკაცს
გმირი, რომელიც კვდება,
ქალი უმზერს და ტირის,
აქილევსია, ხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეპიტაფია ტირანს

სრულყოფილება იყო მისი საბოლოო მიზანი; იყვნენ
მისი ლექსები იმდენადვე გასაგებნი, როგორც მდორენი.
კარგად იცნობდა ყოველგვარი ყაიდის ბრიყვებს
და თავის ხელში მოექცია სადავენი ფლოტის, მხედრობის.
თუ იცინოდა, მასთან ერთად იცინოდნენ გამაძღარი
სენატორები.
თუკი ტიროდა, ივსებოდნენ ქალაქები ჩვილთა ცხედრებით.

## უილიამ ბათლერ იეიტსის მოსაგონარი

*მოკვდა იანვარში, 1939*

I

ის მკვდარ ზამთარში გაუჩინარდა.
მოყინული არხები და სანახევროდ ცარიელი აეროპორტი,
თოვაში ფორმადაკარგული ქანდაკებები,
ვერცხლისწყალი, მომაკვდავი დღის ხახაში დაგუბებული.
ყველა დანადგარი, თუკი რამ არსებობს, ერთხმად ამტკიცებდა,
რომ დღე, როცა ის მიიცვალა, იყო ბნელი, და იყო ცივი.

შორს მისი სამკვდრო სარეცლიდან
მარადმწვანე ტყის სიღრმეში მირბოდნენ მგლები,
სოფლის მდინარე დაებნია ახალმოდურ ხიდსა და ჯებირს,
მტირალი ხმები
პოეტის სიკვდილს უმალავდნენ მისივე ლექსებს.

მისთვის კი იდგა თავისთავის ბოლო შუადღე,
სანიტრებისა და ფუსფუსის შუადღე;
შეთქმულება მზადდებოდა მისი ტანის განაპირა პროვინციებში,
მისი გონების მოედნები დაცარიელდნენ,
საეჭვოდ სდუმდნენ არტერიები,
გრძნობის რუები დამშრალიყვნენ;
ის გარდაისახა თავის მკითხველებში.

ის განიფინა ათასობით ქალაქთა თავზე,
მიცემული უცხო შეგრძნებებს,
ბედნიერების მაძებარი უცხო სივრცეში,
უცხო სინდისის კანონებით რათა ეზღო ძველი ცოდვები.
ხოლო სიტყვები, მკვდრის სიტყვები,
თავს აფარებდნენ ცოცხლების გულებს.

და რომელიღაც მნიშვნელოვნად მოზუზუნე ხვალინდელ დღეში,
სადაც ჭიანჭველებივით ირევიან ბროკერები ბირჟის ჰოლებში,
ღარიბები კი, თუკი რამით სულდგმულობენ, ისევ ტანჯვებით,
და, თავისთავის გალიაში მომწყვდეული, ყველა ტკბება
საკუთარი თავისუფლებით,
მოიძებნება რამდენიმე ათასი გული,
რომელიც იმ დღეს არ დაივიწყებს,
ვერ ივიწყებენ როგორც დღეებს, როცა რაღაც უჩვეულო
აქვთ ჩადენილი.
ყველა დანადგარი, თუკი რამ არსებობს, ერთხმად ამტკიცებდა,
რომ დღე, როცა ის მიიცვალა, იყო ბნელი, და იყო ცივი.

II

სულელი იყავი, ჩვენსავით სულელი, მაგრამ შენმა ნიჭმა გაუძლო
ფიზიკურ ხრწნას და ფულიანი ქალების ოხვრას,
შენც გაგიძლო და გადაგლახა. შენ შეშლილმა ირლანდიამ
გატკინა ლექსი,
რომელიც ახლაც შეშლილია, თვითონაც და მისი ამინდიც,
პოეზიით არაფერი არ იცვლება, ის მხოლოდ ცოცხლობს
თქმადი სიტყვების ტრამალებში, ჭკვიანი ხალხი
მასთან საქმეს არ დაიჭერს; სამხრეთისკენ მიცოცავს იგი
განმარტოების სევდიანი ქოხებიდან, საქმიანი ტკივილებიდან,
იპყრობს ქალაქებს, სადაც გვწამს და სადაც ვკვდებით;
ჩვენც გადაგვლახავს,
თვითონ იქნება ამბავიც და ამ ამბის მთქმელიც.

III

ძვირფასი სტუმარი მიიღე, მიწავ,
უილიამ იეიტსი, დაღლილი, მიწვა
განსასვენებლად. ლექსისგან დაცლილი
მიწვა ირლანდიის ჭურჭელი; აძინე.

ჟამი კი, რომელსაც ყოველთვის სძულდა
ძალა და სიმტკიცე უმანკო სულთა,
რომელიც მშვიდად და გულგრილად გახრწნის
უზადო სხეულის თვითოეულ ნაწილს,



ეთაყვანება ერთადერთს - ენას,
როგორღაც ძალუძს იმათი თმენაც,
რომლებიც ენას ღამეს უთევენ,
მათ ნებისმიერ ცოდვას უტევებს

და კი არ დასჯის, გაუწვდის გვირგვინს.
ჟამი შეუნდობს რედიარდ კიპლინგს.
მხოლოდ იმიტომ შეუნდობს კლოდელს,
რომ იგი სხვებზე სარწმუნოდ გოდებს.

ახლა ევროპის წყვდიად ღამეში
ისმის ერთურთის ხორცზე დაგეშილ
ძაღლების ყეფა. ყოველი ერი
სიძულვილს თესს და იგივეს ელის.

ყოველი სახე - სირცხვილის დამღით,
რამდენიც ტვინი, იმდენი ნაღმი,
გამშრალი ცრემლის იმდენი კვალი,
ან გაყინულის, რამდენიც თვალი.

შენ კი, პოეტო, უმღერე დიადს,
თუნდაც ფსკერამდე ჩასდიო წყვდიადს,
მაინც უმღერე! შენი თავხედი
ხმით გვანუგეშე: კმარა, გამხნევდით.

ისე უმღერე ტკივილებს ჩვენსას,
რომ შეგვიცოდოს კაცმაც და ლექსმაც,
ჩვენი პატარა ტანჯვა გაზარდე
და აამაღლე მწიფე ვაზამდე.

დაე, ამოსკდეს ხრიოკ გულებში
მკურნალი წყალი, როგორც ნუგეში,
და დროის ვიწრო დილეგში ნაგვემთ
გვასწავლე ქება, გჯეროდეს, ვაქებთ.

ინგლისურიდან თარგმნა **ზვიად რატიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენიშვნები

[1] - ნატიფი ხელოვნების მუზეუმი (ფრანგ.).

[2] - "აქილევსის ფარი" 1952 წელს დაიწერა და ოდენის ერთ-ერთ საპროგრამო ლექსს წარმოადგენს.

ლექსი ეყრდნობა მითოლოგიურ სიუჟეტს: ჰექტორის მიერ მოკლულმა პატროკლემ ბრძოლაში დაკარგა აქილევსის ფარი, რის შემდეგ აქილევსის დედა, თეტიდა, მესაჭურჭლე ღმერთ ჰეფესტოს სთხოვს, მისი შვილისათვის ახალი ფარი გამოჭედოს. ჰეფესტომ თხოვნა შეასრულა, მაგრამ, თეტიდას მოლოდინის საპირისპიროდ, მან ფარზე ამოტვიფრა არა ტრადიციული იდეალისტური სცენები, არამედ რეალური და სასტიკი სურათები, რომლებიც თეტიდამ თავისი შვილის მომავალი უბედურების ნიშნად აღიქვა.

ოდენი ორიგინალურად იყენებს ამ სიუჟეტს. ლექსში ერთმანეთს ენაცვლება ორი სიბრტყე, პირველი - ჰეფესტო თეტიდას თანდასწრებით ტვიფრავს აქილევსის ფარს, და მეორე - ფარზე ამოტვიფრული სურათების აღწერა. ეს ორი ერთმანეთის მონაცვლე სიბრტყე სხვადასხვა სალექსო საზომითაც არის გამიჯნული.

ლექსში აქილევსის ფარი ერთგვარი ეკრანია, რომელშიც კალეიდოსკოპურად ჩნდებიან განსხვავებული სურათები, შეიძლება ითქვას, ფარი-ეკრანი თანმიმდევრულად (ქრონოლოგიურად) მოგვიძლვის თანამედროვე რეალიებისაგან.

პირველი სურათია უდაბურ ველზე მტვერივით წამოშლილი ლეგიონი, რომელიც დაუფიქრებლად ემორჩილება უჩინარი მხედართმთავრის ბრძანებას; ეს არის მარადიული ლეგიონი, მარადიული ბრბო, იგივე ფაშისტური არმია, რადგან ეს უკანასკნელი თემა - ფაშიზმის კრიტიკა - ორი ათეული წლის მანძილზე ერთ-ერთი წამყვანი იყო ოდენის შემოქმედებაში.

მეორე სურათზე ჯვარცმის სცენაა გამოსახული, თუმცა არ კონკრეტდება ქრისტე, საუბარია მხოლოდ სამ მსჯავრდებულზე, და ამ სურათშიც მთავარი დატვირთვა ენიჭება ბრბოს, სასეიროდ შეკრებილ ხალხს; ესეც ლეგიონია, უიარაღო და უაბჯრო ლეგიონი (ლეგიონია მისი სახელი).

"ბრბო ითრობოდა მათი ტანჯვით", - წერს პოეტი და შეგნებულად არ ყოფს სამ მსჯავრდებულს ორ ავაზაკად და ერთ მაცხოვრად, რადგან ამას ბრბოსთვის მნიშვნელობა არ აქვს, მისთვის სულერთია, ვისი ტანჯვით შეიქცევს თავს - მაცხოვრის თუ ავაზაკების. აქ კიდევ ერთი დეტალია ნიშანდობლივი: სასჯელის აღსრულების ადგილი მავთულხლართებით არის შემორაგული, შესაბამისად, ხდება ამ სცენის განზოგადება დროში: მარადიულია არამარტო ბრბო, არამედ ჯვარზე ცმის პროცესიც, რომელიც ერთხელ კი არ მოხდა, არამედ მუდმივად ხდება.

მესამე და ბოლო სურათში მხოლოდ ერთი ფიგურა ჩანს, აგზნებული მოზარდი, რომელიც ჩიტს ქვას ესვრის და გზას განაგრძობს მორიგი მსხვერპლისაკენ; ბრბოსთან და ლეგიონთან შედარებით, მას ერთი დიდი უპირატესობა აქვს - ის მარტოა, შესაბამისად, აზროვნებს კიდეც: "არ სჯერა ჭორის, თითქოს ამქვეყნად ვიღაც მართლა იცავს პირობებს ან თითქოს ვინმე შეიძლება სხვისთვის ტიროდეს". სავარაუდოდ, ეს მოზარდი მომავალი ტირანია, ის უჩინარი მბრძანებელია, რომელიც დასძრავს მორჩილ ლეგიონებს.

ახლა კი, რაც შეეხება თეტიდასა და ჰეფესტოს სცენას, ლექსის მეორე სიბრტყეს, თუ შეიძლება ასე ითქვას - უკანა პლანს. დედა ელის, რომ შვილის ფარზე ღმერთკაცი ამოტვიფრავს მშვენიერ და ამაღლებულ სურათებს, მაგრამ ოსტატის ხელი სასტიკი სცენების ხატვით გართულა. ეს სამი კონკრეტული მითოლოგიური პერსონაჟი, მარადიული ბრბო-ლეგიონისა არ იყოს, განზოგადებულ ფიგურებს წარმოადგენენ: მარადიული დედა ლამაზი სურვილებით, მარადიული ბედისმწერალი, რომელიც ამ სურვილებს არად დაგიდევს, და აქილევსი - მარად განწირული შვილი.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იოსიფ ბროდსკი: შეხვედრები ოდენთან

## ფრაგმენტი სოლომონ ვოლკოვის წიგნიდან "საუბრები ბროდსკისთან"



**- როდის გაიგეთ პირველად ოდენის სახელი?**

- ოცდახუთის ვიქნებოდი. პირველი, ვინც ოდენის შესახებ სერიოზულად დამელაპარაკა, ანდრეი სერგეევი იყო, ჩემი ახლობელი, ინგლისურიდან მთარგმნელი. როცა გადასახლებიდან დავბრუნდი, მას ჩემი ლექსები მივუტანე წასაკითხად; მეუბნება: "ძალიან ჰგავს ოდენს". თუ არ ვცდები, გულისხმობდა ჩემს ლექსს "ორი საათი რეზერვუარში". მაშინ ეს ლექსი განსაკუთრებით მომწონდა; ახლაც კი მიჭირს მისი ობიექტური შეფასება. ამიტომაც დავინტერესდი ოდენით. დავიწყე მისი ლექსების ძებნა. იმ დროისათვის ერთადერთი წიგნი, სადაც ოდენის გაცნობა იყო შესაძლებელი, თანამედროვე ინგლისური პოეზიის ანთოლოგია გახლდათ, გუტნერის მიერ შედგენილი და 1937 წელს გამოცემული. რამდენადაც ვიცი, ამ ანთოლოგიით ჩამომიყალიბდა პირველი შთაბეჭდილება ოდენზე. თარგმანების ხარისხის მიხედვით, ანთოლოგია ვერანაირ ჩარჩოში ვერ თავსდებოდა, მაგრამ მაშინ ინგლისური არ ვიცოდი, ის-ის იყო ვიწყებდი სწავლას. ამიტომ ჩემი პირველი შთაბეჭდილება ოდენის შესახებ ძალიან მიახლოებითი და ბუნდოვანი იყო, როგორც თავად თარგმანები. თითქოს რალაც ვიგრძენი, მაგრამ ბევრიც ვერაფერი. 1964 წლიდან მოყოლებული, ოდენს რეგულარულად ვკითხულობდი, ვკითხულობდი ყველაფერს, რაც ხელში ჩამივარდებოდა; სტრიქონ-სტრიქონ ვარჩევდი ლექსებს. სადლაც სამოციანი წლების მიწურულისთვის რალაცეების მიხვედრა დავიწყე, მივხვდი, რომ არ შეიძლება არ მესმოდეს ეს პოეტი, განსაკუთრებით - მისი მეტრიკა.

**- როდის დაუკავშირდით პირველად ოდენს?**

- როცა ჩემი ლექსების ინგლისურად მთარგმნელი, ჯორჯ კლაინი, საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა, მითხრა, რომ ინგლისური გამომცემლობა "პინგვინი" ჩემი წიგნის გამოშვებას აპირებდა. ველარც ვიხსენებ, როდის მოხდა ეს ამბავი... წინა ცხოვრებაში... კლაინმა მკითხა: "იოსიფ, ვის სთხოვდით წინასიტყვაობის დაწერას?" მე ვუპასუხე: "ღმერთო ჩემო, რაღა თქმა უნდა ოდენს! მაგრამ ეს ნაკლებად რეალურია". ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ ოდენი დათანხმდა ჩემს წინადადებას. ამის შემდეგ ოდენმა რამდენიმე მოსაკითხი ბარათი და წიგნი გამომიგზავნა. მეც ვუგზავნიდი ჩემი ცუდი ინგლისურით ნაწერ წერილებს.

**- როდის შეხვდით ოდენს?**

- როგორც კი საბჭოეთიდან გამაძევეს, 1972 წლის ივნისში. თვითმფრინავი ვენის აეროპორტში დაჯდა. იქ დამხვდა ამერიკელი გამომცემელი კარლ პროფერი, ჩემი ახლობელი. ვიცოდი, რომ ოდენი ზაფხულობით ავსტრიაში ცხოვრობდა და პროფერს ვთხოვე, იქნებ მოვძებნოთმეთქი. ვენაში 4 ივნისს ჩავფრინდი, 6-ში თუ 7-ში კი მანქანაში ჩავსხედით და ჩრდილოეთისკენ გავემგზავრეთ კირხშტეტენის მოსაძებნად, სადაც ოდენი ცხოვრობდა (ავსტრიაში სამი კირხშტეტენია). ბოლოს სასურველი კირხშტეტენიც ვიპოვეთ და ოდენის სახლიც. მოახლემ - ოდენი სახლში არ არისო და გამოგვყარა. უკვე უკან დაბრუნებას ვაპირებდით, როცა დავინახე, როგორ მოუყვებოდა აღმართს წითელპიჯაკიანი ზორბა მამაკაცი, იღლიაში წიგნების შეკვრა ამოეჩარა.

**- როგორ გამონახეთ ოდენთან საერთო ენა?**

- პირველივე დღეს, როცა სასაუბროდ დავსხედით, მე მისი დაკითხვა დავიწყე. ეს იყო გრძელი ინტერვიუ თემაზე: რას ფიქრობს იგი ამა თუ იმ ინგლისურენოვან პოეტებზე. ოდენი არცთუ დიდი ხალისით მპასუხობდა. ეს იყო ძალიან ზუსტი ფორმულირებები, რომელთაც დღემდე - არა, ჩემთვის კანონიაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ - რომელთაც დღემდე ვითვალისწინებ. ოდენი ობიექტური იყო, პოეტების შეფასებისას ყურადღებას არ აქცევდა პირად სიმპათია-ანტიპათიებს, არც იმას, რამდენად მახლობელი თუ უცხო იყო მისთვის მოცემული იდიომა. მახსოვს, მან ძალიან მაღალი შეფასება მისცა რობერტ ლოუელს, როგორც პოეტს, თუმცა მის პიროვნებას განსაკუთრებული პატივით არ იხსენიებდა. იმ დროისათვის მას ლოუელთან მორალური ხასიათის პრეტენზიები ჰქონდა. ოდენი ძალიან მაღალი აზრის იყო ფროსტზე. კარგად იხსენიებდა ენტონი ჰეხტს. ხომ გესმით, ეს ის კაცი არ იყო, ეთქვა: "რა გადასარევია!"

**- თქვენ თუ გეკითხებოდათ რამეს?**

- მისი პირველი შეკითხვა ასეთი იყო: "გავიგე, მოსკოვში, როცა ადამიანი სადმე მანქანას ტოვებს, "დვორნიკებს" ხსნის და თან მიაქვს, რატომ?" ტიპიური ოდენია, არა? მე დავიწყე ახსნა, რომ "დვორნიკების" შოვნა ჭირს, რომ ავტონაწილების წარმოება დიდი შეფერხებებით მიმდინარეობს, რომ ყველაფერი დეფიციტია. მიუხედავად ჩემი განმარტებებისა, ეს გარემოება ოდენისთვის ერთ-ერთ უდიდეს რუსულ საიდუმლოდ დარჩა.

**- თუ გელაპარაკებოდათ ოდენი რუსულ ლიტერატურაზე?**

- კი, მეკითხებოდა იმ რუსი პოეტების შესახებ, რომელთაც იცნობდა. სხვათაშორის, ოდენმა დადებითი რეცენზია დაწერა კონსტანტინ ლეონტიევის წიგნზე, რომელიც ინგლისურად გამოიცა. ამბობდა, რომ ერთადერთი რუსი მწერალი, რომელიც იზიდავდა, ჩეხოვი იყო. კიდევ, მახსოვს, შენიშნა, რომ დოსტოევსკისთან ერთად ერთ ჭერქვეშ ვერ იცხოვრებდა; ტიპიური ინგლისური გამონათქვამია.

**- თუ გეკითხებოდათ რამეს თქვენს საბჭოთა გამოცდილებაზე: სასამართლოზე, გადასახლებაზე და ასე შემდეგ?**

- რამდენიმე შეკითხვა დამისვა ამის შესახებ, მაგრამ მე, როგორც კულტურული ადამიანი (შესაძლოა, მე მცდარი წარმოდგენა მაქვს კულტურულობაზე), ასეთ საკითხებზე დუმილს ვამჯობინებ. ადამიანმა არ უნდა გაიხადოს სასაუბრო თემად ის, რაც მისი არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩესტერ კალმანი, უ. ჰ. ოდენი, ჯონ ვარნაკ ჯონსი

ბობის განსაკუთრებულობაზე მიანიშნებს.

**- აღწერეთ ოდენი კირხშტეტენში.**

- ეს იყო ორსართულიანი სახლი. ოდენი ცხოვრობდა ავსტრიელ მოახლესთან და თავის მეგობართან, ჩესტერ კალმანთან ერთად. სახლში იყო გასაოცარი სამზარეულო - უზარმაზარი, რომელიც ბოთლებით იყო სავსე. ნამდვილი სამზარეულო ბიბლიოთეკა.

**- ამბობენ, რომ იქ საშინელი უწესრიგობა სუფევდა, ყველგან ეყარა ჭუჭყიანი საცვლები, ძველი გაზეთები, საჭმლის ნარჩენები.**

- არა, ეს ყველაფერი მხატვრული ლიტერატურაა. ერთგვარი ქაოსი შეინიშნებოდა, მაგრამ ჭუჭყიანი საცვლები ნამდვილად არსად ეყარა. თუმცა ზემოთ არც ავსულვარ, იქ იყო ოდენის საძინებელი, სადაც არაფერი მესაქმებოდა. სასტუმრო ოთახში ბევრი წიგნი იყო, კედლებზე სურათები ეკიდა, მათ შორის სტრავინსკის შესანიშნავი პორტრეტი.

**- როგორც ვიცი, ოდენი ძალიან დაგეხმარათ პირველ დღეებში.**

- ის ცდილობდა, მთელი ჩემი საქმეები თავის თავზე აეღო. "ამერიკელ პოეტთა აკადემიას" ათასი დოლარი გამოსტყუა ჩემთვის, ასე გამიჩნდა საწყისი თანხა. აუხსნელია - როგორ და რატომ, მაგრამ ჩემთვის განკუთვნილი ყველა წერილი მის სახელზე მოდიოდა. როგორც კრუხი თავის წიწილაზე, ისე ზრუნავდა ჩემზე. არანორმალურად გამიმართლა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ავსტრიაში ჩაფრენიდან ორი კვირის შემდეგ, ჩვენ ერთად ჩავსხედით თვითმფრინავში და გავფრინდით ლონდონში, პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ერთად გამოვედით სცენაზე; ჭერიც ერთი გვქონდა, სტივენ სპენდერთან დავბინავდით. იქ ექვსი დღე დავრჩით. ოდენს პირველ სართულზე ეძინა, მე - მეორეზე.

**- როგორ გამოიყურებოდა სტივენ სპენდერი ოდენის გვერდით?**

- საქმე იმაშია, რომ მათ ძალიან ძველი ურთიერთობები ჰქონდათ, და სპენდერი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოველთვის უმცროსის როლში იყო. როგორც ჩანს, ამას თავად სპენდერის ხასიათი განაპირობებდა. თითქოს ცხადი იყო, რომ ოდენი - განსაკუთრებული არსებაა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, გესმით? ამაში სპენდერის უდიდესი დამსახურებაცაა, რადგან აღიარო ვინმეს აღმატებულება, უარი თქვა კონკურენციაზე - ეს ყველაფერი დიდ სულიერ სიძლიერეზე მეტყველებს.

**- ოდენის სიკვდილის შემდეგ მისი ამბების გარკვევას ყველა სპენდერისაგან ცდილობდა... ის იძულებულიც კი იყო ემტკიცებინა, რომ არასოდეს წო-**

**ლილა ოდენთან.**

- დიახ, ვიცი. მე მესმის, რომ სტივენი დაღალა ოდენის კონფიდენტის უსიამოვნო როლმა. თითქოს მხოლოდ მას მოეკითხებოდა ოდენის ამბები. ბოლოს და ბოლოს, თავად სპენდერი უდიდესი პოეტი იყო.

**- როდის შედგა თქვენი მორიგი შეხვედრა კირხშტეტენისა და ლონდონის შემდეგ?**

- 1972 წლის შობა ვენეციაში გავატარე, ამერიკაში კი ნელი გზით დავბრუნდი - ჯერ პარიზი, შემდეგ ლონდონი. ლონდონში ყოფნისას ოდენს გადავურეკე, ის იმ დროს ოქსფორდში ცხოვრობდა. ვესტუმრე. ბევრი ვისაუბრეთ. შემდეგი შეხვედრა ისევ ლონდონში შედგა და ისევ პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე, მომდევნო ზაფხულს. იმავე წლის შემოდგომაზე ოდენი გარდაიცვალა. ეს ჩემთვის უდიდესი დარტყმა იყო.

**- თქვენ ოდენში მამას ხედავდით?**

- არავითარ შემთხვევაში. მაგრამ რაც მეტს ვცხოვრობ, რაც მეტად მითრევს საკუთარი პროფესია, მით უფრო რეალური ხდება ჩემთვის ეს პოეტი. და მით უფრო მეტად ვხდები მასზე დამოკიდებული. დამოკიდებული - სტილისტურად კი არა - ეთიკური თვალსაზრისით. ოდენის გავლენა შემიძლია შევადარო ახმატოვას გავლენას.

**- მე წამიკითხავს, რომ ოდენი ყოველ საღამოს მთვრალი იყო, იმდენად მთვრალი, რომ ვეღარაფერს შეასმენდი. სპენდერიც ამბობს, რომ ბოლო წლებში ოდენს ხშირად ავიწყდებოდა ყველაფერი, რაც საღამოს ექვსი საათის შემდეგ ითქმებოდა.**

- ალბათ მაინც გააჩნია, რა ითქმებოდა... ოდენი ზუსტად ცხრა საათზე წვებოდა. აი ამ დროს მართლაც უაზრობა იყო მასთან საუბარი. რამდენადაც ვიცი, ის მთელი ცხოვრების მანძილზე იცავდა რეჟიმს. საკმაოდ ადრე დგებოდა. ვფიქრობ, მარტინის პირველ ჭიქას დაახლოებით შუადღისათვის სვამდა. ასეთი ოდენიც მახსოვს - ერთ ხელში მარტინი, მეორეში სიგარეტი. ლანჩის შემდეგ იძინებდა. თუ არ მეშლება, სადღაც სამ საათზე იღვიძებდა.

**- მიუხედავად ამისა, ოდენი ძალიან ნაყოფიერი იყო: ლექსები, კრიტიკული პროზა, პიესები...**

- ვფიქრობ, რომ ოდენმა ბევრად ნაკლები დრო დაკარგა, ვიდრე ნებისმიერმა სხვა პოეტმა. ამასთან, როგორღაც ახერხებდა, ძალიან ბევრი ეკითხა. ანუ ოდენის მთელი ცხოვრება თხზვას, კითხვასა და - შუალედებში - მარტინის მოხმარდა. მასთან საუბარი მუდამ ერთი თემით იწყებოდა: რა წავიკითხე მე, რა წაიკითხა მან.

**- თქვენთვის თუ წარმოადგენდა პრობლემას ოდენის ჰომოსექსუალიზმი?**

- თავიდან (მიუხედავად ყველაფერისა, რაც მის შესახებ წამეკითხა) მე ეს არ ვიცოდი. როცა გავიგე, ამას ჩემზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია. პირიქით, მე ეს აღვიქვი, როგორც სასოწარკვეთის კიდევ ერთი, დამატებითი საბაბი. საქმე იმაშია, რომ პოეტი ამათუიმ ფორმით მუდამ მარტოობისთვისაა განწირული. ეს ისეთი საქმეა, რომელიც დამხმარეებს არ საჭიროებს. და რაც უფრო დიდხანს წერ, მით უფრო შორდები ყველას და ყველაფერს. იმ დროისათვის მე საკმაოდ კარგად ვიცნობდი ნატიფი სიტყვიერების ისტორიას, რათა მივმხვდარიყავი, რომ პოეტის ცხოვრება განსაკუთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბით ვერ გამოირჩევა. განსაკუთრებით პირადი ცხოვრების თვალსაზრისით. თუმცა იყვნენ გამონაკლისებიც. ოდენი ჩემზე ძალიან მარტოსული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ვფიქრობ, რაც უფრო ძლიერია პოეტი, მით უფრო საშინელია მისი სიმარტოვე, მით უფრო უიმედო...

**- თვითონ ოდენს არასოდეს უსაუბრია თქვენთან ამის შესახებ?**

- არა, არა. ჯერ ერთი, რომც ეთქვა რამე, ჩემი მაშინდელი ინგლისური საშუალებას არ მოგვცემდა, ამ საკითხზე მეტ-ნაკლებად სერიოზული საუბარი გამოგვსლოდა. მეორეც, თავისი ასაკიდან გამომდინარე, ოდენი სულ სხვა სკოლას მიეკუთვნებოდა. ეს იყო ვიქტორიანულობით ნიშანდებული ჰომოსექსუალიზმი. სრულიად სხვა სორტი.

**- იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ოდენის ცხოვრება და თავად ოდენი ერთგვარ ესთეტიკურ ფასეულობას წარმოადგენენ? ოდენმა შექმნა "მითი ოდენზე", რომელშიც თვითონ ძველბერძენი ცინიკოსია ღრმა ნაოჭებით, ალკოჰოლიზმით, ჭუჭყიანი ფრჩხილებით...**

- იცით, ეს უკანასკნელი "ღირსება" მისთვის არასოდეს შემინიშნავს.

**- და სწორედ ეს არის მითი! თუ შეგიძლიათ, აღწეროთ ოდენის სახე?**

- მას ხშირად ადარებდნენ გეოგრაფიულ რუკას. მართლაც ჰგავდა რუკას, ცენტრში ჩასმული ორი პატარა თვალით, იმდენად იყო მისი სახე დაღარული ნაოჭებით. მისი სახე ხვლიკის ან კუს ტყავს მაგონებდა.

**- სტრავინსკი ამბობდა, თუ ოდენის სახის დანახვა გვინდა, ჯერ მისი გაუთოება მოგვიწევსო. ჰენრი მური, პირიქით, აღტაცებით საუბრობდა "ღრმა ნაოჭებზე, რომლებიც გუთნით ახალმოხნულ ველს ჰგვანან". თავად ოდენი საკუთარ სახეს ადარებდა საქორწინო ტორტს წვიმის შემდეგ.**

- გამაოგნებელი სახე ჰქონდა. საკუთარი ფიზიონომიის არჩევა რომ შემეძლოს, ან ოდენის სახეს ავირჩევდი, ან ბეკეტისას. უფრო ოდენის.

თარგმნა არჩილ მათიძემ

არილი



## უ.ჰ.ოდენი ინტერნეტში

http://www.audensociety.org/
http://www.poets.org/poets/poets.cfm?prmID=121
http://www.nytimes.com/books/01/02/11/specials/auden.html
http://www.kirjasto.sci.fi/whauden.htm
http://longman.awl.com/kennedy/auden/biography.html
http://books.guardian.co.uk/authors/author/0,5917,-10,00.html
http://www.newspics.clara.net/thedowns/archive/auden.htm

ერიხ ფრომი

# ჯორჯ ორუელის „1984“



ჯორჯ ორუელის „1984“ გამოხატავს *განწყობილებას*. ეს წიგნი - გაფრთხილებაა. მისი განწყობილება ახლოსაა სასოწარკვეთასთან ადამიანის მომავლის გამო, გაფრთხილებით კი გვაფრთხილებს, რომ თუ ჩვენი ისტორია გეზს არ შეიცვლის, მაშინ ადამიანები დაკარგავენ ყველაზე ადამიანურ თვისებებს და მათთვისვე შეუმჩნევლად იქცევიან უსულო ავტომატებად.

უიმედობა ადამიანის მომავლის გამო მკვეთრ კონტრასტს ქმნის რწმენასთან, დასავლური აზრის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფუნდამენტურ თვისებასთან. დასავლურ აზროვნებას სწამს ადამიანური საზოგადოების პროგრესისა, ისევე როგორც მისი უნარის - ააშენოს მშვიდობიანი და სამართლიანი მსოფლიო. ამ რწმენას ფესვები გადგმული აქვს ბერძნულ და რომაულ აზროვნებაში, ისევე როგორც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მესიანურ აზრში. ძველაღთქმისეული ისტორიის ფილოსოფია მიიჩნევს, რომ ადამიანი იზრდება და თვითრეალიზდება ისტორიაში და, საბოლოოდ, ხდება ის, რასაც პოტენციურად წარმოადგენს. ამ კონცეფციით, ადამიანი სრულად ავითარებს აზროვნებისა და სიყვარულის მისეულ შესაძლებლობებს და შეიმეცნებს სამყაროს. ამ დროს იგი ერთიანია თავის მოყვასთან და ბუნებასთან, თუმცა, იმადროულად, ინარჩუნებს თავის ინდივიდუალობასა და მთლიანობას. ადამიანის მიზანია სრული თავისუფლება და სამართლიანობა. წინასწარმეტყველებს სწამთ, რომ ყველა ცოდვისა და ცდომილების მიუხედავად, მესიის სახეში სიმბოლიზირებული „დღეთა დასასრული“ გარადუვლად დადგება.

წინასწარმეტყველთა კონცეფცია ისტორიულია იმ აზრით, რომ სრულყოფილების მდგომარეობას ადამიანმა ისტორიულ დროში უნდა მიაღწიოს. ქრისტიანობამ ეს აზრი ზეისტორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ, პირწმინდად სულიერ კატეგორიად აქცია, თუმცა უარი მაინც არ უთქვამს ურთიერთკავშირზე ზნეობრივ ნორმებსა და პოლიტიკას შორის. შუა საუკუნეების ბოლო პერიოდის ქრისტიანი მოაზროვნეები ხაზს უსვამდნენ, რომ, თუმცა „სასუფეველი“ არ მოიაზრებოდა ისტორიულ დროში, საზოგადოებრივი წესრიგი მაინც შესატყვისობაში უნდა ყოფილიყო ქრისტიანობის სულიერ პრინციპებთან და ხორცი შეესხა მათთვის. ქრისტიანული სექტები (რეფორმაციამდეც და რეფორმაციის შემდეგაც) წინ წამოსწევდნენ ამ მოთხოვნებს კიდევ უფრო აქტიურად და რევოლუციურად. შუასაუკუნეობრივი სამყაროს რღვევის შემდეგ ადამიანში გაღვიძებულმა საკუთარი ძალმოსილების შეგრძნებამ, ისევე როგორც მისმა იმედმა არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ სოციალური სრულქმნის შესაძლებლობისა, კვლავ მოიკრიფა ძალა და ახალ გზებს დაადგა.



მარცხნივ: ტ.ს. ელიოტი და ჯორჯ ორუელი

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო წერილობითი გადმოცემის ახალი ფორმა, რომელსაც საფუძველი ეყრება რენესანსის ეპოქაში. მისი პირველი გამოხატულებაა თომას მორის „უტოპია“ (ანუ „არსად“). ეს სახელი შემდგომში ჟანრობრივ დეფინიციად ექცა ყველა ანალოგიური ხასიათის თხზულებას. თომას მორის წიგნში იმდროინდელი საზოგადოების უგუნურებისა და უსამართლობის ყოვლისგამჭოლი კრიტიკა შეწყვილებულია მომავლის იმ საზოგადოების სურათთან, რომელიც, შესაძლოა, სრულყოფილი არ არის, მაგრამ რომელსაც გადაჭრილი აქვს ადამიანურ პრობლემათა უმრავლესობა, გადაუჭრელად რომ მიიჩნევდნენ ავტორის თანამედროვენი. მორის „უტოპიისთვის“, ისევე როგორც მსგავსი განწყობილების სხვა თხზულებებისთვის, სახასიათოა ის, რომ ისინი მხოლოდ ზოგად პრინციპებს კი არ ხატავენ, არამედ იძლევიან ადამიანის ულრმესი მისწრაფებების შესატყვისი საზოგადოებრივი ყოფიერების კონკრეტულ დეტალებს. წინაწარმეტყველთა აზრისგან განსხვავებით, ეს სრულქმნილი საზოგადოებები „დღეთა დასასრულს“ კი არ იქმნებიან, არამედ უკვე არსებობენ: მათგან მხოლოდ გეოგრაფიულ-სივრცობრივი მანძილი გვაშორებს, არა დროითი დისტანცია.

თომას მორის „უტოპიას“ მოჰყვა ორი ანალოგიური ხასიათის ნაწარმოები: იტალიელი ბერის, კამპანელას „მზის ქალაქი“ და გერმანელი ჰუმანისტის, ანდრეას „ქრისტიანოპოლისი“. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ყველაზე უფრო თანამედროვეს სამი ზემოთნახსენები წიგნიდან. შეინიშნება განსხვავებები ამ თხზულებებში მოყვანილ თვალსაზრისებში, ისევე როგორც ზოგიერთ მათს თავისებურებაში, მაგრამ სხვაობა მაინც მინიმალურია იმ დიდ საერთოსთან შედარებით, რაც ტრიადის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებს. უტოპიები იწერებოდა მეოცე საუკუნის დასაწყისამდე. მათგან უკანასკნელი და ყველაზე გავლენიანი იყო 1888 წელს გამოცემული ედვარდ ბელამის „წარსულის ჭვრეტისას“. „ბიძია თომას ქოხთან“ და „ბენ ჰურთან“ ერთად, ბელამის თხზულება უდაოდ იქცა საუკუნის მიწურულის ყველაზე პოპულარულ წიგნად, რომელიც მრავალმილიონიანი ტირაჟით გამოიცა ამერიკაში და ითარგმნა მსოფლიოს ოც ენაზე[1]. ბელამის უტოპია უერთდება დიდ ამერიკულ ტრადიციას, რომლის ფუძემდებლები არიან უიტმენი, თორო და ემერსონი. ეს წიგნი ამერიკული ვერსიაა იდეებისა, რომელთაც მძლავრი გამოხატულება ჰპოვეს სრულიადევროპულ სოციალისტურ მოძრაობაში XIX საუკუნის დამლევს.

რწმენა ადამიანის ინდივიდუალურ და სოციალურ სრულქმნადობაში ფილოსოფიურად და ანთროპოლოგიურად ნათლად გამოიხატა მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებლებისა და მეცხრამეტე საუკუნის სოციალისტურ მოაზროვნეთა ნაწერებში და უცვლელი დარჩა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდამდე. ამ ომმა მილიონები იმსხვერპლა ვითომც თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით, არსებითად კი ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიული ამბიციების გამო. სწორედ პირველი მსოფლიო ომიდან იღებს სათავეს ადამიანური აზრის ის გეზი, რომელიც შედარებით ხანმოკლე პერიოდში ანგრევს იმედისა და რწმენის ორიათასწლოვან დასავლურ ტრადიციას და ცვლის მას სასოწარკვეთილების აპოთეოზით.

პირველი მსოფლიო ომის მორალური გულქვაობა მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა. მას მოჰყვა სხვა მოვლენები: სოციალისტური იმედების ღალატი და სტალინის რეაქციული სახელმწიფო კაპიტალიზმი; მძიმე ეკონომიკური კრიზისი ოციანი წლების დასასრულს; ბარბაროსობის ტრიუმფი გერმანიაში - კულტურის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრში; სტალინისტური ტერორის სიგიჟე ოცდაათიან წლებში; მეორე მსოფლიო ომი, რომელში მონაწილე ხალხებმა მეტ-ნაკლებად ყველამ დაკარგა ზნეობრივი განსჯის უნარი, რამდენადმე მაინც შენარჩუნებული პირველ ომში; ჯერ მშვიდობიანი მოსახლეობის შეუზღუდავი ჟლეტა დაწყებული ჰიტლერის მიერ, შემდეგ კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი ნგრევა ისეთი ქალაქებისა, როგორიც არის ჰამბურგი, დრეზდენი და ტოკიო, დაბოლოს, ყველაფრის გვირგვინი - ატომური ბომბის ჩაგდება იაპონიაში... ადამიანურ მოდგმას დაემუქრა კიდევ უფრო დიდი საშიშროება: ჩვენი ცივილიზაციის - თუ არა მთელი კაცობრიობის - მოსპობის საფრთხე თერმობირთვული იარაღით: ამ უკანასკნელის სადღეისო პოტენციალი და მისი შემდგომი ზრდის მომაკვდინებელი პროპორციები.

თუმცა ადამიანთა დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს ამ საშიშროებას და საკუთარი მდგომარეობის მთელს უიმედობას. ზოგიერთს მხოლოდ იმიტომ სჯერა ომის შეუძლებლობა, რომ დღევანდელი იარაღი დამანგრეველია მთელი დედამიწისთვის. სხვები იმასაც აცხადებენ, ატომური ომის პირველ ორ დღეში სამოცი-სამოცდაათი მილიონი ამერიკელიც რომ გაიჟლიტოს, მაინც არავითარი მიზეზი არ არის იმის საფიქრებლად, რომ სიცოცხლე უწინდებურად არ გაგრძელდება მას შემდეგ, რაც ომის პირველი შოკი ჩაივლის. ორუელის წიგნის მნიშვნელობაც სწორედ ამაშია: იგი გამოხატავს უსასოობის ახალ განწყობილებას, რითაც გაჟღენთილია ჩვენი საუკუნე, გამოხატავს მანამდე, ვიდრე ეს განწყობილება დაეუფლებო-

დეს ადამიანთა ცნობიერებას

ამ მცდელობაში ორუელი მარტო არ არის. ორი სხვა თხზულება - რუსი ზამიატინის „ჩვენ“, და ოლდოს ჰაქსლის „დიდებული ახალი სამყარო“ - ასევე გამოხატავს აწმყოს განწყობილებასა და სამომავლო გაფრთხილებას. ორივე საკმაოდ ახლოს დგას ორუელის განწყობილება-გაფრთხილებასთან. ეს ახალი ტრიადა, რომლისთვისაც შეიძლებოდა მეოცე საუკუნის შუა პერიოდის „ნეგატიური უტოპია“ გვეწოდებინა, უპირისპირდება ზემოთნახსენებ დადებით უტოპიებს, შექმნილს მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეებში[2]. ნეგატიური უტოპია ასახავს თანამედროვე ადამიანის უძლურებასა და უიმედობას, სწორედ ისევე, როგორც უწინდელი უტოპიები ასახავდნენ შუა საუკუნეების შემდგომი პერიოდის ადამიანის თვითრწმენასა და იმედს. ისტორიული თვალსაზრისით, არაფერია ისე პარადოქსული, როგორც ეს ცვლილება:

- ინდუსტრიული ეპოქის დასაწყისში, როცა ადამიანი, არსებითად, არ ფლობდა საშუალებებს ისეთი მსოფლიოს ასაშენებლად, სადაც სუფრა ყველასთვის გაიშლებოდა, ანუ იმ პერიოდში, როდესაც არსებობდა ეკონომიკური მიზეზები მონობის, ომისა და ექსპლუატაციისთვის და როდესაც ადამიანი ჯერ მხოლოდ გრძნობდა ახალი მეცნიერების შესაძლებლობებს ტექნიკურ თუ საყოფაცხოვრებო მიზანთა განსახორციელებლად, - თანამედროვე განვითარების ამ *საწყის საფეხურზე* ადამიანი, მიუხედავად ყველაფრისა, იმედით იყო აღსავსე. და აი, ოთხი საუკუნის შემდეგ, როცა ყველა მისი სურვილი აღსრულებადი ხდება, როცა ადამიანს უკვე შეუძლია აწარმოოს ყველასთვის საკმარისი პროდუქცია; როცა ომი აუცილებელი აღარ არის, რადგან ტექნიკური პროგრესის წყალობით ყოველ ქვეყანას *შეუძლია* იქონიოს იმაზე მეტი სიმდიდრე, ვიდრე სხვისი ტერიტორიის მიტაცება მისცემდა; როცა ეს პლანეტა ისწრაფის იყოს ისეთივე ერთიანი, როგორც რომელიმე კონტინენტი იყო ოთხი საუკუნის წინ, - სწორედ ამ მიჯნაზე, როცა თითქოს ხორცი უნდა შეესხას ადამიანის იმედს, ის სასოწარკვეთილებაში ვარდება. ეს არის არსებითი მომენტი სამივე ნეგატიურ უტოპიაში: სამივე ავტორი არა მხოლოდ აღწერს მომავალს, რომლისკენაც მივექანებით, არამედ თავისებურად ხსნის კიდეც ამ ისტორიულ პარადოქსს.

სამი ნეგატიური უტოპია ერთმანეთისგან განსხვავდება დეტალებში და მახვილების დასმაში.

„1984“-თან სახასიათო შტრიხებით ზამიატინის „ჩვენ“ უფრო ახლოა, ვიდრე ჰაქსლის „დიდებული ახალი სამყარო“. პირველ ორში დახატულია მთლიანად ბიუროკრატიზებული საზოგადოება, რომელშიც ადამიანი არის მხოლოდ ნომერი და დაკარგული აქვს ინდივიდუალობის ყოველგვარი გრძნობა. ეს შედეგი მიღებულ იქნა დაუსაზღვრელი ტერორის კომბინირებით იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მანიპულაციებთან (ზამიატინის წიგნში ყველაფერს აგვირგვინებს ტვინის ოპერაცია, რომელიც ადამიანს ფიზიკურადაც კი ცვლის). ჰაქსლის თხზულებაში ადამიანის ავტომატად ქცევის მთავარ იარაღს წარმოადგენს ჰიპნოტური მასობრივი შთაგონება, რომლისთვისაც დასაშვებია თვით ტერორით ზემოქმედებაც კი. შეიძლება ითქვას, ზამიატინისა და ორუელის მაგალითები ჰგავს უფრო სტალინისტურ და ნაცისტურ დიქტატურებს, მაშინ როცა ჰაქსლის თხზულება აირეკლავს ინდუსტრიული დასავლეთის განვითარებას, რომლის დღევანდელ გეზში არავითარი ფუნდამენტური ცვლილება არ ჩანს.

ამ განსხვავების მიუხედავად, სამ უარყოფით უტოპიას აერთიანებს ერთი ძირეული კითხვა. თავისი ხასიათით ეს კითხვა ფილოსოფიური, ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიურია, შესაძლოა, რელიგიურიც: შესაძლებელია თუ არა, რომ ადამიანის ბუნება არსებითად შეიცვალოს, რომ მან დაივიწყოს თავისი სწრაფვა თავისუფლების, ღირსების, მთლიანობისა და სიყვარულისკენ, ანუ დაივიწყოს საკუთარი ადამიანობა? მოსდგამს თუ არა ადამიანურ ბუნებას დინამიზმი, რომლითაც იგი შეეწინააღმდეგება ძალადობას ზემოთჩამოთვლილ ძირეულ ადამიანურ სწრაფვებზე იმით, რომ ეცდება ჰუმანურად აქციოს არაჰუმანური საზოგადოება?

უნდა აღინიშნოს, რომ სამ ავტორთაგანს არცერთი არ დგას ფსიქოლოგიური რელატივიზმის მარტივ პოზიციაზე, ესოდენ გავრცელებულზე დღევანდელ საზოგადოებრივ მეცნიერებაში. არცერთი მათგანი არ იწყებს იმის დაშვებით, რომ არ არსებობს ეგრეთწოდებული „ადამიანური ბუნება“, არ არსებობს ადამიანისთვის თანდაყოლილი თვისებები და იგი, უბრალოდ, იბადება „სუფთა დაფად“, რომელზეც ნებისმიერი მოცემული საზოგადოება წერს საკუთარ ტექსტს. სამივე ავტორი ფიქრობს, რომ ადამიანს მოსდგამს ინტენსიური ლტოლვა სიყვარულის, სამართლიანობის, ჭეშმარიტებისა და სოლიდარობისკენ, და ამაში ისინი მკვეთრად ემიჯნებიან რელატივისტებს. არსებითად, ისინი უკვე იმით ამტკიცებენ ამ ადამიანურ სწრაფვათა ძალმოსილებასა და ინტენსიურობას, რომ თვითონვე აღწერენ, რა საშუალებები იქნა გამოყენებული ამ სწრაფვათა აღმოსაფხვრელად. ზამიატინის წიგნში აუცილებელი ხდება ჩატარდეს ტვინის საგანგებო ოპერაცია, რათა ადამიანიდან მოიძირკვოს ადამიანური მოთხოვნილებები. ჰაქსლის თხზულებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ხელოვნური ბიოლოგიური სელექცია და აბები. ორუელთან კი სახეზეა სრულებით შეუზღუდავი წამება და ტვინის ამორეცხვა. სამ ავტორთაგან ვერცერთს ვერ დავადანაშაულებთ იმაში, თითქოს ადვილ ამბად მიაჩნდეთ ჰუმანურობის მოსპობა ადამიანში. ამასთანავე, სამივე ერთ დასკვნამდე მიდის: ეს მაინც შესაძლებელია დღესდღეობით უკვე საყოველთაოდ ცნობილ საშუალებათა გამოყენებით.

ზამიატინის წიგნთან ბევრი მსგავსების მიუხედავად, ორუელის „1984“ თავისებურად პასუხობს კითხვას: როგორ შეიძლება შეიცვალოს ადამიანის ბუნება? ამჯერად მსურს ვილაპარაკო საკუთრივ ორუელისეულ რამდენიმე კონცეფციაზე.

ორუელის მიგნება, რომელიც განსაკუთრებით მიესადაგება 1961 წელსა და შემდგომ ხუთ-თხუთმეტწლიან პერიოდს, მდგომარეობს კავშირის წარმოჩენაში „1984“-ს დიქტატორულ საზოგადოებასა და ატომურ ომს შორის. პირველი ატომური ომები მოხდა ორმოციანი წლების დასაწყისში. ათიოდე წლის შემდეგ იფეთქებს ფართომასშტაბიანი ომი, რომლის დროსაც ჩამოაგდებენ ასობით ატომურ ბომბს რუსეთში, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ამ ომის შემდეგ ყველა ქვეყნის ხელისუფლება რწმუნდება, რომ ომის გაგრძელება ორგანიზებული საზოგადოებისა და, ამდენად, თვით მათი მმართველობის დასასრულის ტოლფასი იქნება. ამ მოსაზრებით შეწყდა ბომბების სროლა და სამმა დიდმა ძალაუფლებამ, „უბრალოდ, განაგრძო ატომური ბომბების კეთება და შენახვა იმ გადამწყვეტი შანსისთვის, რომელიც, მათი რწმენით, ადრე თუ გვიან სამივეს მიეცემოდა.“ მმართველი პარტიის მიზანი კი იმის აღმოჩენა გახლდათ, თუ როგორ უნდა „დაეხოცათ რამდენიმე წამში ასეულობით მილიონი ადამიანი წინასწარი გაფრთხილების გარეშე“. ორუელმა „1984“ დაწერა თერმობირთვული იარაღის აღმოჩენამდე და ისტორიული შენიშვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორმოცდაათიან წლებში უკვე შესაძლებელი შეიქნა ზემოაღნიშნული მიზნის განხორციელება. იაპონიის ქალაქებში ჩამოგდებული ატომური ბომბი ჯერ კიდევ უმნიშვნელო და უსუსური ჩანს მასობრივი განადგურების იმ შესაძლებლობასთან შედარებით, რო-

1948/84
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელსაც გვთავაზობს თანამედროვე თერმოპირთვული იარაღი: ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის 90%-ის მოსპობა სულ რამდენიმე წუთში.

ორუელის კონცეფციის მნიშვნელობა ეყრდნობა არაერთ ფრიად გამჭრიახ დაკვირვებას. უპირველეს ყოვლისა, იგი გვიჩვენებს იარაღის განუწყვეტელი წარმოების ეკონომიკურ მნიშვნელობას, ურომლისოდაც ეკონომიკური სისტემა ვერ ფუნქციონირებს. შემდეგ გვიხატავს შთამბეჭდავ სურათს, თუ როგორ ვითარდება საზოგადოება, რომელიც მუდმივად ომის სამზადისშია, მუდმივად შიშობს, რომ თავს დაესხმიან, და მუდმივად იმ საშუალებებს ეძებს, რითაც მთლიანად გაანადგურებს მოწინააღმდეგეს. ორუელის მიერ წარმოდგენილი სურათი ერთობ საგულისხმოა: იგი გვთავაზობს ძლიერ არგუმენტს პოპულარული იდეის საწინააღმდეგოდ, თითქოსდა ჩვენ შევძლებთ თავისუფლებისა და დემოკრატიის შენარჩუნებას გამალებული შეიარაღებით, რაც, თავისთავად, „სტაბილური“ შემკავებლის როლს ითამაშებს. ეს დამამშვიდებელი იდეა იგნორირებას უკეთებს იმ საფრთხეს, რომ მზარდი ტექნიკური „პროგრესის“ წყალობით (რომელიც ხუთ წელიწადში ერთხელ სრულებით ახალი ტიპის იარაღს ქმნის და მალე ათის ნაცვლად ას და ათას მეგატონა სიმძლავრის ბომბს გააკეთებს) მთელი საზოგადოება იძულებული გახდება იცხოვროს მიწის ქვეშ. მაგრამ თერმობირთვული იარაღის დამანგრეველი ძალა ყოველთვის გადააჭარბებს მიწისქვეშა საბინადროს სიღრმეს, სამხედრო ძალაუფლება გახდება წამყვანი (ფაქტობრივად მაინც, თუ არა იურიდიულად) და გამუდმებული შიშ-სიძულვილი პოტენციური აგრესორის მიმართ დაანგრევს დემოკრატიული, ჰუმანისტური საზოგადოების ძირეულ პრინციპებსა და მიმართებებს. სხვა სიტყვებით: თუ გამალებული შეიარაღება არ მიგვიყვანს თერმობირთვულ ომამდე, იმის ნგრევამდე მაინც მიგვიყვანს, რასაც შეიძლება „დემოკრატიული“, „თავისუფალი“ ან „ტრადიციულ-ამერიკული“ ეწოდოს. დიდი წარმოსახვითი ძალითა და ოსტატობით გვიჩვენებს ორუელი იმ თვალსაზრისის ილუზორულობას, რომლის მიხედვითაც დემოკრატიას შეუძლია იარსებოს ატომური ომისთვის მუდმივ სამზადისში მყოფ საზოგადოებაში.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია ჭეშმარიტების ბუნებისOორუელისეული აღწერა, რომელიც გარეგნულად წარმოადგენს ჭეშმარიტების სტალინურ გაგებას, განსაკუთრებით - ოცდაათიან წლებში. მაგრამ ყველას, ვინც ამ წიგნში დაინახავს მხოლოდ სტალინიზმისთვის გამოტანილ მორიგ განაჩენს, მხედველობიდან გამორჩება ავტორისეული ანალიზის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. იგი ლაპარაკობს იმ ტენდენციაზე, რომელსაც ადგილი აქვს არა მხოლოდ რუსეთსა და ჩინეთში, არამედ დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებშიც, თუნდაც უფრო შენელებულად. ძირეული საკითხი, რომელსაც ორუელი აყენებს, არის ის, არსებობს თუ არა, საერთოდ, „ჭეშმარიტება“. როგორც მმართველი პარტია ამბობს: „*სინამდვილე* არ არის გარეთ არსებული რამ. ის მხოლოდ ადამიანის გონებაში არსებობს... ჭეშმარიტება *არის* ის, რასაც მმართველი პარტია სცნობს ჭეშმარიტებად“. თუ ეს ასეა, მაშინ მმართველი პარტია ადამიანთა გონების კონტროლით ჭეშმარიტებასაც აკონტროლებს. პარტიის პროტაგონისტსა და დამარცხებულ მეამბოხეს შორის გამართულ საბედისწერო საუბარში, რომელსაც სიღრმე-მასშტაბით დიდ ინკვიზიტორსა და ქრისტეს შორის გამართულ დოსტოევსკისეულ დიალოგს შევადარებდით, განმარტებულია მმართველი პარტიის ძირითადი პრინციპები. თუმცა, ინკვიზიტორისგან განსხვავებით, პარტიის ლიდერები არცკი აცხადებენ პრეტენზიას იმაზე, რომ მათი სისტემა ადამიანის გასაბედნიერებლადაა შექმნილი, რადგან ადამიანები - ეს მყიფე და მშიშარა არსებები - გაურბიან თავისუფლებას და თვალს ვერ უსწორებენ ჭეშმარიტებას. ლიდერებმა კარგად იციან, რომ სხვა არაფერი აქვთ მიზნად, გარდა ძალაუფლებისა. მათთვის „ძალაუფლება საშუალება კი არა - საბოლოო მიზანია. ძალაუფლება ნიშნავს უნარს - მიაყენო მეორე ადამიანს დაუსაზღვრავი ტანჯვა და ტკივილი.“ ამდენად, ლიდერებისთვის ძალაუფლება ქმნის სინამდვილეს, ჭეშმარიტებას.

ის პოზიცია, რომელსაც ორუელი ანიჭებს სახელისუფლებო ელიტას, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს ფილოსოფიური იდეალიზმის უკიდურეს ფორმას. მაგრამ უფრო მეტად უპრიანი იქნება ამოვიცნოთ, რომ ჭეშმარიტებისა და სინამდვილის ეს კონცეფცია არის უკიდურესი ფორმა პრაგმატიზმისა, რომელშიც ჭეშმარიტება ექვემდებარება პარტიას. ამერიკელ მწერალს ალან ჰარინგტონს, რომელიც თავის წიგნში „ცხოვრება ბროლის სასახლეში“ იძლევა დიდ ამერიკულ კორპორაციაში ყოფნის დახვეწილ და გულშიჩამწვდომ სურათს, მოხელთებული აქვს საუცხოო გამოთქმა ჭეშმარიტების თანამედროვე კონცეფციისთვის: „მოძრავი ჭეშმარიტება“. თუ მე ვმუშაობ დიდ კორპორაციაში, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი პროდუქცია ჯობია ყველა მისი კონკურენტის ანალოგიურ პროდუქციას, მაშინ სრულებით შეუფერებელი ხდება საკითხის დასმა ამ მტკიცების შესაბამისობის თაობაზე სინამდვილესთან. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ რამდენადაც მე ვემსახურები ამ და არა სხვა კორპორაციას, ამდენად ზემოაღნიშნული მტკიცება „ჩემი“ ჭეშმარიტება ხდება და აღარ ვაპირებ იმის გამორკვევას, არის თუ არა იგი ობიექტური სიმართლე. თუ ამის შემდეგ გამოვიცვლი სამსახურს და გადავალ მეორე კორპორაციაში, რომელიც მანამდე „ჩემი“ კონკურენტი იყო, მაშინ მე მივიღებ ახალ ჭეშმარიტებას, რომ მისი პროდუქცია საუკეთესოა და, სუბიექტურად რომ ვთქვათ, ეს ახალი ჭეშმარიტება ისეთივე ნამდვილი იქნება, როგორც ძველი.

სწორედ ესაა ჩვენი საზოგადოების დამღუპველი სვლის ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო ნიშანი, რომ ნელნელა ინსტრუმენტად ქცევის გზაზე დამდგარი ადამიანისთვის სინამდვილე კი არ წარმართავს, არამედ ცალსახად ექვემდებარება მის პირად ინტერესებსა და ფუნქციებს. ჭეშმარიტება მტკიცდება მილიონების კონსენსუსით. ლოზუნგს „როგორ შეიძლება მილიონები ცდებოდნენ“ ემატება მეორე ლოზუნგი: „როგორ შეიძლება ერთკაციანი უმცირესობა იყოს მართალი“. ორუელი მთელი სიცხადით გვიჩვენებს, რომ იმ სისტემაში, რომელშიც გაუქმებულია ჭეშმარიტების - როგორც სინამდვილის ობიეტური განსჯის - კონცეფცია, უმცირესობაში მოხვედრილი ნებისმიერი კაცი უნდა დარწმუნებულ იქნას საკუთარ შეშლილობაში.

იმ აზროვნების აღსაწერად, რომელიც დომინირებს მის წიგნში, ორუელი იყენებს უკვე თანამედროვე ლექსიკაში დამკვიდრებულ სიტყვას: „ორაზრი“.

„ორაზრი ნიშნავს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო რწმენის თანაარსებობას ერთი ადამიანის გონებაში, რომელიც ორივეს ერთნაირად იღებს... ეს პროცესი გაცნობიერებულად უნდა მიმდინარეობდეს, რათა განხორციელდეს საკმარისი სიზუსტით. თუმცა გაუცნობიერებელიც უნდა იყოს, რათა არ დაბადოს სიყალბის და, აქედან გამომდინარე, დანაშაულის გრძნობა..“

სწორედ ორაზრის გაუცნობიერებელი ასპექტია ის, რასაც „1984“-ის ბევრი მკითხველი შეცდომაში შეყავს, რაკი აფიქრებინებს, რომ ამ მეთოდს იყენებენ რუსები და ჩინელები, თვით მისი ქვეყნისგან კი ის ძალზე შორს დგას. რამდენიმე მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს მტკნარი ილუზიაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ, დასავლეთის მკვიდრნი, ვლაპარაკობთ „თავისუფალ მსოფლიოზე", რომელშიც ვგულისხმობთ არა მხოლოდ ამერიკისა და ინგლისის მსგავს, თავისუფალ არჩევნებსა და სიტყვის თავისუფლებაზე დამყარებულ სისტემებს, არამედ სამხრეთამერიკულ დიქტატურებსაც (ყოველ შემთხვევაში, ვგულისხმობდით, ვიდრე ისინი არსებობდნენ). ასევე ვატევდით ამ ცნებაში დიქტატურის ისეთ განსხვავებულ ფორმებსაც, როგორიცაა ფრანკოს და სალაზარის, აგრეთვე სამხრეთაფრიკული, პაკისტანური და აბისინიური დიქტატურები. როცა ვსაუბრობთ თავისუფალ მსოფლიოზე, არსებითად, მხედველობაში გვაქვს რუსეთთან და ჩინეთთან დაპირისპირებული სახელმწიფოები, მაგრამ არა ისინი, რომელთა წეს-წყობილება პოლიტიკურ თავისუფლებას ეყრდნობა.

მეორე თანამედროვე მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება არსებობდეს ერთსა და იმავე გონებაში ორი ურთიერთსაპირისპირო და ერთნაირად მიღებული რწმენა, არის ჩვენი მსჯელობა შეიარაღების თემაზე. შემოსავლისა და ენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს ჩვენ თერმობირთვული იარაღის წარმოებაში ვხარჯავთ და არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ამ იარაღს უკვე შეუძლია ჩვენი (და ჩვენი მტრის) მოსახლეობის ერთი მესამედის, ნახევრის ან უმეტესობის მოსპობა. მაგალითად, ჰერმან კანი - სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მწერალი ატომური სტრატეგიის სფეროში - განაცხადებს: „...სხვა სიტყვებით - ომი საშინელებაა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ ასევეა მშვიდობა. კარგი იქნებოდა ჩვენი დღევანდელი გამოთვლებით შეგვედარებინა ომის საშინელება მშვიდობის საშინელებასთან და დაგვენახა, რამდენად უარესია პირველი მეორეზე."

კანი ვარაუდობს, რომ თერმობირთვული ომი შეიძლება ნიშნავდეს სამოცი მილიონი ამერიკელის მოსპობას, მაგრამ, მისი აზრით, ამ შემთხვევაშიც კი „ქვეყანა სწრაფადვე დადგებოდა ფეხზე" და თერმობირთვული ომის ტრაგედია ვერ დააბრკოლებდა „ნორმალურ და ბედნიერ ცხოვრებას გადარჩენილთა და მათ შთამომავალთა უმრავლესობისთვის". ეს შეხედულება გულისხმობს: ა) ჩვენ ვემზადებით ომისთვის, რათა შევინარჩუნოთ მშვიდობა; ბ) თუ ომი ატყდება და რუსები გაჟლეტენ ჩვენი მოსახლეობის ერთ მესამედს, ჩვენ კი - მათსას (თუ შევძლებთ, უფრო მეტსაც), გადარჩენილი ხალხი მაინც ბედნიერად იცხოვრებს; გ) საშინელებაა არა მხოლოდ ომი, არამედ მშვიდობაც, და აუცილებელია იმის გამონაგარიშება, რამდენად უფრო საშინელია ომი.

ის ადამიანები, ვისთვისაც მისაღებია მსგავსი მსჯელობა, „ფხიზლებად" იწოდებიან. ისინი, ვისთვისაც საეჭვოა, რომ ამერიკა ერთნაირად „ხელშეუხებელი" დარჩება ორი მილიონი და სამოცი მილიონი მსხვერპლის შემთხვევაში, არ არიან „ფხიზლები". ისინი კი, ვინც განგაშით მიუთითებს ასეთი ნგრევის პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ და მორალურ შედეგებზე, „არარეალისტებად" ცხადდებიან.

ეს წერილი ვერ დაიტევს ხანგრძლივ დისკუსიას განიარაღების პრობლემაზე. აქ მხოლოდ მაგალითები მოვიხმეთ, რომლებიც დაგვეხმარებიან ორუელის წიგნის გაგებაში, სახელდობრ იმაში, რომ „ორაზრი", უბრალოდ, ისეთი რამ კი არ არის, რაც მხოლოდ მომავალში და მხოლოდ დიქტატურებში მოხდება, - ის უკვე ჩვენთანაა.

ორუელის განსჯის მეორე მნიშვნელოვანი მომენტი მჭიდროდ უკავშირდება „ორაზრს": გონების ოსტატური მართვით მიიღწევა, რომ ადამიანი აღარ ამბობს იმის საპირისპიროს, რასაც ფიქრობს, მაგრამ რასაც ფიქრობს - ჭეშმარიტების საპირისპიროა. ასე მაგალითად, თუ მას მთლიანად დათმობილი აქვს საკუთარი დამოუკიდებლობა და მთლიანობა, და თავისთავს სახელმწიფოს, პარტი-



ის ან კორპორაციის კუთვნილებად აღიქვამს, მაშინ ორს მიმატებული ორი არის ხუთი, ხოლო მონობა - თავისუფლებაა, და ამის შემდეგ იგი თავს თავისუფლად გრძნობს, რადგან აღარ არსებობს რაიმე განსხვავება ჭეშმარიტებასა და სიყალბეს შორის. ეს განსაკუთრებით მიესადაგება იდეოლოგიებს. ზუსტად ისევე, როგორ ინკვიზიტორებს სწამდათ, რომ მწვალებელთა წამებისას ქრისტიანული სიყვარულის სახელით მოქმედებდნენ, მმართველი პარტიაც ასევე „უკუაგდებს და მიწასთან ასწორებს ყოველ პრინციპს, რომელსაც თავდაპირველად იცავდა სოციალისტური მოძრაობა, და ამას აკეთებს ისევ და ისევ სოციალიზმის სახელით." სოციალიზმის შინაარსი მისივე საწინააღმდეგო რაობად იქცევა. მიუხედავად ამისა, ადამიანებს სჯერათ, რომ იდეოლოგია გულისხმობს იმას, რასაც ამბობს. ამ მიმართებით, ორუელი სავსებით ცხადად გულისხმობს სოციალიზმის გაყალბებას რუსული კომუნიზმის მიერ. მაგრამ უთუოდ უნდა დავამატოთ, რომ მსგავს გაყალბებაში დასავლეთსაც ედება ბრალი. ჩვენს საზოგადოებას ჩვენ წარმოვადგენთ თავისუფალი ინიციატივის, ინდივიდუალიზმისა და იდეალიზმის საზოგადოებად, სინამდვილეში კი ეს, უმეტესწილად, მხოლოდ სიტყვებია. ჩვენ ვართ არსობრივად ბიუროკრატიული ბუნების მქონე ცენტრალიზებული მენეჯერულ-ინდუსტრიული საზოგადოება, მოტივირებული ისეთი მატერიალიზმით, რომელიც მხოლოდ ოდნავაა შერბილებული ნამდვილად სულიერი თუ რელიგიური მიმართებებით.

აი, „ორაზრის" კიდევ ერთი მაგალითი: ატომურ სტრატეგიაზე საუბრისას მხოლოდ რამდენიმე მწერალს ახსოვს ის ფაქტი, რომ, ქრისტიანული მსოფლხედვით, სხვისი კვლა უფრო დიდი ბოროტებაა, ვიდრე ის, რომ სხვის მიერ იქნა მოკლული. ორუელისეულ აღწერაში მკითხველი ჩვენი დასავლური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ მრავალ სხვა შტრიხსაც იპოვის, რათა თავისი თავის უკეთ გაცნობიერების შემდეგ საკმარისად დაძლიოს საკუთარი „ორაზრი".H

რა თქმა უნდა, ორუელის მიერ დახატული სურათი უკიდურესად დამთრგუნველია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მკითხველი აცნობიერებს, რომ მასში მხოლოდ მტრის ხატი კი არ ჩანს, არამედ მთელი კაცობრიობა მეოცე საუკუნის მიწურულს. ამ სურათის შემხედვარე

ადამიანის რეაქცია შეიძლება იყოს ორგვარი: ან გახდება უფრო უიმედო და ბედს შერიგებული, ან იგრძნობს, რომ ჯერ კიდევ არის დრო და მეტი გონიერებითა და გამბედაობით იმოქმედებს.

სამივე ნეგატიური უტოპია აჩვენებს, რომ შესაძლებელია ადამიანის სრული დეჰუმანიზება და თან ცხოვრების გაგრძელება. ვინმემ შეიძლება ეჭვი შეიტანოს ამ დაშვების სისწორეში და იფიქროს, რომ თუკი შემუსრება ადამიანის ჰუმანური გულისგული, მაშინ მთელი კაცობრიობაც განადგურდება. გულამოცლილი ადამიანები ხომ ისეთი არაადამიანურნი და სიცოცხლედაშრეტილნი იქნებოდნენ, რომ ერთიმეორეს მოსპობდნენ ან სრული მოწყენილობისა და შიშისგან დაიხოცებოდნენ. თუ „1984“-ის სამყარო ცხოვრების დომინანტურ ფორმად იქცევა დედამიწაზე, ეს იქნება შეშლილთა მსოფლიო, ანუ არასიცოცხლისუნარიანი ქვეყნიერება (ორუელი ამას ოსტატურად მიანიშნებს გიჟური ნაპერწკლის ხსენებით პარტიის ლიდერის მზერაში). დარწმუნებული ვარ, არც ორუელს და არც ჰაქსლის ან ზამიატინს არ სურდათ იმის მტკიცება, რომ ასეთი მსოფლიო გარდაუვლად მოვა. პირიქით, ამ წიგნებით ისინი გვიჩვენებენ საით მივდივართ და სადამდე მივალთ, თუ არ ავაღორძინებთ ჰუმანიზმისა და ღირსების სულს - დასავლური კულტურის საფუძველთა საფუძველს. ორუელი, ისევე როგორც ორი სხვა ავტორი, უბრალოდ, მიგვითითებს, რომ მენეჯერული ინდუსტრიალიზმის ახალი ფორმა, რომელშიც ჩვენ ვქმნით ადამიანივით მოქმედ მანქანებს და ვზრდით მანქანასავით მოქმედ ადამიანებს, ხელს უწყობს დეჰუმანიზაციისა და სრული გაუცხოების ეპოქის დადგომას, რომელშიც ადამიანები იქცევიან საგნებად, პროდუქციის წარმოება-მოხმარების პროცესის დამატებად. სამივე ავტორი მიანიშნებს, რომ ეს საფრთხე არსებობს არა მხოლოდ რუსულ ან ჩინურ კომუნიზმში, არამედ ნიშნეულია თვით წარმოებისა და ორგანიზაციის თანამედროვე ფორმისთვის და შედარებით დამოუკიდებელია ამა თუ იმ იდეოლოგიისგან. ორუელი, ისევე როგორც სხვა ნეგატიური უტოპიების ავტორები, უბედურების წინასწარმეტყველი კი არ არის, მას ჩვენი გაფრთხილება და გაღვიძება სურს. მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი. მაგრამ დასავლური საზოგადოების ადრეულ პერიოდში შექმნილი უტოპიების ავტორთა იმედებისგან განსხვავებით, ეს იმედი - ***სასოწარკვეთილი იმედია.***

როგორც „1984“ გვასწავლის, იმედი შეიძლება ხორცშესხმულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავაცნობიერებთ, რა საფრთხე ემუქრება ავტომატად ქცეულ ადამიანთა საზოგადოებას, რომელსაც არ გააჩნია არავითარი ინდივიდუალობა, სიყვარული, კრიტიკული აზრი და რომელიც - სწორედ „ორაზრის“ წყალობით - ვერცკი აცნობიერებს ამას. მსგავსი წიგნები - ძალუმი გაფრთხილებებია. დიდად სამწუხარო იქნებოდა, თუ ჩვენი მკითხველი თვითკმაყოფილად განსაზღვრავდა „1984“-ს, როგორც სტალინური ბარბაროსობის ერთ-ერთ აღწერას, და ვერ დაინახავდა მასში საკუთრივ ჩვენს საზოგადოებას.

*[1] უკანასკნელი გამოცემა დაიბეჭდა „მსოფლიო ლიტერატურის ახალი ამერიკული ბიბლიოთეკის“ მიერ ნიუ იორკში, 1960 წელს (ე. ფრომი).*

*[2] აქვე უნდა ითქვას, რომ ჯეკ ლონდონის „რკინის ქუსლი“ - ფაშიზმის წინასწარმეტყველება ამერიკაში - არის პირველი თანამედროვე უტოპია.*

## ჯორჯ ორუელი

# 1984

### ნაწყვეტი რომანიდან



აპრილის კაშკაშა, ცივი დღე იდგა. საათი პირველს უჩვენებდა. სუსხიანი ქარისგან თავდაცვის მიზნით მკერდში ნიკაპჩარგული უინსტონ სმიტი სწრაფად შევიდა „გამარჯვების სახლის“ შუშის კარებში, თუმცა მაინც დააკლდა სისწრაფე და მობზრიალე ქარ-მტვერიც თან შეიყოლა.

დერეფანი მოხარშული კომბოსტოსა და ჭილობად გამოყენებული ძველი ძონძების სუნს ავსო. ბოლოში კედელზე ეკიდა ფერადი პლაკატი, რომლის გაბარიტები ქუჩას უფრო ითხოვდა, ვიდრე შენობის შეზღუდულ სივრცეს. პლაკატზე სხვა არაფერი იყო, მხოლოდ ერთ მეტრზე უფრო განიერი ვეებერთელა სახე: ასე, ორმოცდახუთი წლის მამაკაცი შავი, მძიმე ულვაშითა და ლამაზად დანაოჭებული ნაკვთებით. უინსტონი კიბეს აუყვა. ლიფტის იმედი არ უნდა ჰქონოდა, - ყველაზე უკეთეს დროშიც კი იშვიათად მუშაობდა. ამჟამად დენს დღის განმავლობაში თიშავდნენ. ეს შეადგენდა სიძულვილის კვირეულისთვის გაწეულ ეკონომიას. ოთახი მეშვიდე სართულზე იყო. ოცდაცხრამეტი წლის უინსტონი, რომელსაც მარჯვენა კოჭის თავზე გაგანიერებული წყლული ჰქონდა, ნელა ადიოდა და შიგდაშიგ სულისმოსათქმელადაც ჩერდებოდა. ყოველ სართულზე, ლიფტის მოპირდაპირე კედლიდან იგივე ვეებერთელა სახე იმზირებოდა, - ერთ-ერთი იმ სურათთაგანი, რომელზე გამოსახული ადამიანის მზერა ყველგან მოგყვება, სადაც არ უნდა წახვიდე. **დიდი ძმა გითვალთვალებს** - იუწყებოდა წარწერა სურათის ქვეშ.

ოთახში მელოდიური ხმა კითხულობდა თუჯის წარმოების ამსახველი რიცხობრივი მაჩვენებლების სიას. ხმა მოდიოდა ლითონის მოგრძო, დაბინდული სარკის მსგავსი საინიდან, რომელიც ოთახის მარჯვენა კედელში ჩაედგათ. უინსტონმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამრთველი გადაატრიალა და ხმამ რამდენადმე დაიწია, თუმცა ტექსტი მაინც ისმინებოდა. ეს მოწყობილობა, რომელსაც ტელეეკრანი ერქვა, შეიძლებოდა გაბუნდოვანებულიყო, მაგრამ შეუძლებელი იყო მისი მთლიანად გამორთვა. უინსტონი ფანჯარასთან მივიდა. მომცრო და მყიფე სხეული კიდევ უფრო ეკვეთებოდა ლურჯ სპეცტანსაცმელში - პარტიის უნიფორმაში. ძალზე ლამაზი თმა ჰქონდა, სახე ბუნებრივად ულაჟღაჟებდა, კანი ხორკლიანი საპნით, ბლაგვი სამართებლითა და ახლახან გასული ზამთრის სუსხით გაუხეშებოდა.

ფანჯარა დახურული იყო, მაგრამ გარესამყარო მაინც ცივად ასხივებდა. ქუჩაში ქარის პატარა ნაკადები მტვერსა და ქაღალდის ნაგლეჯებს ატრიალებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მზე კაშკაშებდა და ცაც ლურჯზე ლურჯი იყო, თითქოს

მაინც არაფერს ჰქონდა ფერი, ყველგან გაკრული პლაკატების გარდა. შავულვაშიანი

სახე ყველა კუთხიდან იმზირებოდა. ერთი პლაკატი მოპირდაპირე სახლის ფასადზე გაეკრათ. **დიდი ძმა გითვალთვალებს** - შავი თვალები უინსტონს გუგებში ჩაჰყურებდნენ. დაბლა, ზედ ქუჩის თავზე, ერთ კუთხეში აგლეჯილ სხვა პლაკატს ქარი აფრიალებდა და ხანგამოშვებით აჩენდა ერთადერთ სიტყვას: **ინგსოც**[1]. შორს, სახურავებს შორის, ვერტმფრენი დაეშვა, ერთი წამით შეყოვნდა ჰაერში ხორცის ბუზივით და კვლავ წინ გაქანდა ირიბი ფრენით. ეს პოლიციის პატრული იყო, რომელიც სახლების ფანჯრებში იყურებოდა. თუმცა პატრული არაფერს ნიშნავდა - მთავარი ***აზრის პოლიცია*** გახლდათ.

უინსტონის ზურგსუკან ტელეეკრანი კვლავ განაგრძობდა ბუტბუტს თუჯის წარმოებისა და მეცხრე სამწლედის გეგმის გადაჭარბებით შესრულების შესახებ ტელეეკრანზე ერთდროულად ხდებოდა გადაცემა და მიღება. ფიქსირდებოდა უინსტონის მიერ გამოცემული ყოველი ბგერა, ძალზე ხმადაბალი ჩურჩულის გარდა. მეტიც, ვიდრე უინსტონი ტელეეკრანის მხედველობის არეში რჩებოდა, მას კიდეც ხედავდნენ და კიდეც უსმენდნენ. რა თქმა უნდა, ვერაფრით დაადგენდი, გიყურებენ თუ არა მოცემულ მომენტში. სრულებით გაურკვეველი იყო იმის გაგება, რა სისტემით ან რა სიხშირით ერთვებოდა აზრის პოლიცია ყოველ ინდივიდუალურ კაბელში. ისიც კი დასაშვებია, რომ ყველას ყოველწამს უყურებდნენ. ასე იყო თუ ისე, მაშინ ჩაგერთვებოდნენ, როცა მოისურვებდნენ. უნდა გეცხოვრა - და ცხოვრობდი კიდეც ინსტინქტად ქცეული ჩვევით - იმ ფიქრით, რომ უსმენდნენ შენს ყოველ ბგერას და დაკვირვებით უთვალთვალებდნენ შენს ყოველ მოქმედებას, თუ მთლად სიბნელეში არ იმოძრავებდი.

უინსტონი ტელეეკრანისკენ კვლავ ზურგშექცევით იდგა, თუმცა კარგად იცოდა, რომ თვით ზურგიც მეტყველებდა. ერთი კილომეტრით მოშორებული ***ჭეშმარიტების სამინისტრო*** - მისი სამსახური - თეთრად და ფართოდ გადმოჰყურებდა პირქუშ სანახებს. ეს ლონდონია, გაიფიქრა უინსტონმა რაღაც ბუნდოვანი ზიზღით, ოკეანიის რიგით მესამე დასახლებული პროვინციის - ***პირველი ასაფრენ-დასაშვები მოედნის*** მთავარი ქალაქი. სცადა, გამოეხმო ბავშვობის მოგონებიდან, იყო თუ არა ლონდონი ყოველთვის ასეთი. ყოველთვის იდგა მეცხრამეტე საუკუნეში ნაშენები ასეთი ფუტურო სახლები ხის ბიჯგებშეყენებული კედლებით, მუყაოაკრული ფანჯრებით, დაბრეცილთუნუქიანი სახურავებითა და მონგრეულღობეებიანი გიჟური ბაღებით? ყოველთვის არსებობდა ეს დაბომბილი ადგილები, სადაც ბათქაშის მტვერი ტრიალებდა ჰაერში და გორებად დაყრილ ქვა-ღორღზე წყალნაწყენი ამოზრდილიყო? ან ის ადგილები, სადაც ბომბებს უფრო ფართო ზოლი გაეჭრათ და სადაც საქათმეებივით ჩამწკრივებულიყო ხის ზინზლიანი ქოხმახების მთელი მასივი? მაგრამ არა, უინსტონი ამას ვერ იხსენებდა. ბავშვობისგან აღარაფერი დარჩენილიყო, საერთო ფონს მოკლებული და მეტწილად ბუნდოვანი გამოსახულების მქონე რაღაც მანათობელი სურათების გარდა.

ჭეშმარიტების სამინისტრო - ***ჭეშსამინი*** **ახალმეტყველების**[2] ენაზე - გამაოგნებლად განსხვავდებოდა ყველა ობიექტისგან, რაც კი იმ არემარეში ჩანდა. ეს იყო მბზინავი თეთრი ბეტონით ნაგები უზარმაზარი პირამიდული სტრუქტურა, ტერასებად ატყორცნილი სამასი მეტრის სიმაღლეზე. უინსტონის ფანჯრიდან იკითხებოდა შენობის თეთრ ზედაპირზე ლამაზი ასოებით გამოყვანილი პარტიის სამი ლოზუნგი:

**ომი - მშვიდობაა**
**მონობა - თავისუფლებაა**
**უმეცრება - ძალაა**

ჭეშმარიტების სამინისტრო, როგორც ამბობდნენ, მოიცავდა სამი ათასამდე ოთახს მიწის ზემოთ და შესაბამის განშტოებებს მიწისქვეშ. ლონდონის სხვადასხვა რაიონში არსებობდა კიდევ სამი ასეთივე შესახედაობისა და ზომის შენობა. იმდენად ჩრდილავდნენ ეს შენობები ქალაქის მთელ დანარჩენ არქიტექტურას, რომ „გამარჯვების სახლის“ სახურავიდან ერთდროულად შეგეძლოთ დაგენახათ ოთხივე. ისინი წარმოადგენდნენ მმართველობის მთელი აპარატის მომცველ ოთხ სამინისტროს: ***ჭეშმარიტების სამინისტროს***, რომელსაც ეხებოდა ახალი ამბები, საზოგადოებრივი გართობა, განათლება და ხელოვნება; ***მშვიდობის სამინისტროს***, რომელიც დაკავებული იყო ომის საკითხებით; ***სიყვარულის სამინისტროს***, რომელიც იცავდა კანონსა და წესრიგს; და ეკონომიკურ საკითხებზე პასუხისმგებელ ***დოვლათის სამინისტროს***. მათი სახელები **ახალმეტყველებაში** ასე ჟღერდა: ***ჭეშსამინი, მშვიდსამინი, სიყსამინი, დოვსამინი***[3].

სიყვარულის სამინისტრო მართლაცდა დამაფრთხობელი შესახედაობისა იყო: არცერთი ფანჯარა არ ჰქონდა. ამ შენობაში უინსტონი არასოდეს ყოფილა, ნახევარ კილომეტრზეც კი არ მიახლოებია. შეუძლებელი იყო იქ მოხვედრა, თუ არა ოფიციალური საქმისთვის და მაშინაც მხოლოდ ეკლიანი მავთულხლართების, ფოლადის კარიბჭეებისა და ფარულად დადგმული ტყვიამფრქვევების გავლით. მისი გარეთა ბარიერებისკენ მიმავალი ქუჩებიც კი გადაეკეტათ გორილასსახიან, შავფორმიან, დრეკადი კეტებით აღჭურვილ მცველებს.

უინსტონი სწრაფად შემოტრიალდა სახეზე წყნარი ოპტიმიზმის განწყობით - ფრიად სასურველით ტელეეკრანთან პირისპირ დგომისას. შემდეგ ოთახი გადაჭრა და პაწია სამზარეულოში შევიდა. სამინისტროდან ასეთ დროს წამოსვლის გამო მას უარი უნდა ეთქვა თავის ლანჩზე ბუფეტში, თუმცა იცოდა, რომ

სამზარეულოში სხვა არაფერი ელოდა, შავი პურის ნატეხის გარდა, რომელიც ხვალის საუზმეზე იყო გათვლილი. კარადიდან უფეროსითხიანი ბოთლი ჩამოიღო. სრულებით თეთრ იარლიყს „გამარჯვების არაყი“ ეწერა. გულისამრევი ზეთის

სუნი უდიოდა, ჩინური ბრინჯის სპირტის მსგავსი. დაახლოებით იმდენი დაისხა, ჩაის ჭიქას რომ აავსებდა. პირთან მიიტანა, შოკისთვის მოემზადა და წამლის ულუფასავით გადაჰკრა.

იმწამსვე სახე აუჭარხლდა და თვალებიდან წყალი წამოსკდა - თითქოს აზოტის მჟავა დაელიოს. მეტიც, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს კეფაში რეზინის კეტი დაჰკრესო. თუმცა ერთი წუთის შემდეგ მუცლისგვრემა ჩაუცხრა და ქვეყანაც უფრო ფერადოვანი ეჩვენა.
დაჭმუჭნილი კოლოფიდან, რომელსაც „გამარჯვების სიგარეტი“ ეწერა, ერთი ღერი ამოიღო და გაუფრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თხილებლად დაიჭირა ვერტიკალურად: მთელი თუთუნი იატაკზე ჩამოიყარა. მეორე ღერს უფრო გონივრულად მოეპყრა. შემდეგ ოთახში დაბრუნდა და ტელეეკრანის მარცხნივ მდგარ პატარა მაგიდასთან დაჯდა. მაგიდის უჯრიდან ამოიღო საკალმე, მელნის ბოთლი და სქელი, თაბახის მეოთხედი ფორმატის ცარიელი წიგნი წითელი ყუითა და დაწინწკლული ყდით.

რატომღაც ტელეეკრანი უჩვეულო პოზიციაში იყო: იმის ნაცვლად, რომ, ჩვეულებისამებრ, უკანა კედელში ჩაემონტაჟებინათ, საიდანაც ის მთელ ოთახს გააკონტროლებდა, ამჯერად ფანჯრის პირდაპირ, გრძელ კედელში იდგა. ეკრანს ერთი მხრიდან ეკვროდა კედელში შეჭრილი ნიშა, რომელშიც ამჟამად უინსტონი იჯდა და რომელიც ამ სახლის აშენებისას, ალბათ, წიგნების კარადის ჩასადგმელად გაკეთდა. ნიშაში მჯდომარე და სკამის საზურგეზე გადაწოლილი უინსტონი ეკრანის მხედველობის არედან გადიოდა. მას, რასაკვირველია, მოუსმენდნენ, მაგრამ ვიდრე ამ პოზიციაში დარჩებოდა, ვერ დაინახავდნენ. სწორედ ოთახის უჩვეულო განლაგებამ ჩააგონა უინსტონს ის, რის გაკეთებასაც ახლა აპირებდა.

თუმცა ეს განზრახვა იმ წიგნმაც უკარნახა, წუთის წინ რომ ამოიღო უჯრიდან. გამორჩეულად ლამაზი წიგნი იყო. შეყვითლებული პრიალა ფურცლებით თუ შეაფასებდით, სულ ცოტა, ორმოცი წლის წინანდელს ჰგავდა. თუმცა უინსტონი ხვდებოდა, რომ გაცილებით უფრო ადრე დაებეჭდათ. ამ წიგნს ძველმანების მაღაზიის ვიტრინაში წააწყდა ქალაქის ერთ-ერთ მიკარგულ რაიონში (ამჟამად აღარ ახსოვდა - რომელში) და დანახვისთანავე შეიპყრო მისი შეძენის დაუძლეველმა სურვილმა. საერთოდ, პარტიის წევრებს არ უნდა ევლოთ ჩვეულებრივ მაღაზიებში ანუ, როგორც ამბობდნენ, „თავისუფალ ბაზარზე“. მაგრამ წესი მკაცრად არ სრულდებოდა, რადგან ისეთ საგნებს, როგორიც იყო, მაგალითად, ფეხსაცმლის თასმები ან სამართებლები, სხვაგან ვერსად შეიძენდით. უინსტონმა სწრაფი მზერა მოავლო ქუჩის ორივე ბოლოს, მაღაზიაში შეიძურწა და წიგნი ორნახევარ დოლარად იყიდა. მაშინ არც გაუაზრებია, რატომ ქნა ეს: ტყუილუბრალოდ თუ რამე განსაკუთრებული მიზნისთვის. დამნაშავესავით წაიღო შინ თავისი დიპლომატით. მიუხედავად იმისა, რომ წიგნის ფურცლებზე სრულებით არაფერი ეწერა, ეს მაინც მაკომპრომეტირებელი შენაძენი გახლდათ.

უინსტონი დღიურის წერას აპირებდა. ეს აკრძალული არ იყო (არაფერი არ იყო აკრძალული, რაკი კანონები აღარ არსებობდა), მაგრამ თუ უპოვნიდნენ, სიკვდილით დასჯა ან ოცდახუთწლიანი შრომა-გასწორებითი ბანაკი არ ასცდებოდა. კალმისტარს კალამი მოარგო, რომელსაც შემდეგ ენით და ტუჩებით მტვერი მოაშორა. წერის ეს არქაული საშუალება, რომელსაც ამჟამად ხელმოსაწერადაც იშვიათად იყენებდნენ, უინსტონმა უჩუმრად და დიდის გაჭირვებით იშოვა. უბრალოდ, იმისთვისDდასჭირდა, რომ რაღაცნაირად გრძნობდა: ლამაზ პრიალა ფურცლებს ძველებური კალმით წერა უფრო შეეფერებოდა, ვიდრე თანამედროვე ავტოკალმით ფხაჭნა. უინსტონი შეუჩვეველი იყო ხელით წერას. მოკლე შენიშვნების გარდა, ყველაფერს კარნახობდა დიქტოფონს, რომელიც ამ შემთხვევაში არ გამოდგებოდა. კალამი მელანში ჩააწო და ერთი წამით შეყოვნდა. გულმუცელში ჟრჟოლამ დაუარა: პირველი სიტყვის დაწერა ცარიელ ფურცელზე გადამწყვეტი მომენტი იყო. შემდეგ მოღრეცილი ასოებით დაწერა:

*4 აპრილი, 1984.*

დაწერა და სკამის საზურგეზე გადაწვა, რადგან სრული უძლურების გრძნობა დაეუფლა. უპირველეს ყოვლისა, დანამდვილებით ვერ იტყოდა, რომ ახლა *1984 წელი იყო*. დაახლოებით ასე უნდა ყოფილიყო, რადგან უინსტონმა დარწმუნებით იცოდა თავისი ასაკი - 39 - და სჯეროდა, რომ დაიბადა 1944 თუ 1945 წელს. მაგრამ დღესდღეობით ყოვლად შეუძლებელი იყო რომელიმე თარიღის დადგენა ერთი ან ორი წლის სიზუსტით.

უცებ მოულოდნელმა გაკვირვებამ შეიპყრო: ვისთვის წერდა ამ დღიურს? - მომავლისთვის, იმისთვის, ვინც ჯერ არ დაბადებულა. მისი გონება ერთ წამს კვლავ ფურცელზე დაწერილი საეჭვო თარიღის ირგვლივ დატრიალდა... და იქვე შეეჯახა **ახალმეტყველების** სიტყვას - ***ორაზრი***. პირველად გაიაზრა, რამხელა რამეს შეჭიდებოდა: როგ'ორ შეეძლო ადამიანს კავშირის დამყარება მომავალთან? ასეთი რამ შეუძლებელი იყო. მომავალი ან აწმყოს მსგავსი იქნებოდა, რა შემთხვევაშიც მას არ მოუსმენდნენ, ან აწმყოსგან განსხვავებული, რის გამოც მისი მიმართვა აზრს დაკარგავდა.

ერთხანს უაზროდ დაჰყურებდა ფურცელს. ეკრანიდან მჭახე სამხედრო მუსიკა იფრქვეოდა. უცნაურია: საწერად მომზადებულ უინსტონს არათუ მთლად წართმეოდა საკუთარი აზრის გამოხატვის უნარი, არამედ აღარც კი ახსოვდა, რის თქმას აპირებდა. ამ მომენტისთვის რამდენიმე კვირა ემზადებოდა და არასოდეს მოსვლია აზრად, რომ გამბედაობის გარდა კიდევ რამე დასჭირდებოდა. თვით წერის პროცესი ადვილი უნდა ყოფილიყო. მას მხოლოდ ის მართებდა, ფურცელზე გადაეტანა დაუსრულებელი მოუსვენარი მონოლოგი, რომელიც უკვე მრავალი წელია თავიდან არ შორდებოდა. ახლა კი მონოლოგი აღარსად იყო. მეტიც, ზუსტად ახლა დაეწყო წყლულის აუტანელი ქავილი. მაინც არ მოიფხანა, - ყოველ მოფხანაზე ანთებითი პროცესი ეწყებოდა. წამები წამებს მისდევდა. ერთადერთი, რაც ამწუთას უინსტონმა იცოდა, იყო წინ დადებული ფურცლის სიცარიელე, კოჭზემოთა წყლულის ქავილი, მოგრიალე მუსიკის ხმა და ჯინით გამოწვეული მცირე ზარხოში.

უცებ სრული პანიკით მოცულმა ისე დაიწყო წერა, რომ ბევრი არაფერი ესმოდა იქიდან, რაც ხელიდან გამოსდიოდა. წვრილი და ბავშვური ასოები ოღროჩოღრო ხაზებად დაიკლაკნენ ფურცელზე. ჯერ ასომთავრულები ავიწყდებოდა, მერე სასვენი ნიშნებიც მიაყოლა:

*4 აპრილი, 1984. წუხელ კინოში. ყველა ფილმი ომზე იყო. ერთ ძალიან კარგ ფილმში ლტოლვილებით სავსე გემი დაბომბეს სადღაც ხმელთაშუა ზღვაში. მაყურებელი ძალიან გაერთო იმ დიდ სქელ კაცზე, რომელსაც ესროდნენ ვერტმფრენიდან და ცდილობდა ცურვით გაქცევას. ჯერ დელფინივით ტრიალებდა წყალში, მერე გამოჩნდა ვერტმფრენის ამბრაზურიდან, მერე ნახვრეტებით გაივსო, გარშემო ზღვა სულ გავარდისფრდა და ისე სწრაფად ჩაიძირა, თითქოს ნახვრეტებში მაშინვე წყალი შეუვიდა. როცა ჩაიძირა, ყველა ხარხარებდა. მერე გამოჩნდა ბავშვებით სავსე სამაშველო ნავი, ზევით ვერტმფრენი. ნავის ცხვირთან იჯდა შუახნის ქალი, ალბათ, ებრაელი, ხელში სამიოდე წლის ბიჭით. პატარა ბიჭი შეშინებული ყვიროდა და თავს ქალის მკერდში მალავდა, თითქოს უნდოდა შიგ ჩამძვრალიყო, ქალი კი მკლავებს ხვევდა და აწყნარებდა, თუმცა თვითონაც შიშისგან გალურჯებული იყო. ბიჭს სულ ზედ ეფარებოდა, როგორც შეეძლო, თითქოს ტყვიებს აცილებდა. მერე ვერტმფრენმა ოცკილოიანი ბომბი ჩამოაგდო და ნავი სულ ნაფოტებად აქცია. მერე საოცარი კადრი იყო: ზევით, ზევით, ზევით, პირდაპირ ჰაერში ავარდნილი ბავშვის მკლავი ალბათ ვერტმფრენმა გადაიღო წინ დამაგრებული კამერით დიდი აპლოდისმენტები გაისმა პარტიის სკამებიდან მაგრამ ქვევით პროლეტარულ ნაწილში მჯდარმა ერთმა ქალმა უეცრად ერთი ყვირილი და აურზაური ატეხა რომ არ უნდა აჩვენონ ასეთი რამეები ბავშვების თანდასწრებით არა აქვთ ამის უფლება ბოლოს პო-*

ეროვნული ბიბლიოთეკა





*ლიციამ ნაათრია ნაათრია არა მგონია რამე მოუვიდა არავის არ აინტერესებს რას ამბობენ პროლებიპ მაგათ სულ ეგეთი რეაქციები აქვთ ისინი არასოდეს ---*

უინსტონმა წერა შეწყვიტა. ნაწილობრივ იმის გამო, რომ სპაზმი დაეწყო. ვერ გაეგო, რატომ გადმოაფრქვია მთელი ეს ნაგავი. მაგრამ საგულისხმოა, რომ როცა ამას აკეთებდა, მის ხსოვნაში სრულებით განსხვავებულმა მოგონებამ წამოყო თავი. ახლაღა მიხვდა: სწორედ მეხსიერებაში ამოტივტივებულმა ამ ეპიზოდმა უბიძგა, რომ შინ დაბრუნებულს დღიურის წერა დაეწყო.

ეს იმ დილას მოხდა, სამინისტროში, თუკი ესოდენ ბუნდოვან რამეზე შეიძლება ითქვას, რომ *მოხდა.*

თითქმის თერთმეტი საათი და ასი წუთი იყო. ნაწერთა დეპარტამენტში, სადაც უინსტონი მუშაობდა, ოთახებიდან სკამები გამოჰქონდათ და დარბაზში აწყობდნენ დიდი ტელეეკრანის წინ. *სიძულვილის ორწუთეულის* დრო იყო. უინსტონი უკვე ჯდებოდა შუა რიგის ერთ-ერთ სკამზე, როცა დარბაზში მოულოდნელად შემოვიდა ორი ადამიანი. უინსტონი ორივეს შორიდან იცნობდა, თუმცა არც ერთს და არც მეორეს არასოდეს დალაპარაკებოდა. ერთ მათგანს - ქალიშვილს - ხშირად შეხვედრია დერეფანში. სახელი არ იცოდა, იცოდა მხოლოდ ის, რომ გოგონა ფიქციის განყოფილებაში მუშაობდა. მაზუთიანი ხელით ხშირად ეჭირა ხოლმე ქანჩის გასაღები. როგორც ჩანს, იგი ტექნიკურად უზრუნველყოფდა ნოველების მწერ ერთ-ერთ მანქანას. ოცდაშვიდიოდე წლის გამბედავი შესახედაობის ქალიშვილი იყო, სქელი შავი თმით, ჭორფლიანი სახითა და ათლეტური მიმოხვრით. ვიწრო ალისფერი ლენტი - ახალგაზრდული ანტისექსუალური ლიგის ემბლემა - რამდენიმე წრედ შემოეხვია წელზე სპეცტანსაცმლის ზემოდან. ლენტი საკმაოდ მჭიდროდ შემოკვროდა და მოხდენილ თეძოებს თვალშისაცემს ხდიდა. უინსტონმა ეს ქალი პირველი დანახვისთანავე მოიძულა. იცოდა რატომაც. იმიტომ, რომ ქალიშვილს ყველგან თან დაჰქონდა ჰოკეის მოედნების, ცივი აბაზანების, საზოგადოებრივი ექსკურსიებისა და საერთო სუფთაგონების ატმოსფერო. უინსტონს ყველა ქალი სძაგდა, სხვებზე მეტად კი - ახალგაზრდები და მოხდენილები. სწორედ ქალები, ახალგაზრდა ქალები იყვნენ პარტიის ყველაზე ფანატიური მიმდევრები, ლოზუნგების მზუთხველნი, მოხალისე ჯაშუშები და დოგმატიკის დამრღვევთა დამსმენნი. მაგრამ ამ ქალიშვილისგან სხვებზე უფრო სახიფათო ნიავი ქროდა. ერთხელ დერეფანში შეხვედრისას ისე შემოხედა გვერდიდან, რომ უინსტონი ბნელმა ძრწოლამ მოიცვა. ისიც კი გაიფიქრა - აზრის პოლიციის აგენტი ხომ არ არისო. თუმცა, კაცმა რომ ითქვას, ეს სულაც არ ჰგავდა სინამდვილეს. ასე იყო თუ ისე, ქალიშვილის ახლომახლო ყოფნისას უინსტონი მუდამ განიცდიდა განსაკუთრებულ დისკომფორტს, რომელშიც შიშთან ერთად მტრობაც ერია.

მეორე ადამიანს - მამაკაცს - სახელად ო'ბრაიენი ერქვა. შინაგანი პარტიის წევრს ისეთი შორეული და მნიშვნელოვანი თანამდებობა ეჭირა, რომ უინსტონს მასზე მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა თუ ჰქონდა. შინაგანი პარტიის წევრის შავი სპეცტანსაცმლის დანახვაზე ყველა იქმყოფი მომენტალურად ჩაჩუმდა. ო'ბრაიენს, ეს ბრგე კაცი სქელი კისრითა და ტლანქად მოცინარი სასტიკი სახით, შემზარავი გარეგნობის მიუხედავად, თავისებურ ხიბლსაც ასხივებდა. წამდაუწუმ ისწორებდა ცხვირზე სათვალეს, რაც ამ კაცს საოცარ მომხიბვლელობასა და განუსაზღვრელად ცივილურ იერს ანიჭებდა. ვინმეს კიდევ რომ შეძლებოდა მსგავსი კატეგორიებით შედარება, ამ ჟესტის შემხედვარეს გაახსენებდა მეცხრამეტე საუკუნის აზნაურს, რომელიც მავანს თამბაქოს კოლოფს სთავაზობს. მთელი ამ ხნის მანძილზე უინსტონს ო'ბრაიენი თორმეტიოდეჯერ თუ ენახა. ეს ადამიანი უცნაურად იზიდავდა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაინტრიგებული იყო კონტრასტით ამ კაცის ნატიფ ჟესტებსა და ძალოსნურ იერს შორის. უინსტონისთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა მისივე ფარული რწმენა (იქნებ რწმენა კი არა, უბრალოდ, იმედი), რომ ო'ბრაიენის პოლიტიკური მართლმორწმუნეობა არც ისე უხარვეზო გახლდათ. მისი სახის რომელიღაც ნაკვთი თუ მოძრაობა უცილობლად შთაგაგონებდათ ამას. თუმცა ის, რაც მას სახეზე ეწერა, შესაძლოა, მართლმორწმუნეობის ნაკლებობა კი არა, უბრალოდ, გონიერება იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი იერი გაფიქრებინებდათ, რომ ამ კაცთან შეიძლებოდა საუბარი, თუკი რამენაირად ტელეეკრანს დაუსხლტებოდით და ერთი ერთზე დარჩებოდით. უინსტონს ერთხელაც კი არ უცდია თავისი ვარაუდის შემოწმება, - ამის არავითარი საშუალება არ არსებობდა.

ამ მომენტში ო'ბრაიენმა მაჯის საათს დახედა: საცაა უკვე თერთმეტი და ასი გახდებოდა. ცხადლივ დაეტყო, რომ *ორწუთეულის* დაწყებამდე ნაწერთა დეპარტამენტში დარჩენა გადაწყვიტა. უინსტონის რიგში დაჯდა, ერთი სკამის გამოტოვებით. მათ შორის იჯდა პატარა ჟღალთმიანი ქალი, რომელიც უინსტონის გვერდითა ოთახში მუშაობდა. შავთმიანი გოგონა ზუსტად მათ უკან მოთავსდა.

მომდევნო წუთში ტელეეკრანიდან აფეთქებასავით გაისმა საშინელი ღრჭიალი და დარბაზის ბოლოს მიენარცხა: - თითქოს დაუზეთავი ტრაქტორი გამოთრახთრახდაო. ეს ხმაური კაცს კბილებს დააკრეჭინებდა და თმას ყალყზე დაუყენებდა. *ორწუთეული* დაიწყო.

როგორც ყოველთვის, ეკრანზე გამოჩნდა ხალხის მტრის - ემანუელ გოლდსტეინის სახე. აქა-იქ მაყურებლებში სტვენა გაისმა. ჟღალთმიან ქალს შიშ-სიძულვილის კივილი აღმოხდა. გოლდსტეინი გახლდათ განდგომილი მოღალატე, რომელიც დიდი ხნის წინ (არავის ახსოვდა - როდის) იყო პარტიის ერთ-ერთი მოწინავე, თითქმის თვით დიდი ძმის რანგის ფიგურა. შემდეგ კონტრრევოლუციურ მოძრაობაში ჩაება, სიკვდილი მიესაჯა, მაგრამ ყოვლად იდუმალ ვითარებაში გაიქცა და მიიმალა.

*ორწუთიანი სიძულვილის* პროგრამას დღიდან დღემდე ცვლიდნენ, მაგრამ გოლდსტეინი - მთავარი მოღალატე, პარტიის სიწმინდის პირველი შემბღალავი - მუდამ ცენტრალურ ფიგურად რჩებოდა. პარტიის წინაშე ჩადენილი ყველა შემდგომი დანაშაული, ყველა ღალატი, საბოტაჟის ყოველი აქტი თუ ერესი გოლდსტეინის სწავლებიდან იღებდა სათავეს. ის მუდამ სადღაც იყო და მორიგ შეთქმულებას აწყობდა: შესაძლოა, ზღვის გადაღმა თავისი ხაზინადარების მფარველობის ქვეშ, ან იქნებ - როგორც მოარული ხმები ამბობდნენ - თვით ოკეანიის რომელიღაც სამალავშიც კი.

უინსტონს მკერდი შეეკუმშა. არ შეეძლო გოლსტეინის სახის დანახვა ურთიერთსაპირისპირო გრძნობების მტკივნეული შეხლის გარეშე. ეს იყო გამხდარი ებრაული სახე ხშირი თეთრი თმითა და თხის მოკლე წვერით, - ჭკვიანური, მაგრამ გამოკვეთილად საზიზღარი სახე გრძელ და თხელ ცხვირში ჩაბუდებული ერთგვარი ბებრული სიბრიყვითა და იმ ცხვირის წვერზე დაკოსებული სათვალით. სახითაც და მეტყველებითაც ცხვარს ჰგავდა. გოლდსტეინი ამჯერადაც აფრქვევდა თავის შხამიან კრიტიკას პარტიის სწავლებათა მიმართ. ბავშვიც კი მიხვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დებოდა ამ თვითნებური და უსაშველოდ გაზვიადებული კრიტიკის უსაფუძვლობას. მაგრამ ის მაინც საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერდა და, ამდენად, მოსალოდნელი იყო, განგაშის გრძნობა გამოეწვია რომელიმე უფრო ნაკლებად გაწონასწორებულ და ადვილად ასაყოლიებელ ხალხში. გოლდსტეინი ბრალს დებდა დიდ ძმას, ამხილებდა პარტიულ დიქტატორობაში, ითხოვდა დაუყოვნებლივ ზავს ევრაზიასთან, მხარს უჭერდა სიტყვის, პრესის, საჯარო შეკრების, აზრის თავისუფლებას, რევოლუციას ულალატესო - გაჰყვიროდა ხმამაღლა... და ამ ყველაფერს გამოთქვამდა მრავალმარცვლიანი მეტყველებით - პარტიის ორატორებისთვის დამახასიათებელი სტილის ერთგვარი პაროდირებით. იყენებდა თვით **ახალმეტყველების** სიტყვებსაც კი, - გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე პარტიის რომელიმე წევრს უხმარია ოდესმე. და ვიდრე გოლდსტეინი ლაპარაკობდა, არავის რომ არ შეპარვოდა ეჭვი იმ სინამდვილეზე, რომელსაც გულისხმობდა მისი ბრტყელ-ბრტყელი და მაცდუნებელი მეტყველება, - მის თავს უკან განუწყვეტლად მოჩანდა ევრაზიული ჯარის უსასრულო ნაკადი, სადაც ერთმანეთს მწკრივებად მოჰყვებოდნენ უგრძნობელი აზიატური სახეები. ისინი წუთით გამოჩნდებოდნენ ეკრანზე და იქვე ქრებოდნენ, რათა ადგილი დაეთმოთ ტყუპისცალებივით მსგავსი სხვა მწკრივებისთვის. ჯარისკაცთა ჩექმების ყრუ და რიტმული ბრახუნი ფონად გასდევდა გოლდსტეინის კიკინა ხმას.

სიძულვილის პირველი ოცდაათი წამის მანძილზე ნახევარი დარბაზი თავშეუკავებელ სიშმაგეს აფრქვევდა. ეკრანზე მყოფი თვითკმაყოფილი ცხვრის სახე და ევრაზიული არმიის დამზაფვრელი ძალმოსილება აუტანელი სანახავი იყო. გოლდსტეინის დანახვა, თვით მასზე გაფიქრებაც კი უკვე მექანიკურად იწვევდა შიშსა და ბრაზს. ეს კაცი უფრო მძაფრი სიძულვილის საგანი იყო, ვიდრე ევრაზია ან აღმოსავლეთაზია, რადგან როდესაც ოკეანია ერთ-ერთ მათგანთან ომობდა, მაშინ, როგორც წესი, მშვიდობიან ურთიერთობაში იყო მეორესთან. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ, თუმცა გოლდსტეინი ყველას სძულდა და ეზიზღებოდა, თუმცა ბაქნებზე, ტელეეკრანებზე, გაზეთებში თუ წიგნებში მის თეორიებს ყოველდღიურად - დღეში ათასჯერ - ამასხარავებდნენ, უარყოფდნენ, ანადგურებდნენ და, მთლიანობაში, რაღაც უბადრუკ ნაგვად ნათლავდნენ, - ამ ყველაფრის მიუხედავად, მისი ზეგავლენა თითქოს არასოდეს კლებულობდა. ყოველთვის გამოიძებნებოდნენ მიამიტები, რომლებსაც იგი შეაცდენდა. დღე არ გავიდოდა, აზრის პოლიციას არ ემხილებინა გოლდსტეინისთვის მომუშავე ჯაშუშები და დივერსანტები. იგი მართავდა უჩინარ არმიას, შეთქმულთა უზარმაზარ მიწისქვეშა ქსელს, რომლის დანიშნულება ოკეანიის სახელმწიფოს დამხობა გახლდათ და რომელსაც *საძმოდ* მოიხსენიებდნენ. ჩურჩულით ვრცელდებოდა ისტორიები რაღაც საშინელ წიგნზე - გოლდსტაინის ყველა მწვალებლობის შესაკრებელზე, რომლის ავტორი და შემოქმედი თვითონვე იყო და რომელიც საიდუმლოდ გადადიოდა ხელიდან ხელში. ხალხი მას, უბრალოდ, ***წიგნად*** იხსენიებდა (თუკი საერთოდ იტყოდა რამეს).

მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ბუნდოვან ხმებად დაიარებოდა. პარტიის არცერთი ჩვეულებრივი წევრი არ ახსენებდა *საძმოს* ან ***წიგნს,*** თუ რამენაირად შეეძლო, რომ არ ეხსენებინა.

მეორე წუთში სიძულვილი უკვე სიგიჟეში გადაიზარდა. მაყურებლები ადგილებზე ხტუნავდნენ და მთელი ხმით ღრიალებდნენ, რათა როგორმე ჩაეხშოთ ეკრანიდან მოკიკინე ეს ჭკუაზეგადამყვანი ხმა. მთლად გავარდისფრებულ ჟღალთმიან ქალს პირი ნაპირზე გადმოსროლილი თევზივით ელებოდა და ეხურებოდა. ო'ბრაიენსაც კი ანთებოდა ის ტლანქი პირი სახე. წელგამართულად მჯდომს მკერდი ისე აუდ-ჩაუდიოდა, თითქოს ტალღის დარტყმას უძლებსო. უინსტონის უკან მჯდარმა შავთმიანმა გოგონამ, აქამდე სულ „ღორო! ღორო!“-ს რომ გაჰკიოდა, უცებ საიდანღაც **ახალმეტყველების** მძიმე ლექსიკონი დააძრო და პირდაპირ ეკრანს ესროლა. წიგნი გოლდსტეინს შიგ ცხვირში მოხვდა და უკან გადმოვარდა. ის შეუდრეკლად განაგრძობდა კიკინს. რაღაც მომენტში უინსტონმა დააფიქსირა, რომ ისიც სხვებთან ერთად ყვიროდა და სხვებივით გამეტებით ურტყამდა ფეხებს სკამის საფეხურს. *სიძულვილის ორწუთეულის* მთელი საშინელება ის კი არ იყო, რომ მაყურებელს ავალდებულებდა ამ პროცესში მონაწილეობას, არამედ ის, რომ შეუძლებელს ხდიდა მასში არჩართვას. ოცდაათი წამის შემდეგ აღარავის სჭირდებოდა თავის მოკატუნება. შიშისა და შურისგების საზიზღარი ექსტაზი, კაცისკვლის, წამების, სახეში უროს ცემის მძაფრი სურვილი ელექტროდენივით იღვრებოდა დარბაზში შეგროვილი ადამიანებისგან და თითოეულ მათგანს სახეშეშლილ, ღრიალებულ გიჟად აქცევდა. და მაინც, ეს გაშმაგება წარმოადგენდა აბსტრაქტულ, მიზანმიუმართავ ემოციას, რომელიც სარჩილავი ლამპის ალივით შეიძლებოდა მიგემართათ ერთი საგნიდან მეორისკენ. ამგვარად, ერთ რომელიღაც წამს, უინსტონის სიძულვილმა მიმართულება იცვალა, გოლდსტეინს თავი ანება და ამჯერად დიდი ძმის, პარტიისა და აზრის პოლიციისკენ გადაინაცვლა. მსგავს მომენტებში მისი გული ემხრობოდა მარტოხელა, ყველასგან გამასხარავებულ ერეტიკოსს - ჭეშმარიტებისა და გონიერების ერთადერთ მცველს სიცრუის სამყაროში. მაგრამ მომდევნო წამს უინსტონი კვლავ ირგვლივ მყოფთ უერთდებოდა და ყველაფერი, რასაც გოლდსტეინზე ამბობდნენ, სიმართლედ ესახებოდა. ასეთ დროს, დიდი ძმის მიმართ ფარული ზიზღი მისივე თაყვანისცემად ექცეოდა. დიდი ძმაც ზემოდან გადმოსცქეროდა, როგორც დაუმარცხებელი, უშიშარი მფარველი, კლდესავით აღმართული აზიურ ურდოთა პირისპირ. გოლდსტეინი კი, მისი სიმარტოვის, უსუსურობისა და ირგვლივ გამეფებული ეჭვის მიუხედავად, კვლავ იმ ავბედით გრძნეულს ემსგავსებოდა, რომელსაც მარტო ხმითაც კი ძალუძდა ცივილიზაციის მოსპობა.

*[1] „ინგლისური სოციალიზმი“ ახალმეტყველების ენაზე.*

*[2] ახალმეტყველება ოკეანიის ოფიციალური ენა იყო.*

*[3] ინგლისურად: Minitrue, Minipax, Miniluv, Miniplenty (Ministry of Truth, Ministry of Peace, Ministry of love, Ministry of Plenty). შემოკლებისას ეს სიტყვები ირონიულ მნიშვნელობას იძენს: „მინიმალურად ჭეშმარიტი, მინიმალური მშვიდობა“ და ა.შ. და ქართულად პირდაპირ არ ითარგმნება. ხოლო ქართული აბრევიატურის ის ვერსია, როგორსაც ჩვენ გთავაზობთ („ჭეშსამინი“, „მშვიდსამინი“ და ა.შ.) მკითხველს შორეულად მაინც გაახსენებს ჩვენი ახლო წარსულის ისეთ ნეტარ ლინგვისტურ წარმონაქმნებს, როგორიც იყო „შინსახკომი“, „მუშგლეხინი“, „საბლიტგამი“ და სხვ.*

*[4] ანუ პროლეტარები.*

ინგლისურიდან თარგმნა დავით აპრიაშა



## ჯორჯ ორუელი ინტერნეტში

http://home.cc.umanitoba.ca/~umberkes/1984_language.html
http://www.gerenser.com/1984/
http://perso.club-internet.fr/bmflemon/orwellpage.htm
http://academic.brooklyn.cuny.edu/tiiap/spring99/english1/menu/g1.html
http://www.ononline.com/books/authors/op/gorwell/gorwell.htm
http://pagesz.net/~stevek/europe/orwell.html
http://www.codoh.com/thoughtcrimes/tcportorw.html
http://www.geocities.com/SoHo/Square/4085/findex.htm

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბორის გროისი

# რა არის თანამედროვე ხელოვნება

## ლექცია

დასაწყისი იხ."არილი" N6(169)

როცა ჭვრეტის, დაკვირვების შესახებ ვსაუბრობთ, - ისევე დიუშანისა და ვიტგენშტაინის ტრადიციის კვალად - ვფიქრობთ, რომ ობიექტს არაფერი მოსდის, როცა მას ვუყურებთ. ეს ვიტგენშტაინი ამბობდა, რომ ჭვრეტა ყველაფერს თავის ადგილზე ტოვებს (ისევე როგორც ფილოსოფია). თეორია ყველაფერს თავის ადგილზე ტოვებს. ხელები ცვლიან საგანს, მაგრამ თეორეტიკული მზერა არ ცვლის მის სტრუქტურას. სწორედ ეს წანამძღვარია მთელი ამ დისკურსის საფუძველი, იმიტომ, რომ გიჩნდება სურვილი, იკითხო: როგორაა მოწყობილი ჭვრეტა? როგორ ოპერირებს? ამის საპასუხოდ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ვაკვირდებით საგნებს. მუზეუმები, მაგალითად, ასეთი ადგილია და შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ მუზეუმი არ ცვლის ხელოვნების ნაწარმოებს? ერთი შეხედვით, კი. მაგრამ მეორე მხრივ, არა. მაგალითად, როცა მუზეუმში შედიხართ, რაღაც ობიექტებს ხედავთ - ქანდაკებებს, ნახატებს. პირველი, რასაც მუზეუმში აწყდებით, გარკვეული სახის ტერორია. ვთქვათ, "არ გადააფურთხოთ" და საერთოდაც, "კულტურულად" მოიქეცით, ხელი არ ახლო ნახატს, არ ჩამოგლიჯო კედლიდან, არ გადმოაბრუნო, არ დაფლითო. ანუ ხელოვნება გარკვეული ოპერაციების ტაბუირებით იწყება, თანაც სწორედ იმ ოპერაციების აკრძალვით, რომელსაც შემდგომ შესწავლამდე, ობიექტის კვლევამდე მივყავართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ობიექტის გამოფენილობას მისი ჭვრეტის შეუძლებლობა მოჰყვება. მხოლოდ მაშინ გვაქვს ობიექტის დანახვის შესაძლებლობა, როცა ამ ობიექტის ნაწილს გამოვრიცხავთ ჭვრეტის ზონიდან. მისი დანახვა შეუძლებელია, აკრძალულია. ჩვენ, შეიძლება ითქვას, ყოფიერების რუხ, შუალედურ ზონაში ვცხოვრობთ. როცა ობიექტს ჭვრეტის სივრცეში ვათავსებთ, იგი შავ და თეთრ ნაწილებად იყოფა. ობიექტის ნაწილს ყურადღებით ვათვალიერებთ, მაგრამ ამას სხვა ნაწილის ხარჯზე ვაკეთებთ, იგი რადიკალურად ქრება მხედველობის არიდან. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მუზეალიზაციის, საგნის გამოფენილობის საფუძველში რაღაც ტრავმა ძევს. ობიექტი ტრავმატიზირდება, იგი შიგნიდან იპობა ორ ნაწილად - იმად, რასაც ხედავ და რაც პრინციპულად არ ჩანს. გგონია, რომ ობიექტს არაფერი მოსდის, მაგრამ ჭვრეტის პირობები მის ფუნდამენტურ ტრანსფორმირებას იწვევს. იპობა იგი მედიალურ ნაწილად, მხარედ, რომელიც ჩვენ რაღაცას გვაუწყებს, ჩანს მხარედ, რომელსაც ამ მედიალობის მატარებელი შეიძლება ვუწოდოთ. იგი დაფარულია ჩვენგან. ობიექტის შინაგანი "განხეთქილების" დანახვის ამ შეუძლებლობას, ჰაიდეგერის კვალად, ონტო-მედიალურ დიფერენციაციას ვუწოდებ. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დავახასიათოთ ხელოვნების დაბადების პროცესი, როგორც ტაბუირების პროცესი, როგორც აკრძალვა, ფრუსტრირება და ბლოკირება... თუნდაც ჩვენი სურვილების ბლოკირება. თუკი ყოველი ცალკეული ობიექტი ტაბუირების პროდუქტს წარმოადგენს, თანაც ისეთ პროდუქტს, რომელიც ფუნდამენტურად ამახინჯებს ამ ობიექტს, მაშინ ადვილი დასაშვებია, რომ ხელოვნების განვითარება თანამედროვე ეპოქაში კი არ არღვევს ტაბუს, არამედ მის პროდუცირებას ახდენს. არსებობს მცდარი აზრი, რომ XIX-XX საუკუნეების ხელოვნება სულ უფრო წინ მიიწევს, ანგრევს არსებულ ნორმებს, აღმოაჩენს ახალ სივრცეებს, მაგრამ ამ ყველაფერს არაფერი აქვს საერთო სიმართლესთან. სინამდვილეში XX საუკუნის ხელოვნება ტაბუსა და აკრძალვების გამუდმებული წარმოებითაა დაკავებული. ნებისმიერი ავანგარდის საერთო ფორმაა: "ასე ცხოვრება აღარ შეიძლება". თანაც ეს აკრძალვა აბსოლუტურად ირაციონალურია. ცხადია, რომ ყველაფერი დასაშვებია. ეს აბსურდული სიტყვებია და თვითტაბუირების აქტს წარმოადგენს, რომელსაც არანაირი ბაზა არ გააჩნია, გარდა წმინდა ესთეტიკურისა. თუკი მალევიჩივით ვიტყვი: "ასე ცხოვრება აღარ შეიძლება" და ველარ დავხატავ "ვენერათა უკანალებს" და "მწვანე ბაღნარებს", იმიტომ, რომ ამის ყურება აღარ შეიძლება - მაშინ შავი კვადრატი შესაძლებლობის საზღვრებიდან გამოსავალი კი არა, ამ შესაძლებლობის გაქრობის ნიშანი იქნება. სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, ადამიანს ვენერას უკანალის დახატვა სურს, მალევიჩსაც უნდოდა. იგი ამბობდა, რომ იგი იბრძვის გულახდილობის წინააღმდეგ ადამიანსა და შემოქმედში. ჩვენ მხატვრები მაშინ ვართ, როცა საკუთარი გემოვნების საპირისპიროდ ვიქცევით, როცა საკუთარი თავის ფრუსტრაციას ვახდენთ, ანუ როცა ასკეტურ პრაქტიკას ვახორციელებთ. XX საუკუნის ავანგარდის პრაქტიკას ხელოვნებაზე ტაბუს დადების პრაქტიკა შეიძლება ეწოდოს. პირველ ეტაპზე მე ხელოვნების პრაქტიკის ტაბუირებას ვახდენ, ვაუქმებ გარკვეულ ობიექტებს და მათ ჭვრეტის წმინდა საგნებად ვაქცევ, შემდეგ ეტაპზე კი ამ პრაქტიკის თავისთავადობას ვაცნობიერებ და მასაც ვკრძალავ, როგორც პრაქტიკას. ამგვარად, ავანგარდული ხელოვნება თავად ხელოვნების, როგორც კიდევ ერთი რეალური პრაქტიკის ტაბუირებას და აკრძალვას წარმოადგენს და ამის მიხედვით ხელოვნება ერთი აკრძალვიდან მეორისკენ მიდის, ერთი ფრუსტრაციიდან მეორესკენ, ერთი შეუძლებლობიდან მეორისკენ, თანაც ყველა ამ აკრძალვებსა და ფრუსტრა-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ციებს არანაირი საფუძველი არ გააჩნიათ ცხოვრებაში. მათ მხოლოდ ხელოვნებაში აქვთ ეს საფუძველი.

სხვათა შორის, ის, რაც ხელოვნების ნაწარმოებზე, როგორც ობიექტზე ვთქვი, სხვა დანარჩენზეც ვრცელდება. ჩვენ ვიცით არაკულტურული ქცევის წესები ხელოვნების სხვა დარგებშიც, არამარტო მუზეუმებში. მაგალითად, არსებობს ტექსტთან ურთიერთობის არაკულტურული ტიპი, როცა კითხვას ვსვამთ ხოლმე: "სწორად მოიქცა თუ არა ტატიანა, ონეგინს რომ წერილი მისწერა?" ეს, შეიძლება ითქვას, პარადიგმატული უკულტურო კითხვაა. რატომ? სინამდვილეში, თუკი გესმით, რომ ვილაც თქვენმა ნაცნობმა გოგომ ასეთი წერილი დაწერა, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, ეს კითხვა გაგჩენოდათ და აზრი გამოგეთქვათ ამის თაობაზე. ამ კითხვის დასმის შეუძლებლობა, მისი უკულტურობა ლიტერატურული კონვენციის მთავარ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ლიტერატურული კონვენცია ზუსტად ისევე ფუნქციონირებს, როგორც სამუზეუმო კონვენცია. ესაა ინტერესთა გარკვეული ტიპის ფრუსტირება.

ამ თემაზე დერიდამ საკმაოდ მახვილგონივრული წიგნი დაწერა, რომელსაც "ყალბი მონეტა" ჰქვია და იგი ტატიანას წერილის მსგავსად, ბოდლერის ერთ ტექსტს მიმოიხილავს, რომელშიც... ერთი სიტყვით, აზრი რაში მდგომარეობს: ნებისმიერ სხვა სიტუაციაში მკითხველი მოინდომებდა, გაერკვია (და გაარკვევდა კიდეც) მონეტა მართლა ყალბი იყო თუ არა. მაგრამ უხამსობაა, როცა ამას ბოდლერს ეკითხები. და აი, ამ აკრძალვის კონსტიტუირებას ახდენს ლიტერატურული ტექსტი. იგივე ვითარებაა კინოშიც... როცა მაგალითად, ნეგატიურ პერსონაჟებს ესროდნენ დარბაზიდან და ა.შ. ეს ნორმალური ადამიანური საქციელია და სწორედ მისი აკრძალვა წარმოადგენს ტექსტის კონსტიტუირებულ სივრცეს, რომელიც ამ დიფერენციას ქმნის.

რაში მჭირდება ეს დიფერენცია? ახლავე გეტყვით.

საქმე იმაში გახლავთ, რომ იმ მომენტში, როცა ხელოვნების რაობაზე სვამენ კითხვას, უეცრად წამოტივტივდება ხოლმე ცნობილი დებულება ხელოვნების დასასრულის შესახებ. სინამდვილეში ეს კითხვა და ეს პასუხი (რა არის ხელოვნება? - ის, რაც დასრულდა) - ინტიმურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ისინი კავშირში არიან, რადგანაც იმ მომენტში, როცა ქრება მატერიალური სხვაობა მუზეუმსა და მუზეუმს გარეთ მოთავსებულს შორის, შეგვიძლია ჩათვალოთ, რომ იშლება ზღვარიც ხელოვნებას და არახელოვნებას შორის. ჩვენ შეგვიძლია, რა თქმა უნდა, ვთქვათ, რომ არსებობენ რალაც მუზეუმები, სადაც ამა თუ იმ ნაწარმოებს ფენენ, მაგრამ ეს მათი საკუთარი გემოვნებისა და სტრატეგიების გამოხატულებაა, რომელიც არარელევანტურია ხელოვნებისთვის, როგორც ასეთისთვის და მათი არსის გასაგებად. სინამდვილეში საკითხის ასე დასმას, ბუნებრივია, ერთადერთ პასუხამდე მივყავართ - "ყველაფერი დაშვებულია", ეს კი ღმერთის სიკვდილს ნიშნავს. და თანამედროვე კულტურათა სანქციონირებული მხატვრის უფლება, უფლება, რომელიც ყველაფრის ხელოვნების ნაწარმოებად გამოცხადების, ყველაფრის ესთეტიზირების საშუალება იძლევა - შლის ამ სხვაობას. ამიტომაც, სწორედ იმ მომენტში, როცა ვსვამთ კითხვას, რა არის ხელოვნება, თავად ხელოვნება და ეს კითხვა ჩვენთვის უინტერესო ხდება. საზღვარი გაქრა და თუკი სადმე დარჩა მისი კვალი - იგი აღარანაირ ინტერესს აღარ იწვევს. ყველაფერი ეს საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს, მაგრამ თქვენი ყურადღება მინდოდა მიმექცია იმაზე, რომ იმ მომენტში, როცა ვაღიარებთ, რომ ობიექტი იცვლება, თუკი მისი ნაწილი სიშავეში ქრება, ვკითხულობთ ხოლმე, სად ქრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი და რა არის ეს სიშავე. პასუხი საკმაოდ მარტივია (მათთვის, ვისაც ესმის, თუ რა მაქვს მხედველობაში, როცა ონტო-მედიალურ დიფერენციაზე ვლაპარაკობ): ეს შავი მხარე დროდ იქცა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა რაღაცას ვუყურებ, არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ჭვრეტა. პასუხი კითხვაზე რამდენ ხანს, ნიშნავს იმას, თუ რამდენ ხანს გაძლებს ეს ტილო, რა არის ამ ქანდაკებაში და რამდენად მყარია შენობა, რამდენი ფული მიიღო ამა თუ იმ მუზეუმმა, რა პოლიტიკური კავშირები აქვს მის დირექტორს და ა.შ. ანუ ყველაფერი, რაც დაფარულია ჩემგან, როცა, ვთქვათ, "პომპეის უკანასკნელ დღეს" ვუყურებ. როცა ამ ნახატს ვუყურებ, მე ბედისწერას ვნებდები. დაფარული სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, მატერიალური და სხვა ინფრასტრუქტურების ნებას ვემორჩილები, რომლებსაც სწორედ ამ მომენტში ვერ ვაკონტროლებ და რომლებიც ახორციელებენ საკუთარ თავს, მის მანიფესტირებას ახდენენ არა იმით, რომ თავს გვაჩვენებენ (ისინი ჩემი ყურადღების არეში არც ექცევიან), არამედ გვაჩვენებენ საკუთარ თავს, როგორც საზღვარს ჩემი ხედვის უნარისას, რადგანაც შემდეგ, როცა მუზეუმი გაკოტრდება და დაიხურება, "პომპეის უკანასკნელ დღეს" კი დაწვავენ ან ვინმეს მიჰყიდიან... მე ეს არ ვიცი და ეს არცოდნა თითქოს ჩემი ხედვის კონსტიტუირებას ახდენს.

აქედან ჩნდება რეალური შეუძლებლობაც მუზეალიზაციის ესთეტიზაციისა, რომელიც იდეალურ შესაძლებლობას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, მე ყველაფრის მუზეალიზაცია შემიძლია, მაგრამ ამისთვის არც დრო მეყოფა, არც ძალა, არც ფული და სურვილი. და ეს ყველაფერი ცხოვრების შემთხვევითი ფაქტი როდია, არამედ დროის ფუნდამენტური ნიშან-თვისება, რადგანაც ისინი დროის ფაქტორებს წარმოადგენენ, ანუ დრო არ მყოფნის. ისევე, როგორც ადამიანს არასდროს ყოფნის დრო ერმიტაჟის დასათვალიერებლად. ურჩევნია ყავა ან ღვინო დალიოს. დროის უკმარისობა ჩვენი ცხოვრების ფუნდამენტური ნიშან-თვისებაა, ნებისმიერი ჭვრეტის ფუნდამენტური მახასიათებელი. ჭვრეტა იმით ხასიათდება, რომ იგი ყოველთვის უსრულია, დრო არ გვყოფნის. და დროის ეს უკმარისობა ჭვრეტისთვის ყველაფერი დანარჩენის მუზეალიზაციისთვის დროის ფუნდამენტურ უკმარისობასაც ნიშნავს. მე არ შემიძლია ეს დავინახო, რადგანაც დრო არ მყოფნის. თანაც აქ საუბარია იმ დროსა და ფარულ სიშავეზე, რომელიც მუზეუმის მიღმა კი არაა, არამედ თავად მუზეუმის ეფექტს წარმოადგენს. იგი თავად მუზეალიზაციასთან ერთად ჩნდება. და ამგვარად, ვერც დაიძლევა, ვერც რეფლექსირდება და მისი შესწავლაც შეუძლებელია. ჩემს საყვარელ მაგალითს მოვიყვან - ფიშლისა და უაისის ნამუშევრებს. ისინი შვეიცარელი მხატვრები არიან, ციურიხიდან, რომლებმაც, ჩემი აზრით, დიუშანის შემდეგ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს. მათ ფიქტიური, ცრუ Ready-made გააკეთეს.

ერთადერთი გამოსავალი, რათა იგი განასხვავო სხვა ნივთებისაგან, ისაა, რომ მას ხელით უნდა შეეხო, ასწიო. რადგანაც ისინი ძალიან მსუბუქები არიან. ისინი ამ საგანთა ასტრალური სხეულების მეტაფორებს წარმოადგენენ, მათ სულს. ხშირად ვყოფილვარ მათ სახელოსნოში და ყოველთვის ხელით ვეხები ხოლმე ამ საგნებს, ვარკვევ რა არის, რას წარმოადგენს. მუზეუმში კი ამას ვერ მოახერხებ. ერთი სიტყვით, როცა ამ ფიქტიურ, ინსცენირებულ Ready-made-ს უყურებ, ვერ ხვდები, თუ რა საგნებია ეს, რეალურია თუ ფიქტიური. და მხოლოდ მუზეუმი ხდის შეუძლებელს ამის გარკვევას. ცხოვრებაში ეს ადვილია. მუზეუმში ეს აკრძალულია.

იგივე შეიძლება ითქვას თანამედროვე ხელოვნების სხვა დარგების შესახებაც. როცა მშვიდად ზიხარ ტელევიზორთან, თუკი დრო გაქვს, შეგიძლია 40 საათიც უყურო ამ ვიდეოობიექტებს, მაგრამ მუზეუმის ან ინსტალაციის სიტუაციაში, ამას ვერ იზამ, იმიტომ, რომ დრო არ გეყოფა. ანუ მუზეუმში წიგნი კითხვადი აღარაა, ფილმი "არ ვარგა" ჩვენებისთვის, ობიექტი შეუცნობადია და ა.შ. მუზეუმი ხედვის სიცხადეს კი არა, მის შეუძლებლობას ქმნის. კი არ გვიხსნის ჭვრეტის შესაძლებლობებს, არამედ მათ ბლოკირებას ახდენს. და პირველად, სწორედ ამ ბლოკირების წყალობით, მუზეუმი, ისევე როგორც ლიტერატურა და ა.შ., საგნიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. მხოლოდ მაშინ, როცა ძროხის გამოსახულებას ხედავთ, მაგრამ ვერ ხედავთ, რაა მის მიღმა, ეს გამოსახულება მინდორზე და რეალურ ძროხაზე მიგვითითებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმისთვის, რათა ნიშნად იქცეს, ობიექტმა სხეული უნდა დაკარგოს, სიბრტყედ უნდა იქცეს. ეს სწორედ ის ვითარებაა, რომელიც გაიგეს ფიშლიმ და უაისმა, მაგრამ ამას ვერ მიხვდა დიუშანი. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო ხელოვნებაში. რადგან, როცა მთელი ეს პისუარები და სხვა Ready-made-ბი სამუზეუმო სივრცეში დაიდგა, ჩათვალეს, რომ ხელოვნება სრულიად გათავისუფლდა საგნიფიკაციისგან; პისუარი ხომ მხოლოდ საკუთარ თავს აღნიშნავდა და იგი, ასე ვთქვათ, ემანსიპირდა შინაარსისგან, ნარატულობისგან და ნებისმიერი კულტურული კონტექსტისგან. სი-



ნადვილეში ეს არ მომხდარა, რადგანაც ეს პისუარი თავის თავს აღნიშნავდა. იგი აღნიშნავდა მისი კლოზეტში გადატანისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობას.

სწორედ ამ შესაძლებლობის ბლოკირებას ახდენენ ფიშლი და უაისი. რადგანაც არ იცით, შეიძლება თუ არა ამ ობიექტების გამოყენება. ანუ ისინი აუქმებენ იმ საგნიფიკაციის, თავისი თავის აღნიშვნას, რომელიც სინამდვილეში შენარჩუნებულია კლასიკურ... და თვითსაგნიფიკაციის შესაძლებლობის ასეთი გაუქმება აჩენს ჭვრეტის იმ სტრუქტურას, რომელიც მხედველობიდან რჩებოდა ხოლმე კლასიკურ პოსტდიუშანურ თეორიებს.

მაგრამ ამგვარ განსჯებს ჩემი ლექცია დასასრულისკენ მიყავს, დროც იწურება და ხელოვნების დასასრულის იმ პრობლემატიკამდე მივდივართ, რომელზეც ახლა ყველა საუბრობს, თანაც ისტერიული ტონით. საქმე იმაში გახლავთ, რომ ხელოვნების დასასრული რაღაც დამთრგუნველად ჟღერს, თუკი მივიჩნევთ, რომ აქამდე ხელოვნება იწყებოდა, ვითარდებოდა და ა.შ. თუმცა, როგორც ვნახეთ, ხელოვნება თავიდანვე ხელოვნების დასასრულს წარმოადგენდა. მან თავიდანვე მოახდინა საკუთარი შესაძლებლობების ბლოკირება. იგი დასასრულიდან დაიწყო. ამით იგი თითქოს ჩვენი დროის რელიგიურ ფენომენებს ჰგავს, მაგალითად ქრისტიანობას, რომელიც როგორც რელიგია, ღმერთის სიკვდილით დაიწყო. ღმერთის ჯვარცმითა და სიკვდილით. და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები გარკვეულ მეტაფორას წარმოადგენს ჯვარცმული ქრისტესთვის. ანუ, შეიძლება ითქვას, ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები თანამედროვე ეპოქაში (თანამედროვე, ანუ პოსტ-ჰეგელიანურ ეპოქაში) არაფერს გამოხატავს, გარდა ხელოვნების დასასრულისა. ეს იგივეა, რაც ქრისტეს ვნებათა ინსცენირება, რისი შესაძლებლობაც მხოლოდ ღმერთის სიკვდილის შემდეგ ჩნდება. ანუ მხოლოდ ხელოვნების სიკვდილი იძლევა მხატვრული პრაქტიკის შესაძლებლობას. როგორც ჰეგელისეული ისტორიზმი იწყება ისტორიის დასასრულით, პოსტ-ისტორიის დამკვიდრებით.

ეს იმას ნიშნავს, რომ ხელოვნების სიკვდილი მაგიურად, ტრავმატულად თუ რიტუალურად გამუდმებით მეორდება შემოქმედებით აქტებში და მხოლოდ მაშინ, როცა იგი მეორდება, მოცემული შემოქმედებითი აქტი იდენტიფიცირდება როგორც სერიოზული ხელოვნების ნაწარმოები. მასობრივ ხელოვნებას თავისი თემები აქვს (სექსი, სიკვდილი, ფული და ა.შ.) და ამის მიხედვით სერიოზულის შესახებაც შეგვიძლია ვიკითხოთ და ვუპასუხოთ, რომ მისი თემა სიკვდილია და თანაც არა ვინმეს, არამედ საკუთარი სიკვდილი. ანუ სხვაგვარად ცხოვრების შეუძლებლობა. და თუკი გავიხსენებთ თანამედროვე ხელოვნების ყველა ნაწარმოებს, რომელსაც როდისმე ჰქონია წარმატება თანამედროვე ეპოქაში (მანედან დაწყებული, იგივე "ოლიმპიიდან"), შემდეგ სურათს მივიღებთ: ეს იქნება გზა ახალი ნახატების შექმნის შეუძლებლობიდან, საერთოდ ხატვის შეუძლებლობამდე ("შავი კვადრატი"), როცა თუნდაც იმავე შავი კვადრატის დახატვაც კი შეუძლებელი ხდება, შეუძლებელი ხდება გამოფენაც (რჩება მიშველი კედლები მინიმალისტური ინსტალაციებით), ესაა მუზეუმისა და ნაგვის გროვის გარჩევის და საერთოდ გარჩევის, განსხვავების შეუძლებლობა. შედეგად მივიღებთ ერთ დიდ შეუძლებლობას და ერთ დიდ სიკვდილს, სახელად "თანამედროვე ხელოვნება".

ასე რომ, ჩემი პასუხი კითხვაზე, რა არის თანამედროვე ხელოვნება, მეტ-ნაკლებად ნათელი ხდება. ხელოვნება - ესაა საკუთარი სიკვდილის ინსცენირება. მაგრამ იგი არაა მხატვრ.ს ან მაყურებლის და არც ზოგადად ადამიანის სიკვდილი. რადგანაც ხელოვნებას ადამიანი არ აინტერესებს, ისევე როგორც მისი სიცოცხლე და სიკვდილი. ადამიანი მხოლოდ მასობრივ კულტურას აინტერესებს. ხელოვნება კი მხოლოდ საკუთარი სიკვდილითაა დაინტერესებული. ღმერთის სიკვდილიც და ხელოვნების ნაწარმოებიც მხოლოდ იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც იგი ამ სიკვდილის ინსცენირებას ახდენს და რიტუალურად იმეორებს. წარმოადგენს ახალ და ახალ შეუძლებლობებს, ახალ და ახალ აკრძალვებს. ხელოვნების ყოველი მომდევნო ნაწარმოები რაღაცას გვიკრძალავს, რაზეც არასდროს გვიფიქრია, რომ შეიძლებოდა აკრძალულიყო. ყველაზე გასაოცარი კი ისაა, რომ ახალი ნაწარმოების ხილვით ყოველთვის რაღაც ახალ აკრძალვას აღმოვაჩენთ ხოლმე და მაინც ვაგრძელებთ სიცოცხლეს, ხედვას. თითქოს აღარაფერია სანახავი, ყველაფერი გაქრა, დაიშალა, გარშემო ნაგავია და მაინც, აღმოჩნდება, რომ ჩვენ მაინც ვხედავთ და ჯერ კიდევ შეიძლება რაღაც-რაღაცეების აკრძალვა, შეუძლებელყოფა და ჩვენ ამასაც შევხედავთ, დავინახავთ. ასე რომ... სიკვდილის ინსცენირება... მაგრამ არა პესიმისტური აზრით, არამედ პირიქით, რაღაც სიხარულის თანხლებით.

გმადლობთ.

თარგმნა სანდრო ჯანდიერმა

არილი




გვერდების გასაფორმებლად გამოყენებულია კ. მალევიჩის, მ. დიუშანის და ერიკ ფიშლის ნამუშევრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შიზოფრენია ქართულად

## ან პრეზიდენტი, ან მთავრობა

ია ანთაძე

მე მძინარე ვარ... ვწევარ და მძინავს,
დაე, მძინავდეს.
ხედავ ჩემს შუბლზე ღიმილს დამცინავს,
როდესაც ნანა მესმის ძიძების, -
ბევრს ეშინოდეს
ჩემი სასტიკი, ულმობელი გამოღვიძების.

*გალაკტიონი*

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში სპეციფიკური ვითარება ჩამოყალიბდა: პარლამენტი თითქმის საკონსტიტუციო უმრავლესობით დააკომპლექტა მოქალაქეთა კავშირმა. ბლოკმა "საქართველოს აღორძინებამ" კი მხოლოდ 60 მანდატი მოიპოვა, რამაც ოპოზიცია ბრძოლის ეპიცენტრს ჩამოაცილა. "ახალი ფრაქციის", "მრეწველების" ან უმცირესობის ზოგიერთი წევრის ფრაგმენტულ გაბრძოლებას თუ არ ჩავთვლით, ახალი მოწვევის პარლამენტში, წინამორბედების ფონზე, არნახულმა სიმშვიდემ დაისადგურა.

მთელი წლის განმავლობაში ტრადიციული აკადემიზმით გამოირჩეოდა მთავრობაც. სამთავრობო მყუდროებას "იავნანასავით" ერწყმოდა მინისტრების მონოტონური მოხსენებები კორუფციასთან ბრძოლის შესახებ.

ბევრისთვის მოულოდნელად, ბოლო ორი კვირის განმავლობაში, მთავრობის წიაღში წონასწორობა დაირღვა და შეუქცევადი პროცესი დაიწყო: გაჩაღდა დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, რომელმაც, მორევის ეფექტით, მთავრობის მიმდებარე სივრცეც ჩაითრია.

○ ○ ○

საზოგადოებისთვის მინისტრების მიერ ერთმანეთის "დაბომბვა" მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. მაგრამ პროფესიონალები საფრთხეს ცხადად ხედავდნენ. 2 აპრილს "კვირის პალიტრაში" გამოქვეყნდა ინტერვიუ ფილოსოფოსთან და პოლიტოლოგთან - ბატონ გია ნოდიასთან, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოს მმართველობითი სისტემა შეაფასა, როგორც "შიზოფრენიული", ანუ გაორებული ცნობიერების მქონე: **"ფაქტია, რომ ერთი მხრივ, ვართ დემოკრატები, პროდასავლურები; გვინდა კორუფციასთან ბრძოლა, რეფორმები და ასე შემდეგ; მეორე მხრივ კი, ვართ პოლიციური სახელმწიფო. შედეგად, შევარდნაძე ერთდროულად არის პროდასავლური პოლიტიკოსიც და პოლიციური სახელმწიფოს მეთაურიც".**

ეს სამედიცინო ტერმინი - "შიზოფრენია" (ცნობიერების გაორება), მეტისმეტად მკაცრი ჟღერადობის მიუხედავად, შესაძლოა, ზუსტად ასახავდეს საქართველოს დღევანდელი სახელისუფლო სისტემის მთავარ პრობლემას.

მთავრობა, ისევე, როგორც საპარლამენტო უმრავლესობა, ორ არსებით ნაწილად არის გაყოფილი: ერთი მხრივ, კორუფციაში ეჭვმიტანილი და, მეორე მხრივ, პატიოსნებაში ეჭვმიტანილი პოლიტიკური ფიგურებისგან. ჰოდა, ბევრისთვის მოულოდნელად, გაზაფხულზე მთავრობის შიზოფრენიულმა ბუნებამ ერთბაშად იფეთქა.

თუმცა, ფრაგმენტული დაპირისპირება შარშან, მთავრობის დამტკიცებისთანავე დაიწყო. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ: მიხეილ სააკაშვილი და კახა თარგამაძე, მიხეილ მაჭავარიანი და კახა თარგამაძე, ზურაბ ნოღაიდელი და ვალერი ვაშაკიძე, მიხეილ სააკაშვილი და ვანო ჩხარტიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი და მერაბ ადეიშვილი, მიხეილ სააკაშვილი და ვახტანგ ქუთათელაძე, მიხეილ მაჭავარიანი და ვანო ჩხარტიშვილი, ზურაბ ნოღაიდელი და ვახტანგ ქუთათელაძე...

მთავრობის მიმდებარე სივრციდან დაპირისპირებაში ჩართულნი აღმოჩნდნენ თემურ ბასილია, თემურ შაშიაშვილი, ზურაბ მსხვილიძე, ირაკლი ოქრუაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე.

○ ○ ○

წლების განმავლობაში მთავრობის სხდომები სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა. მაგრამ დღეს უკვე ცხადია, რომ სადღაც, საზოგადოებისთვის ფარულ სივრცეში, კონფლიქტი კარგა ხნის განმავლობაში მწიფდებოდა.

ყველაზე ხატოვანი მაგალითი ამ ვითარების წარმოსაჩენად, შესაძლოა, იყოს წყალბურთი, თავისი მოთამაშეებით, მსაჯითა და მაყურებლით. განსაკუთრებით, გურამ დოჩანაშვილის ცნობილი "ვატერ(პო)ლოო", რომელიც წყალბურთის მთავარ საიდუმლოს გვიმხელს: მოთამაშეები წყლის ზედაპირზე უაღრესად კორექტულად გამოიყურებიან და უწყინრად იქცევიან, წყლის ქვეშ კი სამკვდრო-სასიცოცხლო ომი აქვთ გაჩაღებული აკრძალული ილეთების გამოყენებით.

მთავრობის წიაღშიც, ოღონდ, სადღაც "წყალქვეშ", როგორც ჩანს, აკრძალული ილეთებით ერთმანეთის ჩეხვა მიმდინარეობს. დაუნდობელი ბრძოლის მიზეზი ცხოვრებაშიც იგივეა, რაც წყალბურთში, უფრო მეტიც: **"თვით ცხოვრებაა ვატერპოლო, თვითონ ცხოვრება. და ყოველი მოქალაქის მთავარი მიზანი რადგან ისაა, ცხოვრებაში რომ გამარჯვებული გამოვიდეს, - გამარჯვებული კი ისე ვერ გამოხვალ, სხვას თუ არ დაამარცხებ და სხვა რომ დაამარცხო, ათასნაირი ხერხი და ხრიკია საჭირო; - ამეებს კი ვატერპოლოზე უკეთესად სხვა ვერაფერი შეგასწავლით, გვრიტნო."**

ჩიტუნელა ბიძიას ეს ძვირფასი ფილოსოფია საქართველოს მთავრობასაც ძალიან უხდება ერთი მიზეზით - მისი შიზოფრენიული ბუნების გამო: როდესაც "მე" უნდა დავამარცხო "სხვა" იმისათვის, რათა "სხვამ" არ დამამარცხოს "მე". შესაბამისად, მისაღებია ჩიტუნელა ბიძიას ავანგარდული ეთიკაც: **"აბა, ჯანკარლო, ბესამესკენ ზურგით შებრუნდი და ძლიერ უწყინრად იტივტივე. ახლა კი უკან ღონივრად გაუქანე ფეხი. რომ არ შეგეტყოს, ისე გაუქანე, ხომ? ბესამევ, ტკბილო, ფეხი დაუჭი და ისე სავსებით მაგრა უჩქმიტე, გულ-ბოყვი ჩასწყდეს, მერე კი, მაგის შეყვირებაზე ძალიან გაკვირვებით მიმოიხედე, დაბნეული ღიმილი აღიბეჭდე, ეგრე კი არა, შემხედე, აი, ასე... ცოტათი კიდევ გაიკვირვე... აიი, ასე. კარგია, ყოჩაღ. შეისვენეთ."**

○ ○ ○

ტრადიციულად აკადემიური მთავრობის სხდომები ერთბაშად იქცა პოლიტიკური მიწისძვრების ეპიცენტრად. რატომ გახდა დღეს მაყურებლისთვის ხილული ის, რაც აქამდე წყლის ქვეშ ხდებოდა?

შესაძლოა, მთავრობის იმ ნაწილმა, რომელსაც მეტოქე აკრძალული ილეთებით ჯაბნიდა, მეტი გამჭვირვალება მოითხოვა. ნამდვილ წყალბურთშიც ხომ ასე მოხდა! ბოლოს ადგნენ და წყალქვეშ გადამალები აპარატურა დაამონტაჟეს.

საფიქრებელია, რომ მთავრობის ერთმა ნაწილმა ფარულ ომში წაგების რეალური საფრთხე დაინახა

და წყალქვეშა ბრძოლის საიდუმლოებები გაამჟღავნა, თანაც, არა მშვიდ, სადისკუსიო ვითარებაში, არამედ - წყლის ქვეშ დაგროვილი აგრესიით.

○ ○ ○

როგორია პრეზიდენტის პოზიცია?

პრეზიდენტი იმ მსაჯს ჰგავს, რომელიც ბრძოლას ზემოდან დაჰყურებს. იგი გამოცდილია და ხშირად იმასაც ხედავს, რაც წყალქვეშ ხდება. ამიტომ, ჩვენთვის, გამოუცდელი მაყურებლისთვის, მისი გადაწყვეტილებები გაუგებარია. ვინც მას ენდობა, ფიქრობს, რომ მსაჯი სამართლიანია, თუნდაც მაშინ, როდესაც ერთის მაგივრად მეორეს სჯის (თითქოს, მოსახსნელი კახა თარგამაძეა, არადა, მიხეილ უკლება იხსნება); ვინც მას არ ენდობა, მიაჩნია, რომ მსაჯი ჩვენი გულუბრყვილობით სარგებლობს და მაყურებლის თვალწინ უსამართლო გადაწყვეტილებებს იღებს.

ახლა წყალქვეშ გამჭვირვალების ხარისხი იზრდება და მსაჯი იძულებული შეიქნება, თავისი გადაწყვეტილებები უფრო გასაგები გახადოს მაყურებლისთვის.

○ ○ ○

მაშ, ასე: როგორ მოიქცევა პრეზიდენტი? როგორ განმუხტავს იმ კონფლიქტს, რომელიც მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ სივრცეში წარმოიქმნა?

პარლამენტისგან განსხვავებით, მთავრობა ხანგრძლივ დაპირისპირებას ვერ იტანს. თითოეული მინისტრის საქმიანობის შედეგი რამდენიმე სხვა მინისტრის მოწადინებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ პოლიციის და უშიშროების მინისტრებმა კარგად არ იმუშავეს, შემოსავლების მინისტრი მუდამ ხელმოცარული დარჩება. ასე რომ, მათ შორის დაპირისპირება უსათუოდ გამოიწვევს ერთ-ერთი მხარის დაუძლურებას - ეს "შიზოფრენიული" (ცნობიერებაგაორებული) მთავრობის სპეციფიკაა.

ფაქტია, რომ ბოლო დღეების განმავლობაში, ერთი მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა, მეორე მხრივ, თემურ შაშიაშვილმა და, თავის მხრივ, ნიკო ლეკიშვილმაც პრეზიდენტს კონფლიქტის განმუხტვისკენ და აქტიური ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდეს.

და სწორედ მაშინ, როდესაც დაპირისპირება მუშტიკრივში გადაიზარდა, ვითარება კიდევ მეტად დაამძიმა ერთმა შემთხვევამ: "ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნდა პარლამენტის ეკონომიკური რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარის თვალსაზრისი, რომ პრეზიდენტს რეფორმების გაგონება არ სურს და რომ იგი რეფორმებზე მხოლოდ დასავლეთის გულის მოსაგებად საუბრობს.

ის, რაც ვანო მერაბიშვილმა უცხოელ ჟურნალისტს აუწყა, საქართველოს მკვიდრთათვის ბანალური ჭეშმარიტებაა. თუმცა, უცხოურ პრესაში საკუთარი პარტიის თავმჯდომარის კრიტიკით დაირღვა ტრადიციული ეთიკა. მეორე მხრივ, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მერაბიშვილის ინტერვიუსგან ხელისუფლებამ (მედიის დახმარებით) მაინც გააზრებულად შექმნა საფრთხობელა. საფიქრებელია, რომ ამ გაბერილ საფრთხობელას ვიღაცა ხვალ ან ზეგ ისევ ავანგარდული ეთიკის ფარგლებში გამოიყენებს.

○ ○ ○

ზოგადი სურათი ასეთია: მინისტრები ერთმანეთის მიმართ მკვეთრ განცხადებებს აკეთებენ; დაპირისპირებაში ჩართულნი არიან მინისტრების მოადგილეები და გუბერნატორები; სახელმწიფო მინისტრის კაბინეტში ხელჩართული ჩხუბი იმართება; საკუთარი გუნდის წევრი კი ამერიკულ საზოგადოებას საქართველოს პრეზიდენტის უძლურების ამბავს ატყობინებს.

რას მოიმოქმედებს ედუარდ შევარდნაძე ამ ერთიანი ქაოსის საპირისპიროდ?

არჩევანის პირველი შრე ასეთია: პრეზიდენტი რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს, ან ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისგან თავს შეიკავებს.

დავუშვათ, პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ იმოქმედოს.

სასტარტო პოზიციით, პატიოსნებაში ეჭვმიტანილ მინისტრებს, კორუფციაში ეჭვმიტანილებთან შედარებით, აშკარა უპირატესობა აქვთ. ეს ვითარება კი მეტისმეტად ზღუდავს პრეზიდენტის არჩევანს. თითქოს, მისი ვერდიქტი წინასწარ არის განსაზღვრული ობიექტური ვითარებით: მაინცდამაინც რეფორმატორების შერისხვა და დანარჩენებისთვის კალთის გადაფარება დღეს ადვილი საქმე არ არის.

კორუფციაში ეჭვმიტანილების პოზიციას აძლიერებდა ერთადერთი დეტალი: ზურაბ ნოღაიდელის მიერ ტრადიციული ეთიკის საჯარო დარღვევა და მუშტით ჩხუბი სახელმწიფო მინისტრის კაბინეტში. მეორე დეტალი, რომელმაც პრეზიდენტს კარგად დაუბალანსა ვითარება კორუფციაში ეჭვმიტანილებსა და პატიოსნებაში ეჭვმიტანილებს შორის, - იყო სწორედ ვანო მერაბიშვილის არაეთიკური საქციელი. ამიტომაც, ესოდენ გამახვილდა ყურადღება "ვაშინგტონ პოსტის" მასალაზე.

○ ○ ○

მაშ, ასე: რას მოიმოქმედებს პრეზიდენტი?

ჩვენი ვერსია გამორიცხვის მეთოდით ვითარდება და ოთხ შესაძლო კომპონენტს მოიცავს.

დასაწყისისთვის კი ვიტყვით, რომ ვითარების რეალური განმუხტვა შეგონებებისა და გაკიცხვის დონეზე უკვე გამორიცხულია. პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია დაპირისპირებული სეგმენტების დაცალკევება. ამისთვის კი რამდენიმე ალტერნატივა არსებობს:

**1. პრეზიდენტი მხარს დაუჭერს კორუფციაში ეჭვმიტანილი მინისტრების ჯგუფს და დაითხოვს პატიოსნებაში ეჭვმიტანილ მინისტრებს.**

ეს ვარიანტი ძნელი წარმოსადგენია, რადგან ამ გადაწყვეტილებით პრეზიდენტი პირდაპირ დაადასტურებს ვანო მერაბიშვილის თვალსაზრისს, რომ მას რეფორმების გაგონებაც არ სურს. თანაც, პატიოსნებაში ეჭვმიტანილი მინისტრები, თუკი ისინი ქუჩაში უსამართლოდ აღმოჩნდებიან, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიან პირადად პრეზიდენტს. ისინი საზოგადოების მხრიდან საკმაო სიმპათიით სარგებლობენ, როგორც აკრძალული ილეთებით გვარიანად დაზარალებულნი.

ასე რომ, პატიოსნებაში ეჭვმიტანილ მინისტრებს პრეზიდენტი ასე მკაცრად, ალბათ, ვერ მოექცევა.

**2. პრეზიდენტი მხარს დაუჭერს პატიოსნებაში ეჭვმიტანილ მინისტრებს და კორუფციაში ეჭვმიტანილებს კი დაითხოვს.**

ასეთი გადაწყვეტილება მოსალოდნელი არ არის, რადგან იგი მეტისმეტად გაუგებარი აღმოჩნდება ვანო მერაბიშვილის მწარე განცხადებების ფონზე: პრეზიდენტს თავისივე საპარლამენტო გუნდის წევრმა დაუნდობლად "დაარტყა", მხარდაჭერა კი მაინც ამ გუნდმა მიიღო. როგორც ვთქვით, ამ ვარიანტს ამძიმებს ზურაბ ნოღაიდელის "ქუჩური" საქციელიც, რაც კიდევ უფრო გაუგებარს გახდის საპარლამენტო გუნდის მოგებას.

**3. პრეზიდენტი განსაკუთრებულ ნაბიჯებს არ გადადგამს და ყველაფერს დატოვებს ისე, როგორც არის.**

ეს ვარიანტი ყველაზე არახელსაყრელია პრეზიდენტისთვის, რადგან პირდაპირ დაადასტურებს მის უძლურებას და ვერც ვითარებას განმუხტავს. თუ პრეზიდენტმა რეაგირების გარეშე დატოვა მთავრობაში გაჩაღებული კონფლიქტი, დაპირისპირება ბუნებრივად გაღრმავდება და ჩვენ შევარდნაძის თანხლებით გადავალთ პოსტშევარდნაძისტულ ეპოქაში.

ეს ნიშნავს, რომ ერთი კვირის შემდეგ მინისტრები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუბერნატორები და პრეზიდენტის მრჩევლები პირდაპირ მთავრობის სხდომაზე გააჩაღებენ მუშტი-კრივს და არცთუ საამოდ მჟღერი სიტყვებით ერთმანეთის მოხსენიებას.

ედუარდ შევარდნაძის მიერ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმა და კონფლიქტების შემდგომი ესკალაცია უეჭველად დაადასტურებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი აღარ ჰყავს. საფიქრებელია, რომ ეს არ მოხდება.

4. ბოლო ვარიანტად განვიხილავთ ვერსიას, რომელიც შეიძლება მეტისმეტად მოულოდნელი აღმოჩნდეს საზოგადოებისთვის: **პრეზიდენტი დაითხოვს მთავრობას მთელი შემადგენლობით, ანუ გაიმეორებს 1998 წლის ზაფხულის სცენარს.**

და მაინც, შესაძლოა, ეს ვერსია შევაფასოთ, როგორც ყველაზე მეტად სიცოცხლისუნარიანი. იგი პრეზიდენტის მართვის სტილს ორი ასპექტით შეესაბამება: ერთი მხრივ, მთავრობის გადაყენება იქნება ძლიერი ნაბიჯი, რომელსაც შევარდნაძისგან მოსახლეობა კარგა ხანია ელის; მეორე მხრივ, პრეზიდენტს საშუალება მიეცემა, თავისი ძალა ერთნაირად გაავრცელოს კონფლიქტში ჩართულ ყველა მხარეზე, ანუ არ დაარღვიოს ზოგადი ბალანსი.

მთავრობის დათხოვნით პრეზიდენტი დაადასტურებს, რომ მას არ დაუკარგავს მართვის უნარი და რომ იგი ძველებურ ფორმაშია. შევარდნაძე "წესრიგს დაამყარებს" პარლამენტში, ცვლილებების იმედს გააჩენს მოსახლეობაში და თავისთვის მომგებიან ფონზე შეუდგება მთავრობის ხელახლა დაკომპლექტებას.

○ ○ ○

საფიქრებელია, რომ ვანო მერაბიშვილის პოლიტიკური შეცდომით ტრავმირებული საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტის ასეთ რადიკალურ გადაწყვეტილებას წინ ვერ აღუდგება. გამორიცხული არც ის არის, რომ მთავრობის გადაყენებაში უმრავლესობისთვის სასიკეთო მარცვლებიც ერიოს, თუნდაც, საკადრო პერსპექტივის თვალსაზრისით.

მთავრობის დათხოვნის ვერსიას აძლიერებს "ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებული მასალის გამო ხელოვნურად გაზრდილი აჟიოტაჟი (რომელიც პრეზიდენტს კარგ ფსიქოლოგიურ ფონს შეუქმნის თავისი გუნდის მიმართ მკაცრი გადაწყვეტილების მისაღებად) და ის ფაქტიც, რომ მთავრობის სხდომა, რომელსაც მოუთმენლად ველოდით, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ამ ვერსიის სუსტი მხარეა ინფორმაციის დეფიციტი: ჩვენთვის უცნობია, რა აკავშირებს პრეზიდენტს ამა თუ იმ მინისტრთან და შეძლებს თუ არა იგი მათ სერიოზულ განაწყენებას. საფიქრებელია, რომ 1998 წლის მსგავსად, მთავრობის გადაყენების შემთხვევაში, ზოგიერთი მინისტრი კვლავ დაუბრუნდება თავის თანამდებობას, მაგრამ ზოგიერთი მას ნამდვილად სამუდამოდ დაემშვიდობება.

○ ○ ○

სიტუაციის განმუხტვა ახლო მომავალში უნდა მოხდეს. თუმცა, შესაძლოა, პრეზიდენტი ჩვენს მიერ ჩამოთვლილ არც ერთ ვერსიაზე არ ფიქრობდეს და სულ სხვა გადაწვეტილებას ამზადებდეს.

მეორე მხრივ, გამორიცხული ნამდვილად არ არის, რომ სულ მალე ჩვენს მიერ განხილული სცენარის მესამე ან მეოთხე პუნქტი გათამაშდეს და, შესაბამისად, საქართველო ან პრეზიდენტის გარეშე დარჩეს (ფიგურალურად), ან მთავრობის გარეშე აღმოჩნდეს (რეალურად).

ზაზა ფაჩუაშვილი

# რევოლუცია თსუ-ში



პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას თსუ-ში ვიზიტის დროს კანონის დარღვევისაკენ მოუწოდეს. დემოკრატ სტუდენტთა აქტიური ფრთა (ДСФ) მას დაბეჯითებით სთხოვდა ტრიბუნაზე ჩაქუჩის დარტყმას და სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირთან (საპი) საარჩევნო დავის გადაწყვეტას.

ეს მოხდა 2001 წლის 11 აპრილს თსუ-ს დავით აღმაშენებლის სახელობის გია ბუღაძის ფუნჯით განახლებულ აუდიტორიაში, როცა რექტორ-პრორექტორიანი პრეზიდიუმის გვერდით მდებარე სამიზნე ტრიბუნაზე მდგარი ზურაბ ჟვანია 2 საათის განმავლობაში გადადიოდა ფეხიდან ფეხზე და ჩვენი სინდის-ნამუსისა და ქვეყნის მომავალი პერსპექტივის პირდაპირპროპორციულობას ამტკიცებდა: "ჩვენ მივაღწევთ რეალურ კეთილდღეობას იმ შემთხვევაში, თუ დავამარცხებთ კორუფციას, დავაკნინებთ ამ ვნებას..." და ა.შ.

იმის მიუხედავად, რომ სტუდენტებს კარსმომდგარი თვითმმართველობის არჩევნების უფრო კონკრეტული საკითხი აწუხებდათ, მაღალი სტუმრის შესავალ სიტყვას მთელი ყურადღებით უსმენდნენ და აუდიტორიაში ბუზის გაფრენის იდეალურ პირობებს ბოლომდე ინარჩუნებდნენ. იმ დღეს კი, ამის გაკეთება არც თუ ისე ადვილი იყო.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ზურაბ ჟვანიას ცოდნის ტაძარში ვიზიტმა, ტრადიციულობის მიუხედავად, რევოლუციური ინტერესი გამოიწვია. ეს ნათელი გახდა შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, როცა მოსაწვევებიანი დელეგატებით სკამსავსე აუდიტორიაში ფეხზე დგომელა სტუდენტები შემოიჭრნენ. რიგითი შეხვედრის ჩვეულებრიობის მომლოდინე ჟურნალისტებს სიტუაცია ცოტათი ეუც-

ხოვათ და მათგან მცირე განმარტება ითხოვეს. სტუდენტთა პასუხებმა სრულიად გააქარწყლეს ეჭვი იმის შესახებ, რომ ისინი, შეიძლება, ვიზუალური ეფექტისთვის "შემოეყარათ". პირიქით, თურმე, დსფ-ელთათვის მოსაწვევები არ მიუციათ და მათ ბოლო წუთს მოახერხეს აუდიტორიაში შესვლა. ეს ის ახალგაზრდები იყვნენ, რომლებმაც მოგვიანებით გამოხატეს ნდობა ზურაბ ჟვანიასადმი და ამით **საპის** წევრები "გაამხიარულეს". ერთი სიტყვით ჟვანიას იმდენი სტუდენტი დახვდა, რამდენი კუბური სანტიმეტრი ჰაერიც ეტევა იმ დარბაზში.

შექმნილი მდგომარეობა საგანგებოდ მოეჩვენა თსუ-ს ადმინისტრაციის ერთ-ერთ თვალსაჩინო მუშაკს, რომელმაც დაუყოვნებლივი ზომების მიღება გადაწყვიტა და მიკროფონს მიუახლოვდა. მალე გაისმა მისი ბოხი ხმა, ზედმეტი მოძრაობა არ იყოსო. ბარიტონმა იმდენად უადგილოდ გაიჟღერა, რომ საზოგადოებას სიცილის გუნებაც კი წაუხდინა. ჯერ ერთი, ეს იყო სტუდენტებისათვის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა და მათ მწყემსი სრულებით არ დასჭირვებიათ და მეორეც, ვინმეს ძალიანაც რომ მოენდომებია, ზედმეტ მოძრაობას ფიზიკურად ვერ შეასრულებდა.

გამონაკლისად შეიძლება ჩაგეთვალათ სავარძელში ჩასვენებული დელეგატები, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ ფეხზე ადგომა, სიმძიმის ცენტრის გარშემო 360 გრადუსით ტრიალი, ზემკლავის, გამკლავის, მიმკლავისა და ნახევარბუქნის გაკეთება, მაგრამ ადმინისტრაციის იმ გულმოდგინე მუშაკის შენიშვნა მათ არ ეხებოდა. როგორც ჩანს, დელეგატთა გეგმაზომიერი მოქმედება ეჭვს არავისში იწვევდა. მოვლენებს ცოტათი წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ მსხდომარე მდგომარეობაში მყოფმა სტუდენტებმა ნაკისრი მოვალეობა პირნათლად შეასრულეს და მთელი შეხვედრის განმავლობაში ცხვირ-პირები ზრდილობიანად ატრიალეს ორატორთა მიმართულებით.

მოკლედ, მჯდომარეთა სამმა მწკრივმა და მდგომარეთა ორმა ფლიგელმა გატრუნულებმა მიაღწიეს ჟვანიას შესავალი სიტყვის დამთავრებამდე, რომლის შემდეგაც ინიციატივა მეყსეულად იგდეს ხელთ **საპის** გამოცდილმა წევრებმა და პარლამენტის თავმჯდომარის წინაშე გლობალური საკითხები დასვეს. ისინი ზურაბ ჟვანიასგან მოითხოვდნენ პოზიციების დაფიქსირებას შემდეგი მიმართულებით: ჟვანია და "60 წუთის" მუხანათობა, ჟვანია და საპრეზიდენტო არჩევნები, ჟვანია და ქვეყნის ფსევდოდემოკრატია, ჟვანია და მინისტრთა პოსტები და ა.შ.

**დსფ**-ელები დროზე რომ არ გატოკებულიყვნენ, შეხვედრის არსი სრულიად გაუგებარი იქნებოდა. გაისმა თუ არა მარჯვენა ფლიგელიდან მიკროფონის ხმა, მაშინვე გამოიხატა სტუდენტთა თვითმმართველობის არჩევნების საჭირბოროტო საკითხი (ფლიგელთა კოორდინატებს ვასახელებთ ორიენტირ - ჟვანიასთან მიმართებაში. მისგან მარცხენა ფლიგელი დაკავებული ჰქონდათ **საპის** წევრებს, მარჯვენა - **დსფ**-ელებს). სიტყვა საჭირბოროტო, ამ შემთხვევაში, ორი მოპირდაპირე ფლიგელივით გაიყო. როგორც შეხვედრიდან გამოჩნდა, თვითმმართველობის არჩევნების საჭიროებით დაინტერესებული იყვნენ მხოლოდ **დსფ**-ელები, რაც შეეხება საპის წევრებს, ისინი ამ საკითხში კომპოზიციის მეორე - "ბოროტო" - ნაწილის მნიშვნელობას უფრო მოიაზრებდნენ.



**დსფ**-ელების თქმით, თვითმმართველობის არჩევნები ერთადერთი საშუალებაა სტუდენტთა თანამედროვე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. მათ შორისაა თსუ-ს ბიუჯეტის გამჭვირვალობა, სასწავლო საგნების ოპტიმიზაცია, განათლების სისტემის კომპიუტერიზაცია, ინტერნეტის საერთოფიკაცია და სხვა.

**დსფ**-ელებისგან განსხვავებით, **საპის** წევრების კონსერვატული პოზიცია ისედაც ცნობილი იყო - "დაე, მუდამ იყოს მზე".

ასე დააყენეს პარლამენტის თავმჯდომარე ღია პრობლემის წინაშე, რომლის გადაწყვეტის პრეროგატივა, დსფელების სამწუხაროდ, მას არ აღმოაჩნდა. თსუ ავტონომიურია და თქვენი პრობლემები თქვენვე უნდა მოაგვაროთო, უთხრა სტუდენტებს ჟვანიამ. თუმცა სხვა სასარგებლო რჩევის გარეშე დარბაზი არ დაუტოვებია: "მთავარია შეთანხმდეთ თამაშის საერთო წესებზე. ამით თავიდან აიცილებთ პარალელური სტრუქტურების შექმნის ძალიან სახიფათო მოვლენას".

ძნელი სათქმელია, გაითვალისწინეს თუ არა სტუდენტებმა რჩევა. ფაქტია, რომ დსფ თვითმმართველობის არჩევნებს დათქმულ დღეს - 26 აპრილს ატარებს, **საპი** კი ამ ფაქტს არ ცნობს.

ამგვარად თსუ-ში პარკეტზე ყურის უბრალო დადებითაც ადვილად ისმინება რევოლუციის ფეხის ხმა, თუმცა, ჯერჯერობით, სრულიად არაპროგნოზირებადია, რამდენად ხავერდოვანი იქნება მისი არამდგრადი ხასიათი! - თვის მთავარი ინფორმაციით თქვენს წინაშეა "არილის" ბოლო გვერდი ზაზა ფაჩუაშვილთან ერთად, გამარჯობათ!

**არილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



http://www.opentext.org.ge/arili

წკაპ HERE

ეროვნული ბიბლიოთეკა

666/13

# NATIONAL UNION OF JOURNALISTS

7 John Street, Bedford Row, London, W.C.1

'Phone : HOLborn 2258

Telegrams : Natujay Holb, London

This is to certify that

Mr. GEORGE ORWELL

of The Tribune



is a member of T.P.

Branch of the National Union of Journalists

Branch Sec.

(Address) 66, Priory Gdns., N.6.

# 1948/84